კარლო კუცია

სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება

ვაჭრობა, საქალაქო გადასახადები

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1966

К. К. КУЦИЯ

ГОРОДА И ГОРОДСКАЯ ЖИЗНЬ СЕФЕВИДСКОГО ИРАНА

ТОРГОВЛЯ, ГОРОДСКИЕ НАЛОГИ

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА"
Тбилиси
1966

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ВОСТОКОВЕДЕНИЯ

1966

9(45
9(55)
კ971

ნაშრომში შესწავლილია სეფიანთა ირანის (1502—
—1722) სამარშრუტო გზები, ქალაქების საშინაო და საგარეო ვაჭრობა. დახასიათებულია ვაჭართა კატეგორიები და ვაჭართა ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობა. ცალკე თავი ეთმობა საქალაქო გადასახადებისა და ვალდებულებების განხილვა-შესწავლას.

შესავალი

სეფიანთა ირანის (1502—1722) საქალაქო ცხოვრებამ განვითარების რამდენიმე საფეხური განვლო.

სეფიანთა ირანის სახელმწიფოს არსებობის პირველ პერიოდში (1502—1590 წწ.) ძლიერი იყო ყიზილბაშურ-მომთაბარული ტრადიციები, ხოლო მეორე პერიოდში (1590—1722 წწ.) მნიშვნელოვანი გავლენა მოიპოვა საკუთრივ ირანულმა ელემენტმა, რომელიც ძირითადად სამიწათმოქმედო რაიონებსა და ქალაქებში იყო წარმოდგენილი.

სეფიანთა ირანის ისტორიის ეს პერიოდიზაცია შეიძლება თამამად დავუკავშიროთ ქალაქების და საქალაქო ცხოვრების განვითარებას XVI—XVII საუკუნეებში.

XVI საუკუნის ირანში არ შექმნილა პირობები საქალაქო ცხოვრების მნიშვნელოვანი განვითარებისათვის. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ამ საუკუნის უდიდესი მონაკვეთის მანძილზე 90-იანი წლების დამდეგამდე სეფიანთა სახელმწიფოს შინაგანი პოლიტიკური ვითარება ხასიათდება ერთი მხრივ ცენტრალური ხელისუფლებისა და ყიზილბაშური ტომების ბელადების — ამირების გამწვავებული ურთიერთობით, რასაც საფუძვლად ედო ყიზილბაში ამირების ცენტრმსრბოლი ტენდენციები, ხოლო მეორე მხრივ, ფეოდალური შუღლითა და შინაომებით თვით აღზევებულ ყიზილბაშ ფეოდალთა შორის.

როგორც ცნობილია, XV საუკუნის მეორე ნახევარში და XVI საუკუნის დამდეგს ყიზილბაშურმა ტომებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა-განმტკიცების საქმეში. ამ ტომების სამხედრო ძალა (ტომობრივი ლაშქარი — „ყორჩის ჯარი“) სეფიანთა დინასტიის მთავარი დასაყრდენი იყო ირანის ტახტისათვის ბრძოლაში. ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან ერთად, რაც ყიზილბაშთა ტომებში XVI საუკუნეში სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა, ყიზილბაში ამირების ინტერესები მკვეთ-

რად შეეჯახა ირანის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებს. ისინი ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების ხარჯზე ცდილობენ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას და თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს მოვლენა უკვე აშკარა გახდა შაჰ თამაზის ზეობის (1524—1576) პირველ წლებში, როდესაც ყიზილბაშურ ტომთა ბელადები იმდენად გაძლიერდნენ, რომ ფაქტიურად მთელი ძალაუფლება იგდეს ხელთ და სეფიანთა სახელმწიფოში უდიდესი გავლენა მოიპოვეს. ასეთი მდგომარეობა თითქმის არც შაჰ ისმაილ II (1576—1578) და არც შაჰ მუჰამედ ხოდაბანდეს (1578—1587) დროს შეცვლილა.

ამრიგად, XVI საუკუნეში, 90-იანი წლების დამდეგამდე. სეფიანთა სახელმწიფოში ირანული კულტურული ელემენტის ნაცვლად გაბატონებულ მდგომარეობას იჭერენ ყიზილბაშური მომთაბარე ტომები და მათი ტრადიციები.

სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარ, ექსტენსიურ მეურნეობის მიმდევარ ყიზილბაშურ მომთაბარე ტომებისათვის ნაკლებად ცნობილი ან სრულიად უცხო იყო საქალაქო ცხოვრება. მათი პოლიტიკური ბატონობა და გამანადგურებელი მუდმივი რბევა-თარეში ცხადია ხელს ვერ შეუწყობდა ქალაქების ზრდას, საქალაქო ცხოვრებისა და კერძოდ ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარებას. მომთაბარული ტრადიციების დანერგვა სრულიად გამორიცხავდა საქალაქო ხელოსნობისა და ვაჭრობის არა თუ შემდგომ ზრდასა და გაფართოებას, არამედ ძველი დონის შენარჩუნებასაც კი. აქ მხოლოდ ერთი შედეგი შეიძლება ყოფილიყო: ქალაქების, როგორც ეკონომიური ცენტრების დაცემა-დაქვეითება, ხელოსნური წარმოების შემცირება, საქალაქო ვაჭრობის დაკნინება და ქალაქის მოსახლეობის, ისევე როგორც სოფლის მწარმოებელთა მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება[1].

---

[1] ეს გარემოება კარგად არის ხაზგასმული ისტორიკოს მირხონდის თხზულებაში „როუზათ ას-საფა“ („სიწმინდის ბაღი“) XV ს. აზერბაიჯანის მაგალითზე.

ისტორიკოსის ცნობით 1421 წელს მოკავშირეებმა შირვან-შაჰ ჰალილულაჰ I. მისმა ძმამ მანუჩარმა. შაქის მფლობელმა სიდი აქმედ ორლატმა და მეფე ალექსანდრე I (1412—1442) თხოვნით მიმართეს თემურიანთა მბრძანებელს შაჰრუხს (1407—1447), რათა მას ენერგიული ზომები მიეღო ყარა იუსუფის ძისა და მემკვიდრის ისკანდერის (1422—1429 და 1431—1435) წინააღმდეგ. ისინი თავიანთ თხოვნას შემდეგ საფუძველს უდებდნენ: „ვიდრე ყარა იუსუფის შვილები არ განადგურდებიან, ამ ქვეყანაში (ე. ი. აზერბაიჯანში — კ. კ.) არც დოვლათი იქნება და არც ვაჭრობა. არ გარიგდება და არ მოწესრიგდება რაითების საქმე“. უკეთებს რა ანალიზს ამ ცნობას პროფ. ვ. გაბაშვილი სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „ამგვარი აზრი, ცხადია, შეიძლება გამოთქვათ მხოლოდ იმ ქვეყნების მესვეურთ, რომელნიც დაკავშირებულნი იყვნენ ინტენსიურ მეურნეობასთან,

ქალაქების ზრდა-განვითარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში შედარებითი მშვიდობიანობა მაინც დამყარდებოდა, აღმოიფხვრებოდა მომთაბარეთა გამუდმებული შუღლი და შინაბრძოლა და ფართო გასაქანი მიეცემოდა კულტურულ ირანულ ელემენტს. XVI ს. ირანის პირობებში ყველა ამ საკითხის გადაჭრა მხოლოდ ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას შეეძლო. აქედან გამომდინარე სრულიად ბუნებრივია, რომ ქალაქის მოსახლეობა და განსაკუთრებით გავლენიანი ვაჭრები ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მომხრენი უნდა ყოფილიყვნენ, საქალაქო ცხოვრების მნიშვნელოვანი განვითარებას მხოლოდ მტკიცედ ცენტრალიზებული ქვეყნის პირობებში შეიძლება ჰქონოდა ადგილი და ვაჭარ-ხელოსანთა ფენაც სახელმწიფოს სწორედ ამგვარ პოლიტიკურ ფორმას უჭერდა მხარს. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს, ჩვენი აზრით ვესელოვსკის მიერ გამოცემული XVI—XVII სს. რუსეთ-ირანის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის ამსახველი საბუთების ერთი ცნობა, რომლის თანახმად ირანის „ლაშქრისა და ვაჭრობის ხალხი" („люди воинские и торговые") თხოვდა უფლისწულ აბას მირზას თავისი მამის, შაჰ მუჰამედ ხოდაბანდეს (1578—1587) მაგივრად ასულიყო ტახტზე და მიეღო ქვეყნის მმართველობა[2]. თავიანთ თხოვნას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ მოჰამედ ხოდაბანდე მოხუცდა და დასნეულდა და ქვეყანაში მოისპო ყოველგვარი წესრიგი[3]. ქვეყნის მოშლილობის

განვითარებულ მიწისმოქმედებასთან და ქვეყანას ექსტენსიური მეურნეობის მატარებელი მეჯოგეებისაგან იცავდნენ". ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და ამიერკავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბილისი, 1954, გვ. 60.

მირხონდის ამ ცნობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის მომენტი, რომ მასში ნომად მეჯოგეების მოძალეობა-თარეში და ვაჭრობის აღმავლობა საერთოდ და, რა თქმა უნდა, საქალაქო ვაჭრობის განვითარებაც ერთმანეთთან სრულიად შეუთავსებელ მოვლენებად არის მიჩნეული. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შერეფ ხან ბითლისელის თხზულებაში დაცული ცნობა, რომლის თანახმადაც შაჰ თამაზის დროს (1524—1576) ირანში გავრცელებული ყოფილა თურქული ანდაზა „ქალაქი ჩვენია და ქალაქის ნუგბარიც ჩვენია (شهر بزم خلوا بزم)". ამ თქმაში შესანიშნავად არის კონცენტრირებული ყიზილბაში ნომადების თვალსაზრისი ქალაქზე და საქალაქო ცხოვრებაზე. ისინი ჩემულობდნენ არა მარტო პოლიტიკურ ბატონობას ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ ერთეულებზე — ქალაქებზე არამედ მათ საესებით რეალურ შესაძლებლობად მიიჩნდათ ხელი დაედოთ ქალაქში წარმოებულ ხელოსნურ პროდუქციაზე და სავაჭრო საქონელზე.

[2] Памятники дипломатических и торговых сношений Московской Руси с Персией, под редакцией Н. Веселовского (შემდეგში: Памятники), I, СПб., 1890, გვ. 21.

[3] И росправы никоторые [в зе]мле не почало быти. იქვე.

ვიზეზით, მოტანილი ცნობის ავტორის აზრის თანახმად „ყიზილბაშების ქვეყანას“ („Кизылбашская земля“ — ასე უწოდებდნენ რუსეთში სეფიანთა სახელმწიფოს — კ. კ.), ლაშქრის ხალხს და ვაჭრობის ხალხს და აგრეთვე სხვას ყველას (всякие люди), შეუყვარდათ (взлюбили) ხოდაბანდეს ძე, აბას მირზა“ და დაუწყეს მას თხოვნა თავისი სუსტი და სნეული მამის ნაცვლად გასძღოლოდა ქვეყანას[4].

ამრიგად, XVI ს. 80-იან წლებში ვაჭრები სეფიანთა ირანის მოსახლეობის სხვა ფენებთან ერთად იღწვოდნენ ქვეყნის „მოსაწესრიგებლად“. ფეოდალური აშლილობის მოსპობას და ქვეყნის დამშვიდებას ისინი ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობას უკავშირებდნენ.

ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი 1629 წელს, როდესაც შაჰ აბას I სიკვდილთან დაკავშირებით სეფიანთა სახელმწიფო და განსაკუთრებით ქალაქი ისფაჰანი ტახტის მაძიებელ დაჯგუფებათა ბრძოლამ მოიცვა. „კარმელიტების ქრონიკის“ ერთ-ერთი ცნობიდან ირკვევა, რომ ისფაჰანის ქართველი ტარუღა ხოსროვ მირზა (შემდეგში ქართლის მაჰმადიანი მეფე—როსტომი (1632—1658) ატეხილი შფოთის ჩასახშობად და შაჰ აბას I ძისა და მემკვიდრის სეფი მირზას ტახტზე ასაყვანად ქართველი ღულამების გარდა ისფაჰანის „მოქალაქეებს“ (citizens) ანუ ვაჭარ-ხელოსანთა ფენასაც ეყრდნობოდა[5].

ზემოთ მოყვანილ ისტორიულ ფაქტებში ნათლად აისახა ქალაქის მოსახლეობისა და კერძოდ ვაჭარ-ხელოსანთა ფენის მისწრაფება — მხარი დაეჭირათ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისათვის. ყოველივე ეს ძნელად მისაღწევი ან უფრო სწორედ მიუღწეველი ჩანდა ყიზილბაშ ამირების მძლავრობის ხანაში — XVI საუკუნის ირანში.

მაგრამ საქალაქო ცხოვრების განვითარების შედარებით დაბალი დონე არ შეიძლება ავხსნათ მხოლოდ XVI საუკუნის სეფიანთა სახელმწიფოს არახელსაყრელი შინაგანი პოლიტიკური ვითარებით. საქალაქო ცხოვრების ნაკლებად განვითარების ერთ-ერთ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ის ხანგრძლივი ომები, რომელსაც აწარმოებდა სეფიანთა სახელმწიფო მეზობელ თურქეთთან და შუა აზიის სახანოებთან ამ საუკუნის უდიდესი მონაკვეთის მანძილ-

---

[4] Памятники, I, გვ. 21.

[5] A Chronicle of the Carmelits in Persia and the Papal Mission of the XVII-th and XVIII-th centuries, volume, I, London, 1939, გვ. 285.

ზე. ამ ომების შედეგად განსაკუთრებით დაზარალდნენ ირანის ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრები, როგორიც იყო თავრიზი, ყაზვინი, ნიშაბური, მეშჰედი და სხვ. იარნის ეს მსხვილი ქალაქები ხშირად ხელიდან ხელში გადადიოდა. მოწინააღმდეგე დაპყრობილ ქალაქში ხშირად ყათლამის (قتل عام) ანუ მოსახლეობის მასობრივი ჟლეტის პოლიტიკას მიმართავდა[6]. ამის შედეგად ნადგურდებოდა ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და პირველ რიგში კი ვაჭარ-ხელოსანთა ფენა[7]. ამას გარდა, მოწინააღმდეგე ანადგურებდა და აოხრებდა ქალაქის შენობებს, ძარცვავდა ბაზრებს, ქარვასლებს, სახელოსნოებს, სახლებს და უამრავი დოვლათი მიჰქონდა თან. ასე ისპობოდა ქალაქში ხელოსნობისა და ვაჭრობის შემდგომი აღმავლობის საფუძველი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა მაშინ, როდესაც ქალაქიდან მატერიალურ სიმდიდრესთან ერთად გაჰყავდათ ათასობით ხელოსანი და ვაჭარი, რომლებიც გამიზნული იყვნენ გამარჯვებული ქვეყნის ხელოსნობისა და ვაჭრობის ასაყვავებლად[8].

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თურქეთ-ირანის ომები ერთი მხრივ და მეორე მხრივ სეფიანთა სახელმწიფოს და შუა აზიის ოზბეგთა სახანოების ხანგრძლივი ბრძოლა ხორასნისათვის უარყოფით გავლენას ახდენდა ირანის მხოლოდ სასაზღვრო ოლქების საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე. ომების შედეგად დიდ ზარალს განიცდიდა სეფიანთა სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვანი ქალაქის ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა. განსაკუთრებით ეს ითქმის ქალაქების მიერ წარმოებულ საგარეო ვაჭრობაზე.

ზოგიერთი ცნობის თანახმად XVI ს. თურქეთ-ირანის ომების პერიოდშიც არ წყდებოდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების საქარავნო ვაჭრობა ვენეციის რესპუბლიკასთან თურქეთის ტრანზიტით[9]. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ შუა საუკუნეებში თვით მშვიდობიანობის დროსაც კი საგარეო ვაჭრობის

---

[6] تاریخ عالم آرای عباسی، تألیف اسکندربیگ ترکمان، تهران، ۱، ۱۳۳۴ (შემდეგში: ისკანდერ მუნში, თარიხ-ი...), გვ. 309—311.

[7] იქვე.

[8] სულთან სელიმ I-ის (1512—1520) ბრძანებით ჩალდირანის ბრძოლის (1514) შემდეგ თავრიზიდან თურქეთში გაიყვანეს 700 კომლი ხელოსანი. ზოგიერთი აეტორი ტყვედ წაყვანილ ხელოსანთა ოჯახების უფრო მაღალ რიცხვს (1000 და 3000) ასახელებს: И. П. Петрушевский. Восстание ремесленников и городской бедноты в Тебризе в 1571 — 1573 гг., ССИА, I, Баку, 1949, გვ. 217 — 218; L. Lockhart, Persian cities, London, 1960, გვ. 14.

[9] А. Олеарий, Подробное описание голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 гг., Москва, 1870, გვ. 885.

წარმოება დაკავშირებული იყო დიდ რისკთან. სავაჭრო ქარავანს ბრავალი ხიფათი ელოდა როგორც თავის ქვეყნის ფარგლებში, ისე უცხო ქვეყნებში, რომლის ტერიტორიის გავლაც მას უხდებოდა. არც ისე იშვიათი იყო შემთხვევები, როცა სავაჭრო ქარავანს ძარცვავდნენ, ხოლო ვაჭრებს ხოცავდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავიანთი ბოროტმოქმედებით თურქეთის ოლქების მმართველები — ფაშები, რომელიც სარგებლობდნენ რა თავის სამმართველო ოლქში უმაღლესი ხელისუფლებით, ავიწროებდენ ირანიდან მომავალ ვაჭრებს, გადიდებულ ბაჟებს თხოვდნენ ქარავნის გატარებისათვის, ითვისებდნენ მათი საქონლის ნაწილს და სხვ. მდგომარეობა უფრო მძიმდებოდა ომის პერიოდში, როდესაც მოწინააღმდეგის ქვეყნიდან მოსული ვაჭრების შევიწროვებას და მათი საქონლის მითვისება-მიტაცებას მასობრივი ხასიათი ეძლეოდა. ეს მოვლენა თავისებური დაუწერელი კანონის სახეს იძენდა. ამდენად სავსებით გასაგები უნდა იყოს, რომ იმ გაუთავებელი ომების დროს, რომელიც წარმოებდა XVI საუკუნის მანძილზე, სეფიანთა ირანის ქალაქების საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიდა და მისი მასშტაბებიც სულ უფრო მცირდებოდა. სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის თხზულებაში ვხვდებით ასეთ ადგილს: „რადგანაც 1639 წლიდან 1698 წლამდე, რომელშიც ეხლა ჩვენ ვიმყოფებით, ზავი და მშვიდობიანობა სუფევს, ამიტომ კონსტანტინოპოლიდან ისფაჰანამდე მისვლა-მოსვლა უხიფათოა და შიშის გარეშე შეიძლება“[10]. ამ ცნობაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ომის დროს ორი მოწინააღმდეგე ქვეყნის უდიდეს სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს შორის ეკონომიურ ურთიერთობას, ვაჭრობის წარმოებას ბრავალი სიძნელე და ხიფათი ელობებოდა წინ.

ამრიგად, XVI საუკუნის სეფიანთა სახელმწიფოში საქალაქო ცხოვრების განუვითარებლობის მიზეზებიდან უმთავრესად ორი უნდა მივიჩნიოთ: 1. სეფიანთა დინასტიის ირანში გაბატონებასთან დაკავშირებით მომთაბარე ყიზილბაში ამირების პოლიტიკური გავლენის განმტკიცება-გაძლიერება და მომთაბარე-მეჯოგეთა ტრადიციების დანერგვა და 2. ხანგრძლივი ომები თურქეთთან და შუა აზიის ოზბეგურ სახანოებთან, რომლებშიც ჩაბმული იყო სეფიანთა სახელმწიფო თითქმის მთელი XVI საუკუნის მანძილზე. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდიდა როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე საქალაქო ცხოვრების, ქალაქის ხელოსნობისა და ვაჭრობის ზრდასა და განვითარებას.

---

10 Զարարեայ Սարկաւագի Պատմագրութիւն. Վաղարշապատ, 1870, (შემდეგში: ზაქარია სარკავაგი), II, გვ. 26.

მართალია ეს ორი ფაქტორი საბოლოოდ არც XVII საუკუნეში მოხსნილა, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და მისი გავლენის ზრდის (განსაკუთრებით შაჰ აბას I (1587—1629). შაჰ სეფის (1629—1642) და აგრეთვე ნაწილობრივ შაჰ აბას II (1642—1666) დროს) შედეგად მნიშვნელოვანწილად გატეხილ იქნა შუღლისმოყვარე ყიზილბაში ამირების ძლიერება, ისინი იძულებულნი შეიქმნენ უარი ეთქვათ სეპარატისტულ მისწრაფებებზე და დამორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას.

ნომად-მეჯოგეთა ტრადიციების მაგივრად სეფიანთა სახელმწიფოში წინა პლანზე კვლავ ირანულმა და აგრეთვე კავკასიურმა ელემენტმა და მათმა კულტურულმა ტრადიციებმა წამოიწია[11].

თითქმის მთელი XVII საუკუნის განმავლობაში, ზოგიერთი ნაკლებად მნიშვნელოვანი რეციდივის გარდა, მშვიდობა სუფევდა სეფიანთა სახელმწიფოს აღმოსავლურ საზღვარზე. მხოლოდ შაჰ სულეიმანის (1666—1694) მბრძანებლობის უკანასკნელ წლებში კვლავ განაახლეს შემოსევები ოზბეგთა ხანებმა ხორასანში. თურქეთ-სპარსეთის ომები ხანგრძლივი ინტერვალებით XVII საუკუნეშიც მიმდინარეობდა. მაგრამ ამჯერად სეფიანთა სახელმწიფომ თურქეთთან ომში მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებსაც მიაღწია. სტამბოლის 1612 წლის და სარავის 1618 წლის ხელშეკრულებების ძალით ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი ირანის გავლენის ზონად იქნა გამოცხადებული. ამის შედეგად სეფიანთა სახელმწიფოს შეემატა სოფლის მეურნეობითა და განვითარებული საქალაქო ცხოვრებით სახელგანთქმული ქვეყნები. ეს განსაკუთრებით ითქმის კახეთის სამეფოზე და შირვანის სახანოზე. 1623—1633 წლების ფარგლებში საომარი მოქმედება ირანსა და თურქეთს შორის უპირატესად სეფიანთა სახელმწიფოს მოშორებით, შუამდინარეთში ბაღდადზე ბატონობისათვის მიმდინარეობდა. ხოლო 1639 წელს ოსმალეთსა და სეფიანთა ირანს შორის დადებულ იქნა ზავი, რომელიც თითქმის ასი წლის განმავლობაში აღარ დარღვეულა. რა თქმა უნდა, XVII საუკუნეში წარმოებული თურქეთ-ირანის ომებიც გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა საქალაქო ცხოვრებისა და უწინარეს ყოვლისა საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ომების დროს რამდენჯერმე იქნა დარბეული ქალაქი თავრიზი. მაგრამ არც ის ფაქტი უნდა დაივიწყოთ, რომ XVI ს. მეორე ნახევრიდან იწყება ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზის

---

[11] ისკანდერ მუნში. თარიხ-ი..., II, გვ. 1088—1089; ვ. გაბაშვილი., სეფიანთა სახელმწიფო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ. 1957, გვ. 234—244; კ. კუცია. კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, 1963, გვ. 63—75.

ინტენსიური ათვისება, რომლის მეშვეობით სეფიანთა ირანი მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობით დაუკავშირდა არა მარტო მოსკოვის სახელმწიფოს, არამედ ევროპის მრავალ ქვეყანასაც[12]. ამით მნიშვნელოვნად კომპენსირებული იქნა ის ზარალი, რომელსაც განიცდიდნენ ირანის ქალაქები საგარეო ვაჭრობის წარმოებით თურქეთის ტრანზიტით. 1639 წლის ზავის დადების შემდეგ კი შედარებით უკეთესი პირობები შეიქმნა თურქეთ-ირანის ვაჭრობისათვისაც. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სეფიანთა ირანის ქალაქების საგარეო ვაჭრობის გაცხოველებისათვის 1623 წელს სპარსეთის ლაშქრის მიერ იმამ ყული ხანის მეთაურობით ქალაქ ჰორმუზისა და კუნძულ ქეშმის დაპყრობას. სპარსელებს, როგორც ცნობილია, ინგლისელთა ფლოტი ეხმარებოდა[13]. ამ ოპერაციის შედეგად სპარსეთის ყურე გაწმენდილ იქნა პორტუგალიელებისაგან და ირანელ ვაჭრებს შესაძლებლობა მიეცათ თავისუფლად ეწარმოებინათ ვაჭრობა ინდოელ და ევროპელ ვაჭრებთან, რომლებიც სპარსეთის ყურეში მოდიოდნენ.

ასეთი იყო ის ობიექტური მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს სეფიანთა ირანის საქალაქო ცხოვრების, ქალაქის ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდა და განვითარება. XVI საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან XVII ს. 70-იანი წლების დამლევამდის.

მაგრამ ამ ობიექტური მიზეზების გარდა არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ საგანგებო ღონისძიებებსაც, რომელსაც მიმართავდა ცენტრალური ხელისუფლება საქალაქო ხელოსნობისა და ვაჭრობის აღმავლობისათვის. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის ეკონომიური მნიშვნელობის ზრდას შაჰ აბას I (1587—1629). მას კარგად ესმოდა, რომ ქალაქის ხელოსნური წარმოების განვითარება, ახალი სახელოსნო დარგების დანერგვა, საშინაო ვაჭრობის გაფართოება და ქალაქების სავაჭრო ურთიერთობის გააქტივება აზიისა და ევროპის ქვეყნებთან იყო ერთ-ერთი უმთავრესი და ძირითადი პირობა სეფიანთა სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი პოლიტიკური გავლენის განმტკიცებისა[14].

---

[12] M. B. Фехнер. Торговля Русского государства со странами Востока. М., 1952, გვ. 32; ვ. გაბაშვილი. თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 99, 1962, გვ. 254.

[13] ისკანდერ მუნში. თარიხი..., ტ. II, გვ. 979—982; M. Иванов. Очерк истории Ирана. Москва. 1952. გვ. 69.

[14] Voyages du Chevalier Chardin en Perse..., Ed. par. L. Langlès, tt. 1—X. Paris, 1811. (შემდეგში: Chardin), VIII, გვ. 111.

შაჰ აბას I უშუალო მონაწილეობით ირანის ქალაქებში აგებულ იქნა ახალი ბაზრები, ქარვასლები, სავაჭროები და სხვა. ისკანდერ მუნშის საისტორიო ნაწარმოების, „თარიხ-ი ალემ არაი აბასის“ ახლად აღმოჩენილ ფრაგმენტის ცნობით შაჰ აბას I დროს ქალაქ ისფაჰანში მიზგითების, მედრესეების, ქსენონებისა (دارالشفا), და აბანოების გარდა აშენდა დიდი ბაზარი—ყეისარიე (قیصریه). სავაჭრო მოედანი (بازارگاه) და ქარვასლები[15]. ბაზრების, ქარვასლებისა და სავაჭროების მშენებლობა მიმდინარეობდა აგრეთვე თავრიზში, ყაზვინში, ქაშანში, ყუმში, მეშჰედში, ჰამადანში, შირაზში, ლარში და სეფიანთა სახელმწიფოს სხვა მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში[16]. ქალაქ ჰერათის საბოლოოდ შემოერთების შემდეგ (1597) შაჰ აბასი ცდილობდა კვლავ აღედგინა მისი ოდინდელი ეკონომიური მნიშვნელობა[17]. მასვე მიაწერენ რამდენიმე ქარვასლის მშენებლობის ჰერათის სამხრეთით, გზაზე, რომელიც დიდ სავაჭრო ქალაქ ყანდაჰარს უკავშირდებოდა[18].

დიდი ყურადღება ექცეოდა ძველი სავაჭრო გზების განახლება-შეკეთებას და ახლების მშენებლობას. მაზანდარანში, ქალაქ ფარაჰაბადის მშენებლობის დამთავრების შემდეგ (1623), შაჰ აბასის ბრძანებით გაყვანილ იქნა ახალი გზა კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ[19]. ამ გზის სიგრძე, რომელიც ქ. ფარაჰაბადს ირანის სხვა ქალაქებს აკავშირებდა, დაახლოებით 270 კმ უდრიდა. XVII საუკუნის პირობებში ამგვარი გზის მშენებლობა ქვეყნის ძალების უდიდეს დაძაბვას მოითხოვდა და მნიშვნელოვან ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე გზების უშიშროებისათვის. XVI ს. სეფიანთა სახელმწიფოში ოლქების მმართველებს ევალებოდათ უზრუნველეყოთ „გზებისა და შარების“ (طرق و شوارع) უსაფრთხოება, რათა „ვაჭარი და მგზავრი“ (تجار و مترددین) დაცული ყოფილიყო ყოველგვარი ხიფათისაგან[20].

ამ ღონისძიების შედეგად შედარებითი უშიშროება დამყარდა ირანის სავაჭრო გზებზე და საგრძნობლად შემცირდა სავაჭრო ქა-

---

[15] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., ტ. II, გვ. 1112.

[16] იქვე. გვ. 1111—1112.

[17] В. В. Бартольд. Историко-географический обзор Ирана, СПб. 1903, გვ. 40.

[18] იქვე. გვ. 45.

[19] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., II, გვ. 990—991.

[20] ذیل تاریخ عالم آرای عباسی، تألیف اسکندر بیگ ترکمان، تهران، ۱۳۱۷ გვ. 149 (შემდეგში: ისკანდერ მუნში, ზეილ-ი თარიხ-ი...).

რავნებზე თავდასხმის შემთხვევები. გზების უსაფრთხოებამ (طرق امنیت), კი ხელი შეუწყო იმას, რომ „მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან და მხარეებიდან ვაჭრებმა და სოვდაგრებმა დაიწყეს დენა და მიმოსვლა ღვთივ დაცულ სახელმწიფოში (ე. ი. სეფიანთა ირანში — კ. კ.)"[21].

XVI ს. ირანის ქალაქების ვაჭრობის აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდვაჭრების მფარველობის პოლიტიკას, რომელსაც მიმართავდნენ შაჰ აბას I და სხვა სეფიანი შაჰები. დიდვაჭრებს შაჰის ფირმანით უფლება ეძლეოდათ აღებმიცემობა ეწარმოებინათ სეფიანთა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე. ამავე ფირმანით დაცული იყო როგორც თითონ ვაჭრის პიროვნება, ისე მისი საქონლის უვნებლობა ადგილობრივი მმართველების, საბაჟოების მოხელეებისა და გადასახადების ამკრეფთა ხელყოფისაგან.

არსებითად ეს ფირმანები თავისებურ „მფარველობის წიგნებს" წარმოადგენენ. ასეთი ფირმანებიდან ჩვენამდის მხოლოდ ერთს მოუღწევია, ისიც სომხურ თარგმანში. ეს არის არეზის ჯულის დიდვაჭარ ხოჯა ნაზარის სახელზე 1001 წ. ჰიჯრით (1592/3) შაჰ აბას I მიერ გაცემული ფირმანი[22].

ამ მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტში შესანიშნავად არის ასახული შაჰ აბასის დამოკიდებულება დიდვაჭრებთან და მათ საქმიანობასთან. გარკვეული შეღავათების მინიჭებით იგი ცდილობდა დაეცვა ვაჭარი ადგილობრივი გავლენიანი მოხელეების ძალადობისაგან და სეფიანთა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ნორმალური პირობები შეექმნა ვაჭრობის განვითარებისათვის. საგულისხმოა, რომ უკვე XVI საუკუნის 90-იან წლებში შაჰ აბასი ყურადღებას აქცევს სომხურ სავაჭრო კაპიტალს, მიზნად ისახავს მიიზიდოს ირანში მდიდარი სომეხი „ხოჯები" და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის ვაჭრობის დაწინაურება-აღმავლობას. ეს ტენდენცია შემდეგში უფრო ნათლად გამოიკვეთა და თავისი უმაღლესი გამოვლინება ჰპოვა არეზის ჯულის მცხოვრებლების (რომლის უმრავლესობას მდიდარი სომეხი ვაჭრები შეადგენდნენ) აყრაში და ისფაჰანში გადასახლებაში.

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ თითონ შაჰ აბასი და მისი მომდევნო სეფიანი შაჰები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სა-

---

[21] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი... II, გვ. 1104. تجار و سوداگران از اطراف و الناس عالم بملکه محروسه تردد و آمدو شد آغاز نهادند

[22] Պատմութիւն Նոր Ջուղայ որ յԱսպահան աշխատասիրեալ ի պ. Ծարուրիկէ Ք. տէր Հովհաննէսեանց, հատոր առաջին, Նոր Ջուղայ, 1880 (შემდეგში: ახალი ჯულის ისტორია), გვ. 158—159.

ვაჭრო საქმიანობაში, კერძოდ კი საგარეო ვაჭრობაში. ისინი ნამდვილ „მეფე-ვაჭრებს“ წარმოადგენდნენ[23] და ამით უფრო იზრდებოდა მათი დაინტერესება სეფიანთა ირანის სავაჭრო საქმიანობის განვითარებასა და გაფართოებისადმი. ამის შედეგი კი იყო ის, რომ ამიერკავკასიელი ვაჭრები მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობით დაუკავშირდნენ ირანს და „მუდამ (XVI—XVIII სს.) ირანული ორიენტაციის გზას ადგნენ“[24].

როგორც ზემოთ დავინახეთ შაჰ აბასს უკვე XVI საუკუნის დამლევს ჰქონდა კავშირი არეზის ჯულის მდიდარ სომეხ ვაჭრებთან. მან კარგად იცოდა ამ ქალაქის ეკონომიური ძლიერება და მისი ვაჭრების საერთაშორისო ფართო სავაჭრო ურთიერთობანი. ინგლისელი მოგზაურისა და ვაჭრის ედვარდსის ცნობით ჯერ კიდევ XVI საუკუნის შუა წლებში ჯულის მცხოვრებლებმა ქალაქ ალეპოს საშუალებით ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს ვენეციელ ვაჭრებთან[25], ხოლო ამავე საუკუნის 70-იანი წლებიდან ჯულელები უკვე უშუალო სავაჭრო ურთიერთობით უკავშირდებიან ვენეციის რესპუბლიკას[26]. ამავე დროს ჯულელი ვაჭრები ცდილობენ ირანული და ამიერკავკასიური ნედლი აბრეშუმის ექსპორტი რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აწარმოონ ვოლგა-ასტრახანის გზით.

ყოველივე ამის შედეგად ჯულის სომეხმა ვაჭრებმა ცხოველი სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. ისინი ვაჭრობას აწარმოებდნენ როგორც ევროპასთან, ისე ინდოეთთან, თურქეთთან, ირანთან და სხვა ქვეყნებთან. ქალაქი ჯულა „აბრეშუმის გასაღების ნამდვილ ბირჟად“ იქცა[27]. XVI საუკუნის 80-იან წლებში ჯულელი ვაჭრები „იმყოფებოდნენ აბრეშუმით ვაჭრობის მთავარ ცენტრებში: შემახაში, არეშში, განჯაში, კახეთში, გილანში“[28].

ჯულას ეკონომიური მნიშვნელობა იზრდებოდა აგრეთვე იმ გარემოების შედეგად, რომ იგი „ამიერკავკასიის ქალაქებს ერთმანეთთან აკავშირებდა როგორც ვაჭრობის ცენტრი“[29]. ჯულელი დიდვაჭ-

---

[23] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 74.

[24] იქვე.

[25] Английские путешественники в Московском государстве. Москва. 1937. გვ. 229—230.

[26] К. А ш р а ф я н, Падение державы Сефевидов (1502—1722). Очерки по новой истории стран Среднего Востока. МГУ, 1951, გვ. 189.

[27] И. П. П е т р у ш е в с к и й, Азербайджан в XVI—XVII вв., ССИА. I, Баку, 1949, გვ. 273; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 62.

[28] იქვე.

[29] იქვე.

რებიდან თავისი სიმდიდრით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქალაქის ქალანთარი ხოჯა ხაჩიკი და მისი ვაჟები ხოჯა ნაზარი და ხოჯა საფარი.

მაგრამ არეზის ჯულა ცნობილი იყო არა მარტო თავისი ვაჭრობით. მასში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია აგრეთვე ხელოსნურმა წარმოებამაც[30]. შარდენის ცნობით ჯულადან ისფაჰანში გადმოსახლებულ სომხებს შორის მრავლად იყვნენ ხელოსნებიც[31].

ამრიგად, XVI—XVII საუკუნეების მიჯნაზე არეზის ჯულა უდიდეს სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა, რომელიც გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანასთან. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ შაჰ აბასმა განიზრახა ჯულის მცხოვრებლების ირანში გასახლება. ამით ერთბაშად გაიზრდებოდა ირანის საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა და სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქებს მრავალი მდიდარი ვაჭარი და გამოცდილი ხელოსანი შეემატებოდა.

ყოველივე ეს კი წინ წასწევდა ირანის საქალაქო ცხოვრებას და შეუწყობდა ხელს ქალაქების ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას. ამასთან ერთად, შაჰ აბასი ცდილობდა სპარსული ნედლი აბრეშუმის გატანა ევროპასა და რუსეთში სპარსეთის ყურისა და ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო გზით ეწარმოებინა. ამით სეფიანთა ირანის დაუძინებელ მტერს — ოსმალეთს დაუწყდებოდა სახელმწიფო შემოსავლის ის მნიშვნელოვანი წყარო, რომელსაც ირანული საქონლიდან აღებული უზარმაზარი ბაჟები იძლეოდნენ[32]. ჯულისა და არეზის პირას მდებარე ზოგიერთი სხვა მცირე ქალაქის (შაჰვერდი, ცგნა და სხვა) მოსახლეობის აყრას და ირანში წაყვანას სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. ირანის შაჰი ვრცელი ტერიტორიების გაუდაბურებითა და გაუკაცრიელებით მიზნად ისახავდა დაბრკოლებები შეექმნა თურქეთის ლაშქრისთვის და ამით გაეძნელებინა მათთვის მდინარე არეზის გადალახვა და ირანში შეჭრა.

ასეთი იყო იმ ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზების რთული ხლართი, რომელიც უკარნახებდა შაჰ აბას I აბრეშუმით ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრის — ქალაქ ჯულიდან ირანის შუაგულ-

---

[30] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, იქვე.

[31] C h a r d i n, VIII, გვ. 112.

[32] ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ არის XVII ს. პირველი ნახევრის ფრანგი დიპლომატის კურმენენის შემდეგი ცნობა „Ныне царь Персии (le Roi de Perse) чинит помеху в дозволении на пропуск караванам, направляющимся в Турцию, по той причине, что эта торговля обогащает турок, его врагов". Г. Ж о р д а н и я. Очерки из истории франко-русских отношений. ч. II. Тбилиси, 1959, გვ. 105.

ში გადატანას და მისი მცხოვრებლების ირანში გასახლებას. 1605 წელს მისი ბრძანებით სპარსეთის ლაშქარი შეუდგა ჯულის მოსახლეობის აყრას[33].

მოსახლეობისაგან დაცლილი ჯულა დანგრეულ და გადამწვარ იქნა[34].

ჯულიდან წამოყვანილი მოსახლეობა შაჰ აბასის ბრძანებით დაასახლეს სეფიანთა სახელმწიფოს დედაქალაქ ისფაჰანის გარეუბანში, მდინარე ზაენდე-რუდის ნაპირზე. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ჯულელები დასახლებული იყვნენ იმ ადგილას, სადაც ძველიდანვე არსებობდა სომხური სავაჭრო კოლონია, რომელიც გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდა ირანის სხვადასხვა პროვინციებთან და ინდოეთთან[35]. ისფაჰანის გარეუბანში წარმოქმნილ დიდ სომხურ კოლონიას ახალი ჯულა (*Նոր Ջուղա*) ეწოდა. გარდა ჯულისა, ირანში გადმოსახლებულნი იყვნენ აგრეთვე ერევნისა და ნახიჭევანის მცხოვრებლები[36].

ასეთივე ბედი ეწვია საქართველოს და კერძოდ, კახეთის განვითარებულ სახელოსნო-სავაჭრო ქალაქებს — გრემს, ბაზარს (ზაგემს), თელავს და სხვ. არაქელ თავრიზელის ცნობით 1614 წლის ლაშქრობის დროს სპარსელებმა „სულერთიანად მოაოხრეს და იავარყვეს ყველაფრით სავსე, უხვი და ხალხმრავალი კახეთი და გრემი“[37]. ნახევრადველურ ყიზილბაშთა თარეშის შედეგად მდიდარი ქალაქები დაინგრა, ეკლესია-მონასტრები გაიძარცვა და წაიბილწა, ხოლო „კახეთისა და გრემის მოსახლეობა მოისპო, ზოგის ხოცვა-ჟლეტით და ზოგის წარტყვევნით“[38]. კახეთიდან წამოყვანილი მოსახლეობა დასახლებულ იქნა მაზანდარანის პროვინციაში, ახლად დაარსებულ ქალაქ ფარაჰაბადში და მის მიდამოებში[39].

ანალოგიური ამბები განმეორდა 1616 წელს, როდესაც სპარსელებმა ქალაქ ზაგემში მოსახლეობის კვალიც კი არ დატოვეს და ისკანდერ მუნშის სიტყვით რომ ვთქვათ, კახეთი, რომელიც „ყოველწლიურად ურიცხვ სარგებელსა და შემოსავალს იძლეოდა დაინგრა და მიწასთან გასწორდა“. ამჯერადაც კახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მაზანდარანს იქნა წაყვანილი.

---

[33] Պատմութիւն Արարել վարդապետի Դաւրիժեցւոյ, Վաղարշապատ, 1896, (შემდეგში არაქელ თავრიზელი). გვ. 57, 64.

[34] არაქელ თავრიზელი, გვ. 57, 64.

[35] С. В. Тер-Аветисян. Город Джуга. Материалы торговых сношений джульфинских купцов XV—XVII вв., Тбилиси, 1937, გვ. 18.

[36] არაქელ თავრიზელი. გვ. 46.

[37] იქვე, გვ 123.

[38] იქვე. გვ. 132.

[39] იქვე, გვ. 131; ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., II, გვ. 900.

გარდა მაზანდარანისა საქართველოდან წაყვანილი ტყვეები დასახლებულნი იყვნენ გულფაიგანში და შიდა ირანის ზოგიერთ სხვა ოლქშიც. ევროპელი მოგზაურების (პიეტრო დელა ვალე, ა. ოლეარი, ჟ. შარდენი და სხვ.) ცნობებიდან ირკვევა, რომ XVII ს. ისფაჰანში მეტად მრავალრიცხოვანი ქართული მოსახლეობა არსებობდა. ა. ოლეარი კი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ისფაჰანის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გარეუბანი — ჰასანაბადი ძირითადად შეძლებული ქართველი ვაჭრებით იყო დასახლებული[40].

XVII ს. პირველ მეოთხედში შაჰ აბას I ბრძანებით ირანში გადაასახლეს აგრეთვე დარუბანდის, განჯის, არეშის, ბაქოსა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის სხვა ქალაქების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი[41].

ამრიგად, სეფიანთა სახელმწიფოში საქალაქო ცხოვრების აღმავლობისათვის, ქალაქების ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის და „ქვეყნის მოშენებისათვის“ შაჰ აბასი მასობრივი გადასახლების პოლიტიკას მიმართავდა. ამიერკავკასიის ქვეყნების, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის დაცემა-დასუსტების, ხელოსნობა-ვაჭრობით განთქმულ ქალაქების დაკნინება-დაქვეითებისა და ზოგიერთ შემთხვევაში კი მთლიანად განადგურების (არეზის ჯუღა, გრემი, ზაგემი) ხარჯზე შაჰ აბასი ცდილობდა შესაფერისი პირობები შეექმნა სეფიანთა ირანის ეკონომიური აღმავლობისათვის და პირველ რიგში საქალაქო ხელოსნობის და ვაჭრობის ზრდისა და განვითარებისათვის. ასე, რომ, იმ ღონისძიებათა რიგში, რომელსაც მიმართავდა შაჰ აბასი ქალაქების ეკონომიური მდგომარეობის განმტკიცება-გაძლიერებისათვის, ერთ-ერთი პირველი ადგილი ეჭირა ამიერკავკასიის სავაჭრო კაპიტალისა და დაოსტატებული ხელოსნების კადრების მიზიდვას ირანში. ყველაფერი ეს მან სეფიანთა სახელმწიფოს კეთილდღეობის სამსახურში ჩააყენა.

სეფიანთა ირანში ვაჭრობის განვითარება-გაცხოველებისათვის რამდენიმე ღონისძიება შაჰ აბასის შემდეგაც იქნა გატარებული. მათ შორის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შაჰ სეფის ზეობის (1629-1642) პირველ წლებში გატარებულ რეფორმას, რომელიც სრულიად სცვლიდა ნედლი აბრეშუმის ყიდვისა და რეალიზაციის წესებს. ცნობა ამის შესახებ დაცულია ისკანდერ მუნშის თხზულებაში „ქვეყნის დამამშვენებლის აბასის ისტორიის გაგრძელება[42]“. შაჰ სეფის რეფორმამდე გლეხებისაგან და მიწისმფლობელებისაგან

---

[40] Олеарий, გვ. 678.

[41] Памятники, II, გვ. 301

[42] ისკანდერ მუნში, ზეილი თარიხ-ი..., გვ. 13—14.

აბრეშუმის შეძენის მონოპოლიური უფლებებით სარგებლობდა შაჰის ხაზინა. აბრეშუმის ვაჭრობით მიღებული მოგება შაჰის საკუთრებას წარმოადგენდა[43]. უშუალო მწარმოებელსა და ვაჭარს შორის დივანის მოხელეები იდგნენ. ამდენად ვაჭარი იძულებული იყო ნედლი აბრეშუმი ეყიდა არა სოფლის რაიათებისაგან, არამედ დივანის მოხელეებიდან მათ მიერვე დადგენილ ფასებში, ამას კი დიდი ზარალი მოჰქონდა როგორც გამყიდველისათვის ისე მყიდველისათვის და მრავალი „დანაშაულის მიზეზი ხდებოდა"[44].

შაჰ სეფის მიერ შემოღებული წესით გლეხსა და ვაჭარს შორის სრულიად ისპობოდა დივანის მოხელეების შუამდგომლობა და ყოველ ვაჭარს უფლება ეძლეოდა ხაზინის ჩაურევლად გლეხთან ფასების ოდენობის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უშუალოდ მისგან შეეძინა ნედლი აბრეშუმი[45]. ისკანდერ მუნშის ცნობით აბრეშუმით ვაჭრობის წესების შეცვლის შედეგად შაჰის წლიურ შემოსავალს მნიშვნელოვანი თანხა — 15 ათასი ერაყული თუმანი დააკლდა[46]. მაგრამ სამაგიეროდ ამ ღონისძიებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა XVII საუკუნის სეფიანთა ირანის ვაჭრობის შემდგომი აღმავლობისათვის. ერთი მხრივ იგი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სოფლისა და ქალაქის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცება-გაცხოველებისათვის, რადგანაც ამიერიდან გლეხს შეეძლო თავისი შრომის პროდუქცია უშუალოდ ვაჭრისათვის მიეყიდა და ამით თავიდან აეცილებინა ზარალი, რომელსაც მას დივანის მოხელეები აყენებდნენ, ხოლო მეორე მხრივ გლეხისაგან აბრეშუმის შეძენის გზების გაიოლება ხელს უწყობდა სეფიანთა ირანის ქალაქების მიერ წარმოებულ საგარეო ვაჭრობის განვითარებას, რადგანაც ირანისა და შირვან-კახეთის აბრეშუმის უდიდესი ნაწილი გადიოდა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში თაბრიზ-ალეპოს სახმელეთო მაგისტრალის, ვოლგა-ასტრახანის სანაოსნო გზისა და სპარსეთის ყურის მეშვეობით.

XVII ს. 70-იანი წლების დასასრული წარმოადგენს თავისებურ ტეხილს სეფიანთა ირანის საქალაქო ცხოვრების განვითარებაში ამ დროს მთელი სიძლიერით გამოვლინდა უკვე შაჰ აბას II ზეობის წლებში (1642—1666) დაწყებული ხელოსნობისა და ვაჭრობის დაქვეითება. საქალაქო ცხოვრების დაქვეითება დაკავშირებული იყო ერთი მხრივ მსხვილ ფეოდალთა ცენტრმსრბოლ ტენდენციების გაძლიერებასთან, რაც ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების ხარჯზე ხდებოდა, ხოლო მეორე მხრივ სეფიანთა სახელმწიფოს საერთო ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებასთან,

---

[43] ისკანდერ მუნში, ზეიელ თარიხ-ი..., გვ. 13—14.

[44] იქვე. [45] იქვე. [46] იქვე.

რაც უწინარეს ყოვლისა გაპირობებული იყო გლეხის მეურნეობის დაქცევა-გაღატაკებით. დაცარიელებული სახელმწიფო ხაზინის შევსებას ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა მწარმოებელი მოსახლეობის ექსპლოატაციის გაძლიერებით, ახალი გადასახადების შემოღებით და ძველების ოდენობის გაზრდით. ყოველივე ეს კი მძიმე ტვირთად აწვებოდა სოფლის რაიათებს, ქალაქის ხელოსნებსა და ვაჭრებს და სპობდა საქალაქო ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების ყოველგვარ სტიმულს.

მაგრამ სეფიანთა ირანის საქალაქო ცხოვრების მკვეთრი დაქვეითების მთავარ და ძირითად მიზეზად უნდა მივიჩნიოთ XV ს. მიწურულში აღმოჩენილი ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზის საბოლოო ათვისება, რასაც ადგილი ჰქონდა XVII ს. 70-იანი წლების დამლევს[47]. ამის შედეგად სეფიანთა სახელმწიფომ და მის ტერიტორიაზე გამავალმა საერთაშორისო ვაჭრობის უდიდესმა სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალებმა დაკარგეს თავიანთი სატრანზიტო მნიშვნელობა. ამიერიდან მთლიანად თუ არა მნიშვნელოვანწილად მაინც მოიშალა ირანის შუამავლობა ევროპისა და აზიის შორის წარმოებულ ვაჭრობაში.

ირანის მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები თავრიზი, ქაშანი, ყაზვინი, ისფაჰანი, შირაზი, არდებილი, იეზდი, ჰამადანი და სხვა ქალაქები მოწყვეტილი აღმოჩნდნენ მსოფლიო-სატრანზიტო ვაჭრობისგან, რამაც მათი ეკონომიური დასუსტება გამოიწვია. მკვეთრად შემცირდა ირანული ხელოსნური პროდუქციის გატანა ევროპის ბაზრებზე. ეს გარემოება კი არ შეიძლებოდა არ გამხდარიყო მიზეზი ქალაქების ადგილობრივი ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი შეფერხებისა და დაქვეითებისა.

ირანის ქალაქების საერთაშორისო ვაჭრობის დაცემა-შემცირების საქმეში არანაკლები როლი ითამაშა აგრეთვე იმ ფაქტმაც, რომ ამ პერიოდისათვის, ევროპის ქვეყნების მანუფაქტურებში, რომლებშიც შრომის ნაყოფიერების უფრო პროგრესული ფორმები იყო გამოყენებული, ვიდრე ირანულ ხელოსნურ ამქარში, აითვისეს აბრეშუმის შესანიშნავი ქსოვილების და სხვა საფეიქრო პროდუქციის წარმოება. ევროპის მანუფაქტურებში დამზადებული საფეიქრო ნაწარმი (ოქრო და ვერცხლნარევი ფარჩა, ხავერდი, თავთა და სხვ.). თავისი სილამაზითა და გამძლეობით არა თუ ჩამოუვარდებოდა ირანიდან შემოზიდულ სხვადასხვა სახის ქსოვილებს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში კიდევაც სჯობდა მათ[48].

---

[47] И. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII вв., გვ 262, 294. 296

[48] J. Tavernier. Voyages en Turquie, en Perse et aux Indes. Paris, 1676, ტ. II. გვ. 324.

ყოველივე ამის შედეგად მკვეთრად შემცირდა ევროპის ბაზრებზე მოთხოვნილება სეფიანთა სახელმწიფოს ექსპორტის ისეთ მნიშვნელოვან საგნებზე, როგორიც იყო აბრეშუმის ქსოვილები. ამან კი თავის მხრივ გამოიწვია ირანის ხელოსნური მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგის საფეიქრო წარმოების შეკვეცა-შემცირება.

ასეთი იყო ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს სეფიანთა ირანის ქალაქების და საქალაქო ცხოვრების დაცემა-დაქვეითება XVII ს. დამლევს.

ამრიგად, სეფიანთა ირანის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლისას ნათლად იკვეთება მისი განვითარების სამი პერიოდი: 1. 1502—1590 წწ. შინაგანი და საგარეო პოლიტიკური მიზეზების გამო ქალაქებმა და საქალაქო ცხოვრებამ (საქალაქო წყობილება, ხელოსნობა, ვაჭრობა) ვერ მიაღწია განვითარების მაღალ დონეს; 2. XVI ს. 90-იანი წლების დამდეგი — XVII ს. 70-იანი წლების დასასრული, მოიცავს საქალაქო ცხოვრების მნიშვნელოვანი აღმავლობა-გაცხოველების ხანას. ეს აღმავლობა გაპირობებული იყო ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობით (ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, საშინაო და საგარეო ომების შეწყვეტა, ირანის სატრანზიტო მნიშვნელობა, აბას I და სხვა სეფიანი შაჰების ზრუნვა ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებისათვის და საქალაქო წყობილების მოწესრიგებისათვის); 3. XVII ს. 70-იანი წლების დასასრული — 1722 წ. აღინიშნება საქალაქო ცხოვრების მკვეთრი დაქვეითებით. ამის უმთავრესი მიზეზი იყო სეფიანთა ირანის პოლიტიკური და ეკონომიური დასუსტება.

ირანის ქალაქების და ვაჭრობა-ხელოსნობის დაქვეითება გამოიწვია აგრეთვე საზღვაო გზის საბოლოო ათვისებამ, რის შედეგადაც ირანზე გამავალმა სახმელეთო გზებმა დაკარგეს თავიანთი ოდინდელი მნიშვნელობა. ამას ზედ დაერთო მანუფაქტურული წარმოების განვითარება დასავლეთ ევროპაში, რამაც თავის მხრივ, უარყოფითი გავლენა მოახდინა ხელოსნური ნაწარმის ექსპორტზე.

თავი I

ვაჭრობა სეფიანთა ირანის ქალაქებში

1. ქალაქი—ვაჭრობის ცენტრი

სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქების ეკონომიკაში ვაჭრობას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა. ირანის ისეთი ქალაქები, როგორიც იყო ისფაჰანი, თავრიზი, ქაშანი, ყაზვინი, არდები-

ლი, მეშჰედი, ჰამადანი, შირაზი, იეზდი, ბენდერ-აბასი ვაჭრობის მსხვილ ცენტრებს წარმოადგენდნენ.

მართალია ფეოდალურ ქალაქს, საერთოდ, და სეფიანთა ირანის ქალაქს, კერძოდ, ჯერ კიდევ ნახევრადაგრარული სახე ჰქონდა და მისი მოსახლეობის ერთი ნაწილი ხელოსნობისა და ვაჭრობის გარდა სოფლის მეურნეობასაც მისდევდა, მაგრამ სოფლისგან განსხვავებით ქალაქის ეკონომიკაში სწორედ ხელოსნობასა და ვაჭრობას ეჭირა მთავარი და დომინირებული ადგილი. ხელოსნური წარმოებისა და სავაჭრო საქმიანობის მნიშვნელოვანი განვითარებით განსხვავდებოდა ქალაქი სოფლისგან და უპირისპირდებოდა მას.

სეფიანთა ირანის ქალაქები როგორც სავაჭრო ცენტრები არაერთგზის არის მოხსენიებული აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში. ისკანდერ მუნშის ცნობით „სახელგანთქმულ ქალაქის თავრიზის მოსახლეობის უმრავლესობას ვაჭრები, ხელობისა და მრეწველობის ხალხი" შეადგენდა[1]. ეულია ჩელები, რომელმაც XVII ს. 60-იან წლებში იმოგზაურა სპარსეთში, გადმოგვცემს, რომ თავრიზში მრავლად იყვნენ ვაჭრები და ამ ქალაქში „ვაჭრობის საშუალებით კარუნის სიმდიდრის ხალხი ცხოვრობდა".

თავრიზის ვაჭრობის განვითარების მაღალ დონეზე ლაპარაკობენ ტავერნიე, შარდენი და ზოგიერთი სხვა ევროპელი ავტორი[2].

სეფიანთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი ქალაქი ისფაჰანი იყო. მის ბაზრებში ხშირად შეხვდებით პორტუგალელ, ინგლისელ, ჰოლანდიელ, ფრანგ, რუს, ქართველ, ინდოელ და სხვა ეროვნების ვაჭრებს. ჰერბერტის ცნობით, ისფაჰანი გამოირჩეოდა თავისი „მდიდარი ვაჭრობით" (rich trade)[3]. ისფაჰანის ვაჭრობა დაწვრილებით აქვთ აღწერილი ა. ოლეარს და ფ. კოტოვს[4].

მნიშვნელოვანი ვაჭრობა წარმოებდა აგრეთვე ირანის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სამრეწველო ცენტრში ქაშანში. ა. ოლეარის ცნობით ქაშანი ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და უდიდესი სავაჭრო ქალაქი იყო სეფიანთა სახელმწიფოში[5]. ამასვე იმეორებს სტრეისი. „ამჟამად (ე. ი. 1671 წ. — კ. კ.).

---

[1] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I, გვ. 308. سکنهٔ بلدهٔ فاخره اکثر تاجر و اهل حرفت و صناعتند

[2] Tavernier, I, გვ. 69.

[3] Herbert, Thomas, Travels in Persia 1627—1629, London, 1926. გვ. 126.

[4] Олеарий, გვ. 726; Ф. Котов, Хождение в Персию. М., 1960, გვ. 87—89.

[5] Олеарий, გვ. 631.

წერს იგი, —ქაშანი ყველაზე მნიშვნელოვანი და კარგად დასახლებული სავაჭრო ქალაქია სპარსეთში"[6].

ინგლისის „მოსკოვის კომპანიის" აგენტების ცნობით XVI ს. 60-იან წლებში ირანის უდიდეს სავაჭრო ცენტრს სეფიანთა სახელმწიფოს იმდროინდელი დედაქალაქი ყაზვინი წარმოადგენდა. ედვარდსის სიტყვით ირანის ყველაზე მდიდარი და შეძლებული ვაჭრები ყაზვინში საქმიანობდნენ[7]. ყაზვინს თავისი ეკონომიური მნიშვნელობა არც 1598 წლის შემდეგ დაუკარგავს, როდესაც სეფიანთა სახელმწიფოს დედაქალაქად ისფაჰანი იქნა გამოცხადებული. საყოველთაოდ ცნობილი იყო მისი ხელოსნური ნაწარმი. ამავე დროს იგი მნიშვნელოვან ვაჭრობასაც ეწეოდა. კარმელიტების ერთ-ერთ ქრონიკაში 1607 წლის თარიღით აღნიშნულია, რომ ყაზვინში ყველა პირობა არსებობდა ვაჭრობისათვის, „რადგანაც მასში უხვად არის აბრეშუმი, ხალიჩები და ფარჩა"[8]. ყაზვინმა სავაჭრო მნიშვნელობა შეინარჩუნა თითქმის მთელი XVII ს. მანძილზე და მხოლოდ ამ საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან შეინიშნება მისი ეკონომიური დაქვეითება, რაც დაკავშირებული იყო ქალაქების და საქალაქო ცხოვრების საერთო დაცემა-დაკნინებასთან სეფიანთა სახელმწიფოში.

ეგრეთწოდებული „წმინდა ქალაქებიც" ფართო მასშტაბის სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ. ნაგვიანევი შუა საუკუნეების ირანის ერთ-ერთი უდიდესი რელიგიური ცენტრი — არდებილი, სადაც სეფიანების დინასტიის ფუძემდებლის სეფი ედ-დინის სამარხი მდებარეობდა, იმავე დროს მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქიც იყო. სტრეისი აღნიშნავს: „არდებილი ფრიად ცნობილი და დიდი სავაჭრო ქალაქია, რომელიც მუდამ სავსეა ჩამოსული ვაჭრებით გილანიდან, ქურთისტანიდან, საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან"[9]. არდებილის ვაჭრებზე და სავაჭრო ოპერაციებზე ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის ჟან ტავერნიეც[10] აღებ-მიცემობის მსხვილ ცენტრებს წარმოადგენენ აგრეთვე ირანის სხვა „წმინდა ქალაქები" — მეშჰედი და ყუმი. ამ ქალაქებში ვაჭრობის განვითარებას სხვათა შორის მრავალრიცხოვანი მლოცველებიც უწყობდნენ ხელს, რომლებიც სეფიანთა სახელმწიფოს ყოველი მხრიდან მოედინებოდნენ შიიტი წმინდანების საფლავების თაყვანის საცემად.

---

[6] Я. Стрейс, Три путешествия Москва, 1935, გვ. 305
[7] Английские путешественники, გვ. 224.
[8] A Chronicle of the Carmelits, I, გვ. 119.
[9] Стрейс, გვ. 294.
[10] Tavernier, I, გვ. 83.

გარდა ზემოთჩამოთვლილი ქალაქებისა მნიშვნელოვანი ვაჭრობა წარმოებდა აგრეთვე იეზდში, შირაზში, ნიშაბურში, ჰერათში, ჰამადანსა და ირანის სხვა ქალაქებში.

ირანის უდიდეს სავაჭრო ცენტრს ქალაქი ჰორმუზი, შემდეგ ბენდერ-აბასი წარმოადგენდა. ბენდერ-აბასი სპარსეთის ყურეში მდებარეობდა. ეს იყო სეფიანთა სახელმწიფოს პირველი ქალაქი, სადაც ხვდებოდნენ სპარსეთის ყურის გზით მომავალი ინდოელი, არაბი, პორტუგალელი, ჰოლანდიელი, ინგლისელი, ფრანგი და სხვა ქვეყნების ვაჭრები. ბენდნერ-აბასში ძირითადად საბითუმო ვაჭრობა წარმოებდა.

ამრიგად, უცილობლად ირკვევა, რომ XVI—XVII სს. პირველი მეოთხედის ირანის ქალაქი გაცხოველებული ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. აღებ-მიცემობას წამყვანი ადგილი ეჭირა ფეოდალური ქალაქის ეკონომიურ ცხოვრებაში და მისი ეკონომიური ძლიერების უტყუარი მაჩვენებელი იყო. თუ ჩვენ მიერ მოტანილ მასალას გადავხედავთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ სეფიანთა ირანში მსხვილ სავაჭრო ცენტრებს სწორედ ის ქალაქები წარმოადგენდნენ, რომლებშიც მნიშვნელოვნად იყო განვითარებული ხელოსნური წარმოება და ხელოსნობის რამდენიმე დარგი იყო წარმოდგენილი. ეს შემთხვევით არ შეიძლება აიხსნას, რადგანაც ხელოსნური წარმოების განვითარება და განსაკუთრებით წვრილი სასაქონლო წარმოების ზრდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, რომელიც ხელს უწყობდა ქალაქში სავაჭრო ოპერაციების გაფართოებას, მის მონაწილეობას როგორც საშინაო, ისე საგარეო ვაჭრობაში. სეფიანთა სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე ირანის ქალაქებში სხვადასხვა დარგის ხელოსნები არა მარტო შეკვეთაზე მუშაობდნენ, არამედ მათ ძალიან ხშირად თავიანთი საწარმოო პროდუქცია ბაზრისთვის ჰქონდათ გამიზნული. ნაგვიანევი ფეოდალური ხანის ირანის ქალაქებშიც ხელოსანი იმავე დროს ვაჭარიც იყო, ხოლო მისი სახელოსნო სავაჭრო დუქანსაც წარმოადგენდა. ხელოსნის კავშირი ბაზართან განსაკუთრებული სიძლიერით შეინიშნება მე-17 ს. ირანის ქალაქებში. ხელოსნობისა და ვაჭრობის ზრდა და განვითარება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა, ისინი მნიშვნელოვანწილად აპირობებდნენ და გავლენას ახდენდნენ ერთიმეორეზე. ვაჭრობის და ხელოსნობის ეს ურთიერთკავშირი კარგად არის ხაზგასმული ჩვენ მიერ უკვე დამოწმებულ კარმელიტების ქრონიკის ერთ-ერთ ცნობაში. ამ ცნობის მიხედვით ქ. ყაზვინში ვაჭრობის განვითარების მაღალ დონეს აპირობებდა ის გარემოება, რომ მასში დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა „აბრეშუმი, ხალიჩები და

ფარჩა"[11]. თუ აბრეშუმი სოფლის მეურნეობის ნაწარმს წარმოადგენდა, ხალიჩები და ძვირფასი ფარჩა ადგილობრივი ხელოსნობის ნაწარმი ან ირანის სხვა ქალაქებიდან შემოზიდული ხელოსნური წარმოების პროდუქცია იყო, რომელიც უხვად მოიძებნებოდა ყაზვინის ბაზრებზე.

ყოველივე ზემოთქმული ჩვენი აზრით კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოურ ორიენტალისტიკაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც სეფიანთა ირანის ქალაქები ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ[12].

2. სეფიანთა ირანის სამარშრუტო გზები

XVI—XVIII სს. პირველი მეოთხედის ირანის ქალაქების ვაჭრობის შესწავლისას აუცილებელია დადგენილ და განხილულ იქნას ის სავაჭრო მარშრუტები, რომელიც სეფიანთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადიოდა.

თავისი უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიულ მდებარეობის წყალობით ირანის ტერიტორია იმთავითვე წარმოადგენდა თავისებურ ხიდს, რომელიც ინდოეთს, შუა აზიასა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა წინა აზიისა და ევროპის სახელმწიფოებთან. დასავლეთ ევროპის, წინა აზიისა და ინდოეთის საერთაშორისო ვაჭრობაში ირანი თამაშობდა შუამავლის როლს. როგორც აღვნიშნეთ მის ტერიტორიას კვეთავდა მსოფლიო მნიშვნელობის დიდი სავაჭრო-საქარავნო გზები. ირანს თავისი სატრანზიტო მნიშვნელობა არ დაუკარგავს არც XVI—XVII საუკუნეების თითქმის მთელ მანძილზე.

XV საუკუნის მიწურულს აღმოჩენილ იქნა ახალი გზა ევროპიდან ინდოეთში აფრიკის შემოვლით. ამის შედეგად ევროპა-აზიის სავაჭრო გზებმა ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიკისა და ინდოეთის ოკეანეში გადაინაცვლეს[1]. მაგრამ ახალი გზის ათვისება ევროპელების მიერ მეტისმეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ამასთან ერთად, თითქმის მთელი XVI საუკუნის განმავლობაში ამ ახლად აღმოჩენილ გზაზე პორტუგალიელები ბატონობდნენ, რაც ხელს უშლიდა ევროპის სხვა სახელმწიფოებს გამოეყენებინათ იგი ინდოეთთან და საერთოდ აღმოსავლეთთან ვაჭრობისათვის. ამდენად, ხმელთაშუა ზღვა თითქმის მთელი XVI—XVII სს. მანძილზე ინარჩუნებ-

---

[11] A Chronicle of the Carmelits, I, გვ. 119.

[12] И. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII вв., გვ. 287.

[1] Э. Шахмалиев. К вопросу о времени начала упадка Венеции. Уч. Зап. АГУ, 1955, № 9, გვ. 123.

და ევროპა-აზიის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო მაგისტრალის მნიშ-ვნელობას.

ხმელთაშუა ზღვის საშუალებით წარმოებულ საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული იყვნენ სეფიანთა ირანის მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ქალაქები, რომლებიც ქ. ალეპოს მეშვეობით ევროპელებულ აღებ-მიცემობას ეწეოდნენ ევროპის ქვეყნებთან (ვენეცია, საფრანგეთი და სხვ.). ამრიგად, სეფიანთა ირანის ტერი-ტორიაზე გამავალი დიდ სავაჭრო-საქარავნო გზები თავის ოდინ-დელ საერთაშორისო მნიშვნელობას ინარჩუნებდნენ ინდოეთში ახა-ლი გზის აღმოჩენის შემდეგ კიდევ თითქმის ორი საუკუნის განმავ-ლობაში. ირანის სავაჭრო მაგისტრალების მნიშვნელობის დაცემა და ამასთან დაკავშირებით სეფიანთა სახელმწიფოს მდიდარი სავა-ჭრო ქალაქების დაქვეითება-დაკნინება იწყება მხოლოდ XVII ს. უკანასკნელი მეოთხედის დამდეგიდან, როდესაც ევროპელ ვაჭრე-ბის მიერ საბოლოოდ იქნა ათვისებული XV საუკუნის დამლევს აღ-მოჩენილი ახალი გზა ინდოეთში[2].

სეფიანთა ირანის საქარავნო გზების საერთაშორისო სავაჭრო მნიშვნელობის შენარჩუნებას ხელს უწყობდა აგრეთვე შემდეგი გარემოება. XVI საუკუნის ქრონისტის მარინო სანუტოს სიტყვით ინდოეთის სანელებლების გატანა ძირითადად სახმელეთო-საქარავ-ნო მაგისტრალებით ხდებოდა. ევროპელი ვაჭრები ყოველნაირად ცდილობდნენ ნაკლებად გამოეყენებინათ საზღვაო-სანაოსნო გზები ამ მიზნისათვის, რადგანაც ზღვით გადატანის დროს, როგორც წესი სანელებლები ფუჭდებოდნენ და საგრძნობლად კარგავდნენ თავის თვისებებს[3]. ამიტომ XVI საუკუნის 60-იან წლებშიც კი სანელებ-ლების მნიშვნელოვანი ნაწილი საქარავნო გზებით გაჰქონდათ ინ-დოეთიდან სეფიანთა სახელმწიფოში და შემდეგ თურქეთისა და ალეპოს ტრანზიტით ევროპაში. ინდოეთიდან სახმელეთო გზებით სანელებლების შეტანის შესახებ სეფიანთა ირანში ლაპარაკობს აგრეთვე ჯენკინსონი, რომელსაც 1562 წელს ქალაქ ყაზვინში ინ-დოელმა ვაჭრებმა აღუთქვეს ინგლისის მოსკოვის კომპანიისათვის სახმელეთო გზებით მიეწოდებინათ ინდური სანელებლების დიდი რაოდენობა[4]. ასეთი იყო ის მიზეზები, რომელიც აპირობებდა სეფი-ანთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო გზების დიდ

---

[2] И. П. Петрушевский. Азербайджан в XVI—XVII вв., გვ. 262, 294; ვ. გაბაშვილი, თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებ-ში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 99, 1962. გვ. 253.

[3] Э. Шахмалиев. К вопросу..., გვ. 120.

[4] Английские путешественники, გვ. 10.

მნიშვნელობას საერთაშორისო ვაჭრობაში და ირანის ქალაქების აქტიურ მონაწილეობას მასში.

ირანის მონაწილეობა საერთაშორისო ვაჭრობაში უფრო აქტიური ხდება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, როდესაც მას ვოლგა-ასტრახანის სანაოსნო გზით დაუკავშირდნენ რუსეთი და ევროპის სხვა ქვეყნები.

სეფიანთა ირანის ტერიტორია მრავალი სავაჭრო-საქარავნო გზით იყო დასერილი. მაგრამ მის მთავარ სავაჭრო არტერიას, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს აკავშირებდა სპარსეთის ყურესთან და ჰკვეთდა ირანის ეკონომიურად ყველაზე დაწინაურებულ და მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ქალაქებით მდიდარ პროვინციებს, წარმოადგენდა თავრიზ-ისფაჰან-ჰორმუზის (შემდეგში კი ბენდერ-აბასის) გზა. ირანის ეს უმნიშვნელოვანესი სამარშრუტო გზა შემდეგ ქალაქებზე გადიოდა: თავრიზი-მიანე-ზენჯანი-ყაზვინი-სავე-ყუმი-ქაშანი-ნათენზი-ისფაჰანი-შირაზი-ლარი-ჰორზუმი (ბენდერ-აბასი). ქაშანიდან ამ გზის ერთი განტოტება მიემართებოდა ქ. იეზდისაკენ და შემდეგ აბერქუჰის, დეჰბიდისა და ისთახრის გავლით ქ. შირაზთან მთავარ მაგისტრალს უერთდებოდა[5].

თავრიზ-ისფაჰან-სპარსეთის ყურის სავაჭრო გზის დიდი ეკონომიური მნიშვნელობა გაპირობებული იყო არა მარტო იმით, რომ იგი ერთიმეორეს აკავშირებდა სეფიანთა სახელმწიფოს ისეთ განვითარებულ სახელოსნო-სავაჭრო ქალაქებს, როგორიც იყო თავრიზი, ყაზვინი, ქაშანი, ყუმი, ისფაჰანი, იეზდი, შირაზი და სხვა, არამედ იმითაც, რომ ეს გზა წარმოადგენდა საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალს. იგი თავრიზის გავლით გადადიოდა თურქეთის ტერიტორიაზე და სირიის ქალაქ—ალეპოში მთავრდებოდა. XVI—XVII სს. თითქმის მთელ მანძილზე ალეპო იყო მსოფლიო ვაჭრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი. მისი შუამავლობით ირანი, შუა აზია, ამიერკავკასიის ქვეყნები და თურქეთი გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ ევროპის სახელმწიფოებთან (ვენეცია, საფრანგეთი და სხვა). თურქეთის ტერიტორიის გავლას და ალეპოში ჩასვლას სავაჭრო ქარავანი აქლემებზე დატვირთული საქონლით 46 დღე უნდებოდა[6]. სამხრეთით სპარსეთის ყურის საშუალებით თავრიზ-ისფაჰან-ორმუზის (ბენდერ-აბასის) გზა ინდოეთს უკავშირდებოდა.

სეფიანთა ირანს ოსმალეთის იმპერიის ქალაქებთან და მათ შორის ალეპოსთან რამდენიმე სხვა დიდი სავაჭრო გზაც აკავშირებდა.

---

[5] В. В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана., გვ. 112.
[6] Жордания, Очерки..., გვ. 77.

ერთ-ერთი ასეთი სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალი იყო ყაზვინ-ბაღდადის გზა[7]. ეს გზა ჭრიდა სეფიანთა ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს და გადიოდა ჰამადანზე, ქერმანშაჰზე, ქასრე-შირინზე, შემდეგ გადადიოდა შუამდინარეთში და ქ. ბაღდადში მთავრდებოდა[8]. ყაზვინ-ჰამადან-ბაღდადის გზის გავლას დაახლოებით ერთი თვე სჭირდებოდა[9]. ბაღდადიდან ეს გზა სირიისაკენ მიემართებოდა და ქალაქ ალეპოში სრულდებოდა. თავრიზ-ისფაჰან-სპარსეთის ყურისა და ბაღდად-ჰამადან-ყაზვინის სავაჭრო მარშრუტები ერთმანეთს ზენჯანის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქ ნეჰავენდში ხვდებოდა. ეს შესაძლებლობას აძლევდა ბაღდადიდან მიმავალ მგზავრებსა და სავაჭრო ქარავნებს ყაზვინში შეუსვლელად ზენჯანისა და მიანეს გზით პირდაპირ თავრიზში მოხვედრილიყვნენ. გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ბასრა-ბაღდადის გზას, რომლის სიგრძე 6 დღის სავალს უდრიდა[10]. საინტერესოა, რომ უკვე 1581 წელს ინგლისელი ვაჭრები ცდილობდნენ ბასრა-ბაღდადის გზის გამოყენებით და შემდეგ ალეპოსა და ხმელთაშუა ზღვის ტრანზიტით სპარსული აბრეშუმი გაეტანათ ინგლისში[11].

თურქეთის ქალაქებსა და ალეპოს სეფიანთა ირანი უკავშირდებოდა აგრეთვე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამავალ დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზებით. ამ გზებიდან აღსანიშნავია შემდეგი: 1. შემახა-არჭეში-განჯა-ერევანი-ეჩმიაწინი-მანაზკერტი-ერზერუმი-კარაჰისარი-ტოკატი-სტამბოლი[12]; 2. განჯა-თბილისი-ახალქალაქი-ახალციხე-ერზერუმი-სტამბოლი; 3. შემახა-ყარაბაღი-ნახჭევანი-ერევანი-ერზერუმი-სტამბოლი; 4. თავრიზი-მარანდი-ერევანი-ნახჭევანი-ერზერუმი-სტამბოლი; 5. თავრიზი-ვანი-დიარბაქირი-ალეპო[13]. ამიერკავკასიაზე გამავალ ზემოჩამოთვლილ გზებიდან იმ მარშრუტებს, რომლებიც ქ. შემახაში იწყებოდა სეფიანთა ირანი არდებილ-შემახას გზით უკავშირდებოდა. ამ სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალების საშუალებით ირანის ქალაქები სავაჭრო ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებულნი თურქეთთან და ალეპოსთან. ამავე დროს მათი

---

[7] Ф. Котов. გვ. 76. 93.

[8] Sir Anthony Cherley and his persian adventures, Ed. by E. Denison Ross, London, 1933. გვ. 15; E. Denison Ross, The persians, Oxford, 1931. გვ. 82—86.

[9] Sir Anthony Cherley. გვ. 15.

[10] Ф. Котов. გვ. 93.

[11] Е. С. Зевакин. Персидский вопрос в русско-европейских отношениях XVII в., Исторические Записки, М., 1940, № 8. გვ. 113.

[12] И. Г Куканова, Из истории русско-иранских торговых связей в XVII веке. КСИВ. М., 1958. № 8. გვ. 113.

[13] И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII вв., გვ. 286.

მეშვეობით წარმოებდა ვაჭრობა ამიერკავკასიისა და სეფიანთა სახელმწიფოს შორის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გარდა იმისა, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გამავალი დიდი მაგისტრალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობის განვითარებაში, ისინი ამავე დროს საშუალებას აძლევდნენ შირვანის, საქართველოს და სომხეთის ქალაქებს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინათ სეფიანთა სახელმწიფოსთან, თურქეთთან, ხოლო ალეპოს საშუალებით ევროპის ქვეყნებთან. XVI—XVII სს. თითქმის მთელ მანძილზე შემახა, განჯა, თბილისი, გრემი, ზაგემი, ნახჭევანი, აკულისი და ამიერკავკასიის სხვა ქალაქები მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. ამ გზების ეკონომიური მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ადგილობრივ ხელისუფალთ და ამიტომ ისინი საგანგებო ღონისძიებებს მიმართავდნენ მათი მოვლა-პატრონობისათვის. კერძოდ, ასეთი ვითარება იყო ქართლში როსტომ მეფის დროს (1532—1556), როდესაც შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საქალაქო ხელოსნობისა და ვაჭრობის აღმავლობისათვის[14].

ამიერკავკასიის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალების დიდი ეკონომიური მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული აგრეთვე ირანისა და ოსმალეთის სახელმწიფოების მესვეურთ. XVI—XVII სს. ირან-ოსმალეთის ომების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ამ გზების დაუფლების მიზანი იყო. „წინა აზიის ორი უძლიერესი სახელმწიფო დაჟინებით ცდილობდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე გაბატონებას“ — აღნიშნავს პროფ. ვ. გაბაშვილი[15].

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული სეფიანთა ირანის ქალაქების სავაჭრო საქმიანობაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო-სანაოსნო მაგისტრალს. ვოლგა-ასტრახანის გზის ინტენსიური ათვისება და მისი საშუალებით სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის გაბმა მოსკოვის სახელმწიფოსა და შირვანს შორის იწყება XV საუკუნის შუა წლებში[16].

---

[14] ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია, საისტორიო ნაშრომები, თბილისი, 1925, გვ. 54.

[15] ვ. გაბაშვილი, თბილისი XVI—XVII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებში, 254

[16] М. М. Альтман. Из истории торгово-дипломатических связей Москвы и Ширвана. Труды Института истории им. Бакиханова, т. I. Баку, 1947, зг. 161. М. В. Фехнер. Торговля..., зг. 22.

ვოლგა-ასტრახანის გზით იმოგზაურა აღმოსავლეთში ტვერელმა ვაჭარმა ათანასე ნიკიტინმა. იგი 1466 წელს შეხვედრია ივანე III მიერ ვასილი პაპინის მეთაურობით გაგზავნილ ელჩობას შირვანშაჰ ფარუხ იასარის კარზე.

XV ს. დამლევს და XVI ს. პირველ ათეულ წლებს განეკუთვნება პირველი ცდები, რომელიც მიზნად ისახავდა ვოლგა-ასტრახანის გზის მეშვეობით და შემდეგ რუსეთის ტრანზიტით აღმოსავლური საქონლის (შირვანიდან, ირანიდან, ინდოეთიდან) ევროპის ქვეყნებში გატანას[17].

განსაკუთრებით იზრდება ვოლგა-ასტრახანის გზის სავაჭრო მნიშვნელობა რუსეთის მიერ ყაზანისა (1552) და ასტრახანის (1556) დაპყრობის შემდეგ. ამ დაპყრობათა შედეგად რუსეთის ფარგლებში აღმოჩნდა მდინარე ვოლგა და მასზე მდებარე დიდი სავაჭრო ქალაქები ყაზანი და ასტრახანი, რითაც მიღწეული იყო ვოლგა-ასტრახანის გზის გარკვეული უშიშროება და უხიფათობა. ამასთან ერთად, მოსკოვის მთავრობა ითვალისწინებდა რა ამ გზის ეკონომიურ მნიშვნელობას, რომელიც რუსეთს აკავშირებდა ამიერკავკასიასთან, ირანთან და შუა აზიასთან, საგანგებო ღონისძიებებით ცდილობდა უზრუნველეყო მისი დაცვა ნოღაელ თათრების თავდასხმებისაგან და მათი ძალადობისაგან. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ყაზანსა და ასტრახანს შუა მდ. ვოლგაზე სამი გამაგრებული ქალაქის დაფუძნება: სამარასი (1586), ცარიცინის (1598) და სარატოვის (1590). სამივე ისინი თავდაპირველად სადარაჯო პუნქტების როლს ასრულებდნენ[18].

ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო მაგისტრალს შემდეგი მარშრუტი ჰქონდა: ქალაქი მოსკოვი-მდინარე მოსკოვი-მდ. ოკა-მდ. ვოლგა-ასტრახანი. ასტრახანიდან გემები კასპის ზღვის საშუალებით აღწევდნენ მცირე და მოუწყობელ ნავსადგურ ნიაზბათს (რუსული წყაროების „ნიზოვაია“)[19]. ნიაზბათთან სათავეს იღებდა სახმელეთო-საქარავნო გზა, რომელიც ჩრდილოეთ აზერბაიჯანის უდიდეს ეკონომიურ ცენტრისაკენ — ქალაქ შემახისაკენ მიემართებოდა. გაივლიდა ქალაქ შაბრანს, მუღანის ველს და ჩადიოდა სეფიანთა სახელმწიფოს მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ქალაქში — არდებილში.

არდებილთან ეს გზა ორად იყოფოდა. ქალაქის დასავლეთით იგი თავრიზისაკენ მიემართებოდა[20], ხოლო სამხრეთით უერთდებოდა იმ დიდ სავაჭრო მაგისტრალს, რომელიც ირანის უდიდეს საქალაქო ცენტრებზე გადიოდა (არდებილი-ყაზვინი-სავე-ყუმი-ქაშანი-

---

[17] Э. Шахмалиев. Сообщения итальянцев об экономическом состоянии Азербайджана в первой четверти XVI века, Уч. Зап. АГУ, Баку, 1956 № 1, გვ. 89.

[18] М. В. Фехнер, Торговля..., გვ. 35.

[19] ზოგჯერ ასტრახანიდან მომავალი გემები შედიოდნენ ქ. დარუბანდში ან ბილბილისა და შაბრანის ნავსადგურებში.

[20] Ф. Котов, გვ. 93.

ისფაჰანი-იეზდი-შირაზი-ჰორმუზი (ბენდერ-აბასი). მთელი გზის დაძ-ლევას ასტრახანიდან სპარსეთის ყურემდე დაახლოებით ორნახევარი თვე ჭირდებოდა[21].

XVI ს. მეორე ნახევარში იწყება ვოლგა-ასტრახან-კასპიის ზღვის სავაჭრო მაგისტრალის ინტენსიური ათვისება და მისი საშუ-ალებით სეფიანთა ირანი მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობით უკავ-შირდება რუსეთს და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს, განსაკუთრებით კი ინგლისს. როგორც სეფიანთა სახელმწიფო, ასევე ევროპის ქვეყ-ნები ცდილობდნენ ნედლი აბრეშუმის და ირანის ქალაქების ხე-ლოსნური ნაწარმის ექსპორტი ეწარმოებინათ ვოლგა-ასტრახანის გზით და ამით გამოერიცხათ თურქეთის შუამავლობა ირანსა და ევ-როპის ვაჭრობაში. თურქეთის ტრანზიტით გამავალი დიდი სავაჭ-რო-საქარავნო გზები არცერთი მხარისათვის არ იყო ხელსაყრელი, რადგანაც თურქეთის მთავრობა მეტად დიდ ბაჟებს იღებდა ნედლ აბრეშუმზე და ხელოსნურ ნაწარმზე, რის შედეგადაც ამ საქონლის ფასი ერთიორად იზრდებოდა ალეპოს ბაზარზე. გარდა ამისა, რო-გორც აღვნიშნეთ, ირანის შაჰები და განსაკუთრებით შაჰ აბას I ბაჟებიდან აღებული შემოსავლის დაწყვეტით ცდილობდა თავისი ძლიერი მეზობლისა და მეტოქის — თურქეთის დასუსტებას. გარ-და გარკვეული ეკონომიური ინტერესებისა, რუსეთსაც თურქეთის მიმართ ანალოგიური პოლიტიკური მიზნები ჰქონდა.

თურქეთი თავიდანვე მტრულად შეხვდა ვოლგა-ასტრახან-კას-პიის ზღვის სავაჭრო-სატრანზიტო გზის მნიშვნელობის ზრდას და მისი საშუალებით სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას სეფიანთა ირანსა, რუსეთსა და ევროპის ქვეყნებს შორის. თურქი ვაჭრები და ელჩები ირანის მთავრობისაგან პირდაპირ მოითხოვდნენ, რომ ირანს საგარეო ვაჭრობა მხოლოდ და მხოლოდ თურქეთის ტრანზიტით ეწარმოებინა. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მუქარასაც კი მიმართავ-დნენ. ასეთი ვითარება შეიქმნა, კერძოდ, 1562 წელს, როდესაც ინ-გლისის „მოსკოვის კომპანიის" წარმომადგენელი ანტონი ჯენკინსო-ნი შაჰ თამაზ I-მა მიიღო ყაზვინში და საუბარი ჰქონდა მასთან ვაჭ-რობის შესაძლებლობაზე ირანს, რუსეთსა და ინგლისს შორის. ჯენ-კინსონის მისია უშედეგოდ დამთავრდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად იგი ასახელებს იმ პერიოდში ყაზვინში მყოფ თურქი ელჩების წინააღმდე-გობას, რომელიც თურქი ვაჭრების ინტერესების დასაცავად ცდი-ლობდა ხელი შეეშალა სეფიანთა ირანის სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველება-განვითარებისათვის რუსეთთან და ინგლისთან ვოლგა-ასტრახანის გზით[22].

---

[21] М. В. Фехнер, Торговля..., გვ 35.

[22] Английские путешественники, გვ. 208.

მაგრამ ამ სავაჭრო მაგისტრალის საბოლოოდ პარალიზებისათვის და მის გადასაკეტად ოსმალეთის მთავრობა უფრო რადიკალურ ზომებსაც მიმართავდა. 1569 წელს თურქეთმა ყირიმის ხანის მხარდაჭერით გაილაშქრა ასტრახანზე. ეს ლაშქრობა მიმართული იყო როგორც რუსეთის, ისე ირანის წინააღმდეგ[23]. ასტრახანის სამხედრო ექსპედიციის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო ასტრახანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ხელში ჩაგდება და ირანის სრული იზოლაცია რუსეთისაგან[24]. 1569 წლის ლაშქრობის წარმატების შემთხვევაში თურქეთის ხელში აღმოჩნდებოდა ვოლგა-კასპიის ზღვის საკვანძო პუნქტი-ქალაქი ასტრახანი. ამით სეფიანთა ირანი საბოლოოდ მოსწყდებოდა რუსეთს და იგი ვერ შესძლებდა ასტრახანისა და ვოლგის გამოყენებით ვაჭრობა ეწარმოებინა რუსეთთან და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. ეს ირანს აიძულებდა თავისი საგარეო ვაჭრობა ისევ თურქეთის ტრანზიტითა და ალეპოს საშუალებით ეწარმოებინა. თურქეთიც სწორედ ამ მიზნის მისაღწევად იბრძოდა. ასტრახანის 1569 წლის ლაშქრობასთან არის დაკავშირებული აგრეთვე მდინარეების დონისა და ვოლგის ერთმანეთთან არხით შეერთების ცდაც[25].

ვოლგისა და დონის შეერთებით და ასტრახანის დაპყრობით თურქეთი მიზნად ისახავდა საბოლოოდ დაედო ხელი კასპიის ზღვაზე წარმოებულ ვაჭრობაზე თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა ნაოსნობა ვოლგაზე და დონზე და რაც მთავარია არ დაეშვა რუსეთის პოზიციის გაძლიერება იმიერკავკასიაში და სამუდამოდ გადაეკეტა მისთვის სეფიანთა ირანში მიმავალი გზები. მაგრამ 1569 წლის ლაშქრობაც და ვოლგა-დონის შეერთების ცდაც მარცხით დამთავრდა.

XVI ს. მეორე ნახევარში და განსაკუთრებით კი XVII ს. თითქმის მთელ მანძილზე ვოლგა-ასტრახანის სანაოსნო გზა სეფიანთა ირანის, რუსეთისა და ევროპის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა.

ზემოთ დასახელებული სავაჭრო მარშრუტების გარდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხორასნის საქარავნო გზასაც.

შუა აზიასა და ინდოეთს სეფიანთა სახელმწიფო მეშჰედ-ჰერათის საქარავნო გზით უკავშირდებოდა. ეს გზა ფედოტ კოტოვის

---

[23] ე. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 74.

[24] Н. А. Смирнов, Россия и Турция в XVI—XVII вв., т. I, Москва 1946, გვ. 103.

[25] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმნითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ, თბილისი, 1954, გვ. 33.

ცნობით იწყებოდა ქალაქ ყუმში[26]. ყუმიდან იგი მიემართებოდა ვერამინისკენ, გაივლიდა თეირანს, ფარაჰაბადს, შემდეგ კვეთდა ხორასანს და გადიოდა ამ პროვინციის დიდ სავაჭრო-სახელოსნო ქალაქებზე: ნიშაპურზე, მეშჰედზე და ჰერათზე. სეფიანთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ გზის უკანასკნელ პუნქტს ქალაქი ჰერათი წარმოადგენდა. ჰერათში ეს სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალი 3 განშტოებად იყოფოდა. აქედან ერთი შტო შუა აზიის სახანოებისაკენ მიემართებოდა, ხოლო ორი ინდოეთისაკენ.

ინდოეთში მიმავალ მარშრუტებიდან პირველი ქაბულის გავლით ქალაქ ლაჰორში მთავრდებოდა; მეორე — ჰერათიდან. ყანდაჰარისაკენ მიემართებოდა და ინდოეთის ქალაქ მულთანს აღწევდა[27]. გარდა ამ სახმელეთო-საქარავნო მაგისტრალებისა, სეფიანთა სახელმწიფო ინდოეთს სპარსეთის ყურის მეშვეობითაც უკავშირდებოდა. 1623 წელს სპარსელთა ლაშქარმა ინგლისის ფლოტის დახმარებით შესძლო პორტუგალიელების განდევნა სპარსეთის ყურიდან. ამის შედეგად, განსაკუთრებით გაიზარდა სპარსეთის ყურის მნიშვნელობა ინდოეთ-ირანისა და ირანისა და ევროპის სახელმწიფოების (ჰოლანდია, ინგლისი, საფრანგეთი) სავაჭრო ურთიერთობაში.

ირანის ყურის მნიშვნელობის ზრდის აშკარა მოწმობას ირანის საერთაშორისო ვაჭრობაში წარმოადგენდა ბენდერ-აბასის, ახალი ქალაქის და ნავსადგურის დაარსება.

ასეთი იყო ძირითადად სეფიანთა ირანის სავაჭრო მარშრუტები. ისინი ერთმანეთს აკავშირებდნენ ირანის ცალკეულ განვითარებულ სავაჭრო-სახელოსნო ქალაქებს და მათივე საშუალებით წარმოებდა ვაჭრობა აზიისა და ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებთან.

3. საშინაო ვაჭრობა

XVI—XVII სს. ირანი წარმოადგენდა ტიპიურ ფეოდალურ სახელმწიფოს, სადაც გაბატონებული იყო მეურნეობის ნატურალური ფორმა. მაგრამ იმავე დროს სეფიანთა დროინდელ ირანისათვის დამახასიათებელია მსხვილი სახელოსნო-სავაჭრო ქალაქების არსებობა, რასაც არ შეიძლება არ გამოეწვია გარკვეული ეკონომიური ურთიერთობა როგორც მათ შორის, ისე ქალაქსა და სოფელს შორის.

---

[26] ф. Котов, გვ. 94.

[27] К. А. Антонова, Очерки общественных отношений и политического строя Могольской Индии времён Акбара (1556—1605), Москва 1952. გვ. 116.

აკად. ბ. გრეკოვი განიხილავდა რა XVI—XVII სს. რუსეთის საშინაო ვაჭრობას აღნიშნავდა: «Какого бы происхождения городское поселение ни было—возникает ли он из бурга (укрепленного пункта), вотчины или общины, город есть результат общественного разделения труда и является поселением с преобладающим населением ремесленного и торгового характера. Рост городов как ремесленных и торговых центров всегда есть показатель роста внутреннего рынка»[1].

ამრიგად, XVI—XVII სს. რუსეთში საშინაო ბაზრის ზრდა ბ. გრეკოვის აზრით უწინარეს ყოვლისა დაკავშირებულია სავაჭრო-სახელოსნო მსხვილი ქალაქების არსებობასთან და საქალაქო ცხოვრების ზრდასა და განვითარებასთან.

სეფიანთა ირანში საშინაო ვაჭრობა ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობის ბაზრით იყო შემოფარგლული, თუმცა ცალკეული მსხვილი საქალაქო ცენტრების ეკონომიური ურთიერთობაც არ იყო გამორიცხული. XVI—XVII სს. ირანის ქალაქები სავაჭრო საქმიანობისა და ხელოსნური წარმოების ცენტრებს წარმოადგენდნენ და ვაჭარ-ხელოსანთა ფენა მნიშვნელოვნად ჭარბობდა ქალაქის მოსახლეობის სხვა ფენებს. მისი მოსახლეობის ძირითად საქმიანობას ხელოსნური პროდუქციის წარმოება და აღებ-მიცემობა წარმოადგენდა. ამდენადვე საფუძველი გვაქვს მივუთითოთ შრომის საზოგადოებრივ განაწილებაზე სოფელსა და ქალაქს შორის. მართალია შრომის ამგვარი განაწილების მასშტაბი ჯერ მცირე იყო, მაგრამ იგი არსებობდა და ეს უპირველეს ყოვლისა გაპირობებული იყო სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის თვისობრივად განსხვავებული საქმიანობით. შრომის საზოგადოებრივი განაწილება ქალაქსა და სოფელს შორის იყო მიზეზი მათი ეკონომიური ურთიერთკავშირისა. ეს კავშირი ფართოვდება და ვითარდება XVII ს. შუა წლებიდან მოყოლებული, როდესაც სეფიანთა სახელმწიფოში შემავალ ქვეყნებში ნატურალური რენტა ნაწილობრივ იცვლება ფულადი რენტით.

მართალია ქალაქის ხელოსანი, ხშირად სოფლის მეურნეობასაც მისდევდა, მაგრამ მისი არსებობის ძირითადი და მთავარი წყარო მაინც მისი სახელოსნო სპეციალიზაცია იყო. თავის ძირითად დროს ხელოსანი სახელოსნო პროდუქციის დამზადებას უთმობდა და მცირე მიწის ნაკვეთებიდან აღებულ ხორბლეულს, ბოსტნეულს, ხილსა და სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტს, ხელოსნისა და მისი ოჯახისათვის მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა. ამ-

---

[1] Б. Д. Греков, Крестьяне на Руси, Москва — Ленинград, 1946, стр. 555—556.

დენადვე ხელოსანიც, ვაჭარიც და ქალაქის ღატაკებიც იძულებულნი იყვნენ თავისი არსებობისათვის საჭირო პროდუქტი ქალაქის მიმდგომ სოფლებიდან შემოზიდული სოფლის მეურნეობის ნაწარმიდან შეეძინათ. ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური ურთიერთკავშირი, ხელოსნური ნაწარმისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტის გაცვლა-გამოცვლა, განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს XVII საუკუნეში, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა სეფიანთა ირანის ქალაქების მოსახლეობის ოდენობა. სამწუხაროდ ჩვენ არ გაგვაჩნია სტატისტიკური ცნობები, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა ქალაქის მოსახლეობის ზრდის დინამიკა, მაგრამ ნარატიული წყაროებისა და ევროპელ ავტორთა თხზულებების მოშველიებით შესაძლებელი ხდება დაახლოებით მაინც ვუჩვენოთ XVI—XVII სს. ირანის უდიდესი ქალაქების მოსახლეობის ოდენობა.

XVI ს. დამდეგის ირანის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრის თავრიზის შესახებ ისტორიკოსი ხონდემირი წერდა,რომ „მსოფლიოს დასახლებული მეოთხედი ნაწილის ქალაქებიდან მასში ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იყო“[2]. თომაზო მინადოის ცნობით, XVII ს. პირველ მეოთხედში თავრიზში 200 000 სული მოსახლე იყო[3], ხოლო ცნობილი თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები გადმოგვცემს, რომ ჯაფარ ფაშას დროს (XVI—XVII სს. მიჯნა) ჩატარებული აღწერის მიხედვით საკუთრივ ქალაქი 300 000 კაცს ითვლიდა, ხოლო მისი ვილაეთის მცხოვრებთა რიცხვი 500 000 აღწევდა თავრიზს მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავდა თვით XVIII საუკუნის პირველ მეოთხედშიც. ვოლინსკის ერთ-ერთი თანმხლები პირი წერს: „Тавриз... есть город превеликий и премноголюдный“[4].

XVII საუკუნეში სწრაფად გაიზარდა აგრეთვე ქალაქ ისფაჰანის მოსახლეობა. 1598 წელს, როდესაც შაჰ აბასმა ისფაჰანი სეფიანთა სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადა მისი მოსახლეობა მხოლოდ 80 000 აღწევდა[5]. ირანის პოლიტიკურ ცენტრად გამოცხადების შემდეგ ფართოვდება ისფაჰანის ეკონომიური მნიშვნელობა. სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს მოსახლეობის ზრდა და უკვე XVII ს. დამდეგს იგი ითვლის „90 000 კომლს“[6] ანუ დაახლოებით

---

[2] И. П. Петрушевский, Восстание..., გვ. 215.

[3] Thomaso Minadoi, Historia della guerra fra Turci et Persiani, Venice. 1588. გვ. 239.

[4] Белевы, путешествия, СПб., 1776, გვ. 68.

[5] L. Lockhart, The fall of the Safavi Dynasty and the Afghan Occupation of Persia, Cambridge, 1958, გვ. 473.

[6] Don Juan of Persia a shiah Catholic 156(?)—1604. London, 1926, გვ. 53.

450 000 კაცს. ამ რიცხვს უახლოვდება ა. ოლეარის მიერ მოტანილი ცნობა, რომლის თანახმად „ისფაჰანი წარმოადგენდა მინიატურულ მსოფლიოს“ და ითვლებოდა, რომ მასში 500 000 მეტი მოსახლე იყო[7]. ისფაჰანის მოსახლეობის რაოდენობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შაჰ აბასმა, რომელმაც მასში ირანის სხვადასხვა პროვინციებიდან მრავალი ათასი კაცი გადმოასახლა[8]. ისფაჰანის უბნებიდან განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ახალი ჯუღა, რომელშიც XVII საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა ავტორთა ცნობით 30—60 ათასამდე სომეხი ცხოვრობდა[9].

აღმოსავლეთ ირანის უმნიშვნელოვანესი ქალაქის ჰერათის მოსახლეობა დონ ხუან სპარსელის გაზვიადებული ცნობით 100 000 კომლს სჭარბობდა[10], ე. ი. XVII საუკუნის დამდეგს დაახლოებით 500 000 მცხოვრები იყო. ამავე ავტორის ცნობით რამდენიმე ასეულ ათასს მცხოვრებს ითვლიდნენ ჰამადანი და აგრეთვე ირანისა და ძოღოლთა ინდოეთის საცილობელი ქალაქი ყანდაჰარი[11]. XVII საუკუნის დამლევის მეშჰედი დახასიათებულია, როგორც მეიდროდ დასახლებული დიდი ქალაქი[12]. ამით ამოიწურება ჩვენი ცნობები სეფიანთა ირანის ქალაქების მოსახლეობის ოდენობის შესახებ. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ არდებილში, ყაზვინში, ქაშანში, საველში, ყუმში, შირაზში, იეზდში, ქერმანში, რეშთში, ნიშაბურსა და ირანის სხვა მსხვილ ქალაქებშიც მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იყო და მათი რაოდენობა ზოგიერთ შემთხვევაში 100 ათას კაცს აღემატებოდა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ხელოსნური წარმოების განვითარების მაღალი დონე და ვაჭრობის მნიშვნელოვანი აღმავლობა, რომელიც დამახასიათებელი იყო ამ ქალაქებისათვის და რაც არა ერთგზის არის აღნიშნული აღმოსავლურ და ევროპულ პირველწყაროებში.

ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქტის შემოზიდვა მის

---

[7] Олеарий, გვ. 718.

[8] იქვე.

[9] Ս. Պողոսյան. Հայաստանը XIII—XVIII դարերում, Երևան, 1960, გვ. 173.

[10] Don Juan, გვ. 93

[11] იქვე

[12] L. Lockhart. The fall of the Safavi Dynasty..., გვ. 389. აღმოსავლური და ევროპული წყაროების ცნობები შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში იყოს გაზვიადებული. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების მასლობელ და შუა აღმოსავლეთში არსებობდა „გიგანტი ქალაქები“, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა 200.000 აღემატებოდა. „გიგანტი ქალაქების“ არსებობა გაპირობებული იყო იმით, რომ მათ გარს ერტყა ნაყოფიერი სოფლები, რომლებიც ნატურალურ მეურნეობის პირობებში ქალაქის მოსახლეობას თავის შენახვისა და გამოკვების შესაძლებლობას აძლევდნენ.

ბაზრებში. ამ პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქის მახლობელი სოფლებიდან შემოდიოდა. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მსხვილი საქალაქო ცენტრების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საკვებ-სასმელი ირანის შორეულ პროვინციებიდანაც მოჰქონდათ. ა. ოლეარის ცნობით ისფაჰანის მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის პროდუქტი სეფიანთა სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილებიდან შემოჰქონდათ[13]. თავრიზში დიდი რაოდენობით შემოდიოდა ხორბალი, პურის ფქვილი, ბრინჯი, შირაზული ღვინო, გილანის ხილი, შემოჰყავდათ ცხვრები და სხვ.[14]. ურმიის ტბა ამარაგებდა ამ ქალაქს თევზით. თევზი და საუკეთესო ხიზილალა თავრიზში შემოჰქონდათ კასპიის ზღვის ნაპირზე მდებარე მაჰმუდაბადიდან[15]. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პროდუქტები ქალაქში შემოჰქონდა არა ვაჭარს, არამედ თვით უშუალო მწარმოებელს — გლეხს. XVII ს. სომეხი ისტორიკოსის გრიგორ დარანაღცის ცნობებიდან ირკვევა, რომ სომხეთის ზოგიერთი სოფლის გლეხობას სახლში დაყენებული ღვინო თითონ გაჰქონდა ქალაქში გასაყიდად[16]. გლეხობა თანდათან ებმება ქალაქსა და სოფელს შორის წარმოებულ ვაჭრობაში. ამის მიზეზად მარტო ის არ უნდა ჩაითვალოს, რომ სეფიანთა ირანის მსხვილი ქალაქების მრავალრიცხოვანი მოსახლეობა სულ უფრო დიდ მოთხოვნილებას აყენებდა სოფლის პროდუქციაზე. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმ გარემოებას, რომ XVII ს. ირანში ფეოდალები თავიანთი გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ზოგიერთ შემთხვევაში უკვე აღარ სჯერდებოდნენ რენტის ნატურალურ ფორმას და გლეხებს რენტას ფულადი სახით სთხოვდნენ[17]. ეს კი აიძულებდა გლეხს თავისი შრომის პროდუქტი ქალაქის ბაზარზე გაეტანა და იქ გაესაღებინა. XVII ს. მეორე ნახევრის ევროპელი ავტორი ენგელბერტ კემპფერი გადმოგვცემს, რომ ისფაჰანის მიდამოებში მდებარე სოფლის გლეხობას ფეოდალები, როგორც წესი გადასახადებს ფულადი სახით ართმევდნენ. ამის შედეგად გლეხი იძულებული ხდებოდა თავისი საქონელი ისფაჰანში წაეღო და იქ მოეხდინა მისი რეალიზაცია[18]. ანალოგიური ცნობა მოეპოვება ზა-

---

[13] Олеарий, გვ. 781.

[14] И. П. Петрушевский, Восстание..., გვ. 217.

[15] იქვე.

[16] Ժամանակագրութիւն Գրիգոր Վարդապետի Կամախեցիոյ կամ Դարանաղցիոյ, Երուսաղէմ, 1915, გვ. 39.

[17] И. М Рейснер, Падение державы Сефевидов и нашествие афганцев на Иран (1722—1739), გვ. 70.

[18] История Ирана с древнейших времён до конца XVIII века, Москва, 1958, გვ. 280.

ქარია სარკავაგს, რომლის თანახმადაც ერთ-ერთი სოფლის გლეხები თავიანთ მამასახლის (ტანუტერს) ავალებენ სხვადასხვა საქონლის ქალაქში გატანას. საქონლისაგან აღებული თანხა უნდა მოხმარებოდა მათზე გაწერილ გადასახადების განაღდებას[19]. არაიშვიათად თითოხ გლეხები სთხოვდნენ ფეოდალს ნატურალური რენტა ფულადი გადასახადით შეეცვალა. ასე, მაგალითად, 1660 წელს ანძნაბერდის გლეხები თავიანთ მულქადართან შეთანხმებით ფულად რენტაზე გადავიდნენ. ისინი თავიანთ ხორბალს, ქერს და სხვადასხვა ბოსტნეულს ქალაქის ბაზარზე ასაღებდნენ და შემდეგ მულქადარს რენტას ფულის სახით უხდიდნენ. გარდა საკვებისა და სასმელისა გლეხებს ქალაქში გასაყიდად ხშირად სხვადასხვა ტექნიკური კულტურებიც მოჰქონდათ. ჯერ კიდევ 1566 წელს ინგლისის, „მოსკოვის კომპანიის" სავაჭრო აგენტი არტურ ედვარდსი იტყობინებოდა, რომ შემახაში და შირვანის სხვა ქალაქებში გლეხებს დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ნედლი აბრეშუმი, რომელიც მეტად დაბალ ფასებში იყიდებოდა[20]. იგი მწუხარებას გამოთქვამდა, რომ ინგლისელების სავაჭრო კანტორას, რომელიც მოსკოვში მდებარეობდა, შემახაში არ ჰყავდა თავისი აგენტი და ამის გამო ინგლისელები ჰკარგავდნენ შესაძლებლობას ნედლი აბრეშუმი უშუალოდ გლეხებისაგან შეეძინათ დაბალ ფასებში[21].

როგორც ზემომოტანილი მაგალითებიდან ირკვევა, სეფიანთა ირანში საკმაოდ მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა არსებობდა ქალაქსა და სოფელს შორის. ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გაცხოველებულ ხასიათს იღებს XVII ს-ში, რაც გაპირობებული იყო ერთი მხრივ ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდით, ხოლო მეორე მხრივ ნატურალური რენტის ფულადი რენტით შეცვლით. ამრიგად, გლეხის მეურნეობა თანდათან სულ უფრო აქტიურად ებმება სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გლეხი მარტო თავისი საქონლის გასასაღებლად და ქალაქში დამზადებულ ზოგიერთ სახელოსნო ნაწარმის შესაძენად კი არ მოდიოდა ქალაქში, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში გაღარიბებული გლეხი ცდილობდა ქალაქში სხვადასხვა მძიმე სამუშაოს შესრულებით თავისი არსებობის წყარო გამოეძებნა. სტრეისის გადმოცემით

---

[19] ზაქარია სარკავაგი. გვ. 143.

[20] Английские путешественники, გვ. 224.

[21] იქვე. უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხების მიერ ქალაქის ბაზრებზე ნედლი აბრეშუმის გატანა განსაკუთრებით გახშირდა შაჰ სეფის ზეობის პირველ წლებში გატარებული რეფორმის შედეგად. ამ ღონისძიების შედეგად გლეხსა და ვაჭარის შორის მოისპო სახელმწიფო ხაზინის შუამდგომლობა და გლეხს საშუალება მიეცა ნედლი აბრეშუმი თითონ წაეღო და გაეყიდა ქალაქში. ისკანდერ მუნში, ზეილ-ი თარიხ-ი..., გვ. 13—14.

ქალაქ არდებილში ყოველკვირეულად ორჯერ იმართებოდა დიდი ბაზრობა, რომელზედაც ვაჭრების გარდა გარშემო სოფლებიდან აურაცხელი გლეხებიც მოდიოდნენ. ავტორის სიტყვით, მათ სხვადასხვა ტვირთის გადასატანად იყენებდნენ[22]. ანალოგიურ ცნობას გვაწვდის კრუსინსკიც[23].

მაგრამ სეფიანთა ირანში ქალაქები მარტო სოფელთან კი არ იყვნენ დაკავშირებულნი სავაჭრო საქმიანობით, მათ ურთიერთშორისაც ჰქონდათ გარკვეული ეკონომიური ურთიერთობა. ამისი უპირველესი წინაპირობა იყო ის გარემოება, რომ სეფიანთა დროინდელ ირანში, განსაკუთრებით კი XVII ს-ში, თითქმის . ყველა მსხვილ ქალაქს გარკვეული სამრეწველო პროფილი ჰქონდა. ამდენად, ამა თუ იმ ქალაქში დამზადებულ ხელოსნურ პროდუქციაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილება არსებობდა ქვეყნის სხვა ქალაქებში და ადვილად საღდებოდა კიდეც. XVI—XVII სს. ირანის საქალაქთაშორისო ვაჭრობის შესახებ ცნობები საკმაო რაოდენობით მოიპოვება ევროპულ პირველწყაროებში.

შარდენის ცნობით ქალაქი თავრიზი სახელგანთქმული იყო თავისი ბამბის და აბრეშუმის ქსოვილებით, ოქრომჭედლობის ნაკეთობით და საუკეთესო ჩალმებით. ამ ხელოსნური ნაწარმით იგი ვაჭრობას აწარმოებდა მთელ სპარსეთში და აგრეთვე უცხოეთის ქვეყნებში[24]. XVII საუკუნის შუა წლებში თავრიზში იყიდებოდა ჰამადანიდან და ქურთისტანიდან შემოზიდული სამელნე გალი და საღებავები, ცივი იარაღი, რომლიდანაც თავისი ხარისხით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ხორასანში დამზადებული ხმლის პირები. ქალაქ ყუმის ხელოსნური ნაწარმოებიდან ირანის სხვა ქალაქებში დიდი რაოდენობით გადიოდა ხმლები, ხმლის პირები, დანები. ხანჯლები და სხვა სახის ცივი იარაღი[25]. დიდი მოთხოვნილება იყო აგრეთვე ირანის ქალაქებში ყუმში დამზადებულ თიხის ჯამებზე, ქოთნებზე და მეთუნეობის სხვა პროდუქციაზე[26].

ა. ოლეარის ცნობით შირაზულ ღვინოზე დიდი მოთხოვნილება იყო მთელ ირანში[27]. შირაზის ხელოსნური ნაწარმიდან განსაკუთრებით ცნობილი იყო მინის და ფაიფურის ჭურჭელი, რომელიც დიდი რაოდენობით საღდებოდა ირანის სხვადასხვა ქალაქებში. შირაზში, ფირუზაბადში, ქერმანსა და ფარსის ზოგიერთ

---

[22] Стрейс, გვ. 294.
[23] К. Ашрафян, Падение державы Сефевидов, გვ. 196.
[24] Chardin, II, გვ. 327—328.
[25] Олеарий, გვ. 628; Стрейс, გვ. 303; Белевы путешествия, გვ. 80.
[26] იქვე.
[27] Олеарий, გვ. 698.

სხვა ქალაქში დამზადებული ვარდის წყალი იყიდებოდა სეფიანთა სახელმწიფოს მრავალი ქალაქის ბაზრებზე[28]. ისფაჰანში ვარდის წყალი ჩამოჰქონდათ ლურისტანელ ვაჭრებს. მათვე მოჰქონდათ ისფაჰანში შალის შესანიშნავი ხალიჩები[29]. 1632 წელს, ოლეარის ყოფნის დროს შემახაში, ამ ქალაქის ერთ-ერთ ქარვასლაში ებრაელები ვაჭრობდნენ „თეირანში მოქსოვილ შალის მშვენიერ ხალიჩებით"[30]. ისფაჰანიდან მეშჰედში XVII საუკუნის დასასრულს გაჰქონდათ ტკბილეული, შაქარი და სხვა პროდუქტი[31].

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ირანის ქალაქები ერთმანეთთან ვაჭრობდნენ არა მარტო ფართო მოხმარების საგნებით, არამედ ხელოსნური წარმოებისათვის აუცილებელი მასალითაც. ასე მაგალითად, ოლეარისა და სტრეისის ცნობებიდან ირკვევა, რომ ყუმში ცივი იარაღის დამამზადებელ ხელოსნებისათვის ფოლადი შემოჰქონდათ ისფაჰანის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ნეირისიდან[32]. ნეირისის ხელოსნების მიერ გამომდნარი ფოლადი საუკეთესოდ ითვლებოდა მთელ სპარსეთში[33]. ნეირისის ფოლადი გადიოდა აგრეთვე ირანის სხვა ქალაქებშიც, მაგ., შირაზში. დიდი მოთხოვნილება იყო აგრეთვე ირანის ქალაქებში განჯის რკინაზე ხმლების, მუზარადების, სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და სხვა რკინეულობის დამამზადებელ ხელოსანთა შორის. ამდენად, ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ შრომის საზოგადოებრივ განაწილებაზე სეფიანთა სახელმწიფოს ცალკეულ ქალაქებს შორის. ნეირისში და განჯაში გამომდნარი ფოლადი და რკინა აუცილებელ მასალას წარმოადგენდა, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა და ვერ განვითარდებოდა ყუმისა და ირანის ზოგიერთი სხვა ქალაქის ლითონის გადამმუშავებელი ხელოსნური დარგები. შეიძლებოდა აღგვენიშნა აგრეთვე სხვა შემთხვევები, როდესაც წიაღისეული სიმდიდრეები ერთი ქალაქიდან მეორეში გადიოდა და იქ პოულობდა მომხმარებელს. მაგალითად, ა. ოლეარის ცნობით ქ. ნიშაბურის მახლობლად მოპოვებული ძვირფასი ქვა—ფირუზი უხვად იყო ქაშანის ბაზრებზე. ხოლო ბაქოს ნავთს და ჰამადანის მარილს მომხმარებელი ჰყავდა და საღდებოდა მთელ ირანში[34].

განხილული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სეფიანთა სახელმწიფოში XVI ს. და განსაკუთრებით კი XVII სა-

---

[28] Олеарий, გვ. 711.
[29] იქვე.
[30] იქვე. გვ. 555.
[31] L. Lockhart, The fall of the Safavi dynasty..., გვ. 369.
[32] Олеарий, გვ. 628; Стрейс, გვ. 303.
[33] იქვე.
[34] Олеарий გვ. 613—614, 760.

უკუნეში სახელოსნო-სავაჭრო ქალაქები ეკონომიური ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებულნი, როგორც სოფელთან, ისე ერთიმეორესთან. ეს კავშირი ჯერ კიდევ სუსტი და განუვითარებელი იყო. მაგრამ შრომის საზოგადოებრივი განაწილება ქალაქსა და სოფელს შორის, ცალკეული ქალაქების გარკვეული სამრეწველო სპეციალიზაცია ქმნიდა საფუძველს სეფიანთა ირანის საშინაო ვაჭრობის ჩასახვისა და ერთგვარი განვითარებისათვის და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, ქალაქებს შორის ეკონომიურ ურთიერთობათა დამყარებისათვის.

4. საგარეო ვაჭრობა

სეფიანთა ირანის საშინაო ვაჭრობას არასოდეს არ მიუღწევია განვითარების იმ დონისათვის, რომელზედაც იდგა XVII ს. ირანის საგარეო ვაჭრობა.

სეფიანთა ირანშიც, ისევე როგორც მახლობელი და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მთავარი ყურადღება საგარეო ვაჭრობას ექცეოდა.

სეფიანთა სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობაში გაცხოველებულ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მსხვილი ქალაქები, რომლებიც დიდი სავაჭრო მაგისტრალების გასწვრივ მდებარეობდნენ. ქალაქის საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებული იყო მისი სახელოსნო წარმოების განვითარების დონეზე, რადგანაც ქალაქს საერთაშორისო ბაზარზე ძირითადად თავისი ხელოსნობის პროდუქტი გაჰქონდა. იმავე დროს საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობა წარმოადგენდა იმ მძლავრ სტიმულს, რომელიც ხელს უწყობდა ქალაქის ხელოსნური წარმოების შემდგომ აღმავლობასა და განვითარებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და სრულყოფას. ამიტომ სეფიანთა ირანში ხელოსნურმა წარმოებამ და ვაჭრობამ მნიშვნელოვან წარმატებებს სწორედ იმ ქალაქებში მიაღწია, რომლებიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი საერთაშორისო ვაჭრობასთან. ასეთი ქალაქებიდან უნდა აღინიშნოს, ისფაჰანი, ქაშანი, ყუმი, ყაზვინი, შირაზი, იეზდი, ქერმანი, ჰამადანი, მეშჰედი, ნიშაბური, ჯერათი, არდებილი და სეფიანთა სახელმწიფოს სხვა მსხვილი სახელოსნო-სავაჭრო ცენტრები.

საგარეო ვაჭრობის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ სეფიანთა ირანის ექსპორტის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა ნედლი დაუმუშავებელი აბრეშუმი, რომელზედაც მეტად დიდი მოთხოვნილება იყო ევროპის ქვეყნებში. მაღალხარისხოვანი სპარსული აბრეშუმი იყო ის ძირითადი მასალა,

რომელზედაც მუშაობდა ათასობით აბრეშუმსაქსოვი სახელოსნო ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. ჯერ კიდევ აკად. ვ. ბარტოლდი აღნიშნავდა, რომ XVI ს-ში ევროპელი ვაჭრები სპარსეთში მიდიოდნენ ძირითადად გილანური აბრეშუმისა... და ძვირფასი ქვების შესაძენად"[1]. ვ. ბარტოლდის ეს მოსაზრება თამამად შეიძლება გავავრცელოთ სეფიანთა სახელმწიფოს არსებობის თითქმის მთელ მანძილზე, რადგანაც XVII საუკუნის 70-იანი წლების დასასრულამდე სულ უფრო იზრდებოდა ირანული აბრეშუმის ექსპორტი ევროპის ქვეყნებში. პორტუგალიის, ინგლისის, ჰოლანდიის, საფრანგეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ურთიერთქიშპი სეფიანთა ირანში სავაჭრო პროვილეგიების მოსაპოვებლად და ირანის ექსპორტის კონტროლისათვის მნიშვნელოვანწილად უნდა აიხსნას მათი მიზანსწრაფვით ხელში ჩაეგდოთ ირანის ნედლი აბრეშუმის ევროპაში ექსპორტის მონოპოლიური უფლება. სეფიანი შაჰები, რომლებიც ცდილობდნენ ხელსაყრელი პირობები შეექმნათ ირანის საგარეო ვაჭრობის გაფართოებისათვის, მისი მასშტაბების ზრდისათვის, მარჯვედ იყენებდნენ ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთბრძოლას და შექმნილი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოს ანიჭებდნენ მნიშვნელოვან სავაჭრო პრივილეგიებს[2].

მართალია, XVI ს. მთელ მანძილზე და XVII ს. 20-იანი წლების დაძდეგაძდე სპარსეთის ყურე მთლიანად პორტუგალელების და ესპანელების კონტროლს ექვემდებარებოდა (მისი საშუალებით ირანის ნედლი აბრეშუმისა და სხვა საქონლის გატანა სავსებით შეუძლებელი თუ არა, ყოველ შემთხვევაში მეტად გაძნელებული იყო ევროპის სხვა ქვეყნების ვაჭრებისათვის[3]), მაგრამ დაინტერესებული სახელმწიფოები სხვა გზების საშუალებით უკავშირდებოდნენ სეფიანთა სახელმწიფოს, ეს იყო გზა თურქეთის ტრანზიტით, რომელიც ალეპოში მთავრდებოდა, ხოლო XVI საუკუნის შუა წლებიდან მოკიდებული ვოლგა-ასტრახანის სანაოსნო-სავაჭრო მაგისტრალი. ამ გზების გამოყენებით სპარსული საქონელი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ევროპაში და რუსეთში, როგორც ევროპელ ისე ადგილობრივ ირანელ ვაჭრებს (სომხები, სპარსელები, ინდოელები).

---

[1] В. В. Бартольд, История изучения Востока в Европе и России Ленинград, 1925, გვ. 105.

[2] А. А. Зоннеиштраль-Пискорский, Международные торговые договоры Персии, М., 1931; Е. С. Зевакин, Персидский вопрос в русско-европейских отношениях XVII в.; М. Г. Панахиян, О режиме капитуляции в Иране (1568—1713), (автореферат), М., 1962.

[3] Г. Жордания, Очерки..., I, გვ. 86—87.

1555 წელს ლონდონში დაარსებული, „მოსკოვის კომპანიის“ მთავარი მიზანი იყო რუსეთის ტრანზიტით და ვოლგა-კასპის ზღვის გამოყენებით უშუალო სავაჭრო კონტაქტის დამყარება სეფიანთა სახელმწიფოსთან. ამ მიზნით „მოსკოვის კომპანიის“ აგენტმა ანტონი ჯენკინსონმა ორჯერ იმოგზაურა სპარსეთში (1561 და 1567). სპარსეთში იყვნენ აგრეთვე ამ კომპანიის სხვა წარმომადგენლებიც (ელდვარდსი, დეკეტი, ჩეპმენი და სხვა). მოსკოვის კომპანიის აგენტებმა მოახერხეს მნიშვნელოვანი სავაჭრო პრივილეგიების მიღება. ეს პრივილეგიები ძირითადად ვრცელდებოდა შირვანზე და ჩრდილოეთ ირანზე[4]. აღსანიშნავია, რომ „მოსკოვის კომპანია“ განსაკუთრებით დიდ მოგებას ნახულობდა მაშინ, როდესაც იგი რუსეთის სახელმწიფოს ტრანზიტით აწარმოებდა ვაჭრობას ირანთან. ასე, მაგალითად, 1579 წელს, კომპანიის დივიდენდმა მიაღწია 108%, მაშინ, როდესაც კომპანიის საშუალო წლიური დივიდენდი შეადგენდა 42%[4]. შემდგომში, XVI—XVII სს. მანძილზე რუსეთის მთავრობის თანხმობით მოსკოვის სახელმწიფოს ტრანზიტით და ვოლგა-ასტრახან-კასპიის ზღვის სანაოსნო გზის საშუალებით სეფიანთა სახელმწიფოსთან ვაჭრობას აწარმოებდნენ ან ცდილობდნენ ამის უფლების მოპოვებას ნიდერლანდები, საფრანგეთი, დანია, ჰოლშტინია, პრუსია, პოლონეთი და ევროპის ზოგიერთი სხვა სახელმწიფო[5]. ზოგიერთმა მათგანმა, მაგ., ჰოლშტინიამ, შეძლო საგრძნობი პრივილეგიების მოპოვება, როგორც რუსეთში, ასევე ირანში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის მთავრობა რუსი ვაჭრების ინტერესების დასაცავად მნიშვნელოვნად ზღუდავდა ევროპელი ვაჭრების უფლებებს რუსეთში და ცდილობდა თვითონ გამხდარიყო სპარსული ნედლი აბრეშუმის ერთადერთი მიმწოდებელი ევროპაში. მოსკოვის სახელმწიფოს ინტერესებს უპასუხებდა აგრეთვე რუსეთის მთავრობის ცდა, რომ სპარსული აბრეშუმის ექსპორტი მთლიანად რუსეთის ტრანზიტით მომხდარიყო. ამ მიზანს ემსახურებოდა ის მრავალგვარი პრივილეგიები, რომელიც XVII ს. მეორე ნახევარში მიანიჭა რუსეთის მთავრობამ ირანელ სომეხ ვაჭრებს, რომელთა ხელთ იყო სპარსული აბრეშუმის ექსპორტი.

1623 წლის შემდეგ, როდესაც საბოლოოდ დაემხო პორტუგალელების ბატონობა სპარსეთის ყურეში, სეფიანთა შაჰებმა სხვადასხვა დროს სავაჭრო პრივილეგიები მიანიჭეს ჯერ ინგლისის, ხოლო შემდეგ კი ჰოლანდიის „ოსტ-ინდოეთის“ კომპანიის ვაჭრებს.

---

[4] Ю. А. Соколов, К вопросу о причине провала английских устремлений в Восточную Европу, Средюю Азию и Персию, ТСУ, новая серия, вып. LXVIII. кн. 9, Ташкент, 1955, გვ. 33.

[5] Е. С. Зевакин, Персидский вопрос..., გვ. 134—162.

XVII საუკუნის ნახევარსა და XVIII ს. დამდეგს თავისი პოზიციები მნიშვნელოვნად განამტკიცა ირანში აგრეთვე საფრანგეთმა (1648, 1664 და 1671 წლების ფირმანები; 1708 და 1714 წწ. საფრანგეთ-ირანის სავაჭრო ხელშეკრულება)[6]. 1717 წელს რუსეთსა და სეფიანთა სახელმწიფოს შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ორივე ქვეყნის ეკონომიურ ინტერესებს ითვალისწინებდა. ამ თვალსაზრისით 1717 წლის რუსეთ-ირანის სავაჭრო ხელშეკრულება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ირანსა და ევროპის ქვეყნებს შორის დადებულ ხელშეკრულებებისაგან, რომლებშიც უპირატესად ევროპელ ვაჭართა ეკონომიური ინტერესები იყო ფიქსირებული[7].

სეფიანთა ირანსა და ევროპის ქვეყნებს შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებების ყოველმხრივი შესწავლა და განხილვა ჩვენი თემის ფარგლებს სცილდება. ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანი პრივილეგიების მინიჭებით სეფიანმა შაჰებმა დიდად შეუწყვეს ხელი უცხოური სავაჭრო კაპიტალის ირანში მოზიდვას და ირანისა და ევროპის ქვეყნებს შორის წარმოებული სავაჭრო საქმიანობის გააქტივებასა და აღმავლობას. ამდენად ირანის ნედლი აბრეშუმი და ხელოსნური ნაწარმი სულ უფრო და უფრო ფართო ბაზარს პოულობს ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

XVI—XVII სს. ირანის ნედლი აბრეშუმი და ხელოსნური წარმოების პროდუქცია ფართო ნაკადად გადიოდა ევროპის ქვეყნებში სპარსეთის ყურის, თურქეთის ტრანზიტითა და ვოლგა-ასტრახანის სავაჭრო-სანაოსნო გზების საშუალებით.

როგორც აღვნიშნეთ, ირანის ექსპორტის ერთ-ერთ მთავარ საგანს ნედლი აბრეშუმი წარმოადგენდა. ჯერ კიდევ XVI ს. მეორე ნახევრის ევროპელი მოგზაურები აღნიშნავდნენ, რომ ირანში დიდი რაოდენობით მოჰყავდათ საუკეთესო ხარისხის აბრეშუმი და ადგილობრივი მოსახლეობა უპირატესად მისდევდა ნედლი აბრეშუმის წარმოებას და მის პირველად დამუშავებას[8]. XVII საუკუნეში ევროპის ქვეყნებში ირანის ნედლ აბრეშუმზე მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით სულ უფრო ფართოვდებოდა მისი კულტივირება სეფიანთა სახელმწიფოში. ა. ოლეარის ცნობით ნედ-

---

[6] А. А. Зоннештраль-Пискорский, Международные торговые договоры Персии, გვ. 49—50.

[7] В. И. Лебедев, Посольство Артемия Волынского в Персию Изв. АНКССР, Серия истории и философии, т. V, № 6, М., 1948, გვ. 536.

И. Г. Куканова, Русско-иранские торговые отношения в конце XVII—начале XVIII в., Исторические Записки, 1956, № 57, გვ. 245—246.

[8] Английские путешественники, გვ. 258.

ლი აბრეშუმით ვაჭრობას უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა ირანისათვის[9]. ამავე ავტორის სიტყვით სეფიანთა სახელმწიფოში ყოველწლიურად მოდიოდა 20 ათასი საპალნე აბრეშუმი[10]. ამ რაოდენობის თითქმის ნახევარს იძლეოდა გილანი. მოსავლიან წლებში ამ პროვინციაში იღებდნენ 8000 საპალნე აბრეშუმს. აბრეშუმის დანარჩენი მოსავალი სხვა პროვინციებზე შემდეგნაირად ნაწილდებოდა: შირვანი — 3000 საპალნე, ხორასანი — 3000 საპალნე, მაზანდარანი — 2000 საპალნე, ყარაბაღი — 2000 საპალნე. აბრეშუმის დიდ მოსავალს იძლეოდა საქართველოც[11].

დაახლოებით ასეთივე ცნობებს გვაწვდის შარდენიც. მისი დაკვირვებიდან ჩანს, რომ XVII ს. 70-იან წლებში სეფიანთა სახელმწიფოში ყოველწლიურად მიდიოდა 22 ათასი საპალნე აბრეშუმი[12]. ამრიგად, ამ დროისათვის ნედლი აბრეშუმის წარმოება ირანში საგრძნობლად გაიზარდა. ეს ჩანს იქიდან, რომ შარდენი საპალნეში 260 გირვანქას ანგარიშობს[13], იმ დროს, როდესაც ოლეარის თქმით მის დროს ერთი საპალნე 216 გირვანქა ნედლ აბრეშუმს შეიცავდა[14].

ნედლი აბრეშუმის წარმოებაში საგრძნობი წილი ედო საქართველოსაც. რომ საქართველო და კერძოდ, კახეთი მდიდარი იყო ნედლი აბრეშუმით ცნობილი იყო ჯერ კიდევ XVI საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისელი ვაჭრებისათვის[15]. მართალია, ქართული აბრეშუმი თავისი ხარისხით რამდენადმე ჩამოუვარდებოდა გილანსა და შირვანში მოყვანილ აბრეშუმს[16], მაგრამ მასზე მაინც დიდი მოთხოვნილება არსებობდა ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში.

ნედლი აბრეშუმის ამ უზარმაზარი რაოდენობიდან ადგილობრივი საქალაქო ხელოსნობის საჭიროებისათვის მხოლოდ ათასი საპალნე იხარჯებოდა, დანარჩენი კი მთლიანად საზღვარგარეთ გადი-

---

[9] Олеарий. გვ. 760.
[10] იქვე. გვ. 791.
[11] იქვე.
[12] Chardin, IV, გვ. 163—165.
[13] იქვე.
[14] Олеарий, გვ. 791.
[15] Английские путешественники. გვ. 223—224, 255 და სხვ.
[16] თომაზო ბინადოის ცნობით ყმაღლესი ხარისხის ნედლი აბრეშუმი მიდიოდა შირვანში, ქალაქ არეშის მახლობლად. მას ბამოდეისი (Mamudee) ეწოდებოდა. (გვ. 54). შირვანის, კერძოდ არეშის აბრეშუმზე ლაპარაკობს აგრეთვე ა. ჯენკინსონიც (Англ. путешеств., გვ. 205); შარდენს კი შემდეგი ოთხი ჯიშის აბრეშუმი აქვს ჩამოთვლილი: ყმაღლესი ხარისხის იყო შარბავთი. რომლისაგანაც განსაკუთრებით ძვირფას ქსოვილებს ამზადებდნენ. შემდეგ მოდიოდა ქედ-ხოდა (Ked-Koda), რომლის ქსოვილს ირანის ქალაქების მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ატარებდა. მესამე ადგილზე იდგა ხარ-ვარი (Kher-vary), ხოლო ყველაზე დაბალი ხარისხის აბრეშუმად მას მიჩნეული აქვს შირვანი (Chirvani), რომელიც შირვანში მოკაედათ (Chardin, IV, გვ. 163—165).

ოდა[17]. XVII საუკუნის დამდეგის ავტორის აჰმედ არ რაზის გადმოცემით მარტო შემახაში ყოველწლიურად დაახლოებით 20 000 საპალნე ნედლი აბრეშუმი საღდებოდა[18].

სეფიანთა სახელმწიფოში ნედლი აბრეშუმით ვაჭრობის მთავარ ცენტრებს წარმოადგენდნენ შემახა, არდებილი, რეშთი, ლაჰიჯანი. ქაშანი და აგრეთვე თავრიზი და ისფაჰანი.

მაღალხარისხოვანი ირანული აბრეშუმი დიდი რაოდენობით იყიდებოდა იტალიაში, ინგლისში, ჰოლანდიაში, პორტუგალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში. ნაწილი გადიოდა აგრეთვე აზიის სახელმწიფოებშიც, მაგ., ინდოეთსა და თურქეთში[19]. სპარსული აბრეშუმის მომხმარებელთა რიგში იდგა აგრეთვე მოსკოვის სახელმწიფოც. მართალია ვოლგა-ასტრახანის სანაოსნო გზით გატანილი ნედლი აბრეშუმის მოჭარბებული რაოდენობა მოსკოვის სახელმწიფოს ტრანზიტით ევროპაში გადიოდა, მაგრამ ნაწილი რუსეთშიც რჩებოდა ადგილობრივი ხელოსნური წარმოების დასაკმაყოფილებლად[20]. განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნილება ირანულ ნედლ აბრეშუმზე რუსეთში XVIII საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც მოსკოვის სახელმწიფოში პეტრე I თანხმობითა და ხელისშეწყობით ჩამოყალიბდა „მანუფაქტურული მრეწველობის ახალი დარგი — აბრეშუმის ქსოვილების წარმოება"[21].

XVI—XVII სს. სეფიანთა ირანი შუა აზიასთან და თურქეთთან ერთად ევროპის საფეიქრო წარმოებისათვის ნედლი აბრეშუმის ძირითადი და უმთავრესი მიმწოდებელი იყო. მაგრამ ნედლი აბრეშუმის გატანით არ შემოიფარგლებოდა ირანის ექსპორტი. XVI და განსაკუთრებით XVII საუკუნეში ხელოსნური წარმოების აღმავლობისა და განვითარებასთან ერთად სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკერს ირანის ექსპორტში ხელოსნური ნაწარმი. ირანის ქალაქებში სხვადასხვა დარგის ფეიქრების მიერ დამზადებული უძვირფასესი ქსოვილები ფართოდ იყო ცნობილი იმდროინდელ ევროპისა და აზიის ქვეყნებში და ყველგან დიდი მოთხოვნილება იყო მასზე. ირანელ და ევროპელ ვაჭრებს ევროპის სხვადასხვა სახელ-

---

[17] Олеарий, გვ. 791.

[18] С. Ашурбейли, Ширванские купцы в средневековых городах Азербайджана, Народы Азии и Африки, 1964, № 4, გვ. 94.

[19] Олеарий, გვ. 791.

[20] И. А. Бакланова, Привозные товары в Московском государстве во второй половине XVII века, Очерки по истории торговли и промышленности в России в 17 и в начале 18 столетия, М., 1928, გვ. 31.

[21] В. П. Лысцов, Персидский поход Петра I (1722—1723), М., 1951, გვ. 27.

მწიფოებში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ოქროქსოვილი ფარჩა-ზარბაგთი, თავთა, ქაშანისა და იეზდის დიბა, თავრიზის და ქაშანის სინატიფით განთქმული ხავერდი, ისფაჰანში დამზადებული აბრეშუმის ქსოვილები, იეზდისა და ქერმანის შალისა და ნახევრად-შალის ქსოვილები, თავრიზის სახელგანთქმული წითელი და ლურჯი ყუმაში, „ყასაბ-ე დარაია", ყანაოზი და სხვა სახის ძვირფასი ქსოვილები. სპარსელ ფეიქარ-ხელოსანთა მიერ დამზადებული ძვირფასი ქსოვილები ფართო ბაზარს პოულობდა მოსკოვის სახელმწიფოში. ამას მოწმობს ვ. ვესელოვსკის მიერ გამოცემული რუსეთ-ირანის დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის ამსახველი საბუთები. ამ საბუთებში დასახელებულია ირანიდან გატანილი იეზდის ქამხა (камка еская ან еськая), ქაშანისა და ისფაჰანის ქსოვილები, ვერცხლნარევი ხავერდი, ნაირფეროვანი აბრეშუმის ძაფით გაწყობილი (бархат серебрян с шолки цветными), წითელი, მწვანე, შავი ხავერდი, სხვადასხვა ფერისა და მოხატულობის აბრეშუმისა და შალის ქსოვილები და სხვა[22]. ირანის ქალაქებში დამზადებული სხვადასხვა სახის ძვირფასი ქსოვილი გადიოდა აგრეთვე თურქეთსა და ინდოეთში. ირანული საფეიქრო ნაწარმი დიდი რაოდენობით შემოდიოდა საქართველოშიც. ქართულ მზითვის წიგნებსა და სხვა საბუთებში მოხსენებულია ირანიდან შემოტანილი სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქებში დამზადებული ქსოვილები და მისგან შეკერილი ტანსაცმელი. მაგ., ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს მზითვის წიგნში დასახელებულია: „კაბა თეთრი იეზდის ზარბაბისა მძიმე", „კაბა თეთრი იეზდის ჩიგნისა", „ყუითელი იეზდის ჩაქანი", „ნარინჯი გილანისა დარაია უთოქეში", „ქაშანის ჩიგინი შალყუთნის სარჩულით", „ქირმანის შალი", „ქირმანის სარტყელი"[23]. ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში სხვა ნივთების გვერდით მოხსენებულია: „კაბა ისპანის დიბისა ყუითელი და პატიოსანი", „ქათიბი ისპანის ყუითელი დიბისა", „იეზდის ისფერის კარგისა და პატიოსნის ნაქსოვის ქათიბი"[24] და სხვ. XVIII ს. დამდეგის საბუთებში დამოწმებულია: „ატლასბავთი ყაშანის ყირმიზი", „იეზდის წითელი გაუპრელი ფარჩა"[25].

გარდა აბრეშუმის შალისა და შალნარევი ქსოვილებისა ირანის ექსპორტში შედიოდა აგრეთვე მზა საფეიქრო ნაწარმი და შეკერილი ტანსაცმელი. მაგალითად, რუსულ წყაროებში მოხსენებულია:

---

[22] Памятники, I. გვ. 196, 221 დ სხვ.; ტ. III, გვ. 171, 168—169, 242, 277, 250—251 და. სხვ.

[23] საქართველოს სიძველენი, II, თბილისი, 1909. გვ. 486—400.

[24] იქვე. III. თბილისი, 1910, გვ. 486—490.

[25] იქვე, II, გვ. 278, 290.

«Кафтан бархат зелен гладкой, подкладка кипдяк желт», «2 кафтана озямских камки цветные с серебром, подкладки»[26], «сарафан, дороги червчатные»[27], «2 кушака камчатные гилянские розные шолки», «2 полукушака гилянские»[28].

ევროპის და აზიის ქვეყნებში, რუსეთსა და ამიერკავკასიაში გადიოდა თავრიზში, ჰერათში, თეირანში, ქერმანში, სირჯანში, ისფაჰანსა და სეფიანთა ირანის სხვა სახელოსნო ცენტრებში მოქსოვილი შესანიშნავი ხალიჩები, ნოხები, ფარდაგები, ფიანდაზები და იეზდისა და ქერმანის მშვენიერი თაქნაბადები[29].

აღსანიშნავია, რომ ევროპის ქვეყნებში ზოგიერთ შემთხვევაში ირანიდან გაჰქონდათ აგრეთვე ხელოსნური ნახევარფაბრიკატები. რაფაელ დუ მანის ცნობით იეზდსა და ქირმანში ადგილობრივი ხელოსნები აწარმოებდნენ აქლემის ბეწვის პირველად გადამუშავებას. იგი ძეტად ლამაზ ფერსა და სირბილეს იძენდა. აქლემის ამ გადამუშავებულ ბეწვზე ანუ თივთიკზე (تفتیک) დიდი მოთხოვნილება იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მას ფეტრის დასამზადებლად იყენებდნენ[30]. მსგავს ცნობას გვაწვდის ჟან შარდენიც. მისი სიტყვითაც იეზდის, ქერმანისა და ყაზვინის თივთიკი ევროპის ქვეყნებში ფეტრისა და ქუდების დასამზადებლად იხმარებოდა[31]. თურქეთში ირანიდან გაჰქონდათ თხის ბეწვის უხეში ძაფი, ხოლო მოსკოვის სახელმწიფოში მატყლი[32].

ირანის საქალაქო ხელოსნობის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ დარგს ტყავის გამოქნვა-გადამუშავება წარმოადგენდა. ირანელი ხელოსნები, განსაკუთრებით გაწაფულნი იყვნენ შესანიშნავი ტარსიკონის დამზადებაში, რომლის წარმოების ცენტრს ქალაქი თავრიზი წარმოადგენდა[33]. თავრიზში, ყაზვინსა და ირანის სხვა ქალაქების ხელოსანთა მიერ დამზადებული ტარსიკონი დიდი რაოდენობით გადიოდა ევროპისა და აზიის სახელმწიფოებში. ოლეარის ცნობით ტარსიკონი მოსკოვისა და პოლონეთის ტრანზიტით გაჰქონდათ ჰოლშტინიაში და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში[34].

---

[26] Памятники, III, გვ. 270.

[27] М. Фехнер, Торговля..., გვ. 95.

[28] Памятники, III. გვ. 250.

[29] ირანული დამზადებული ხალიჩებს ევროპის ქვეყნებში „თურქული ხალიჩების“ (tapis de Turquie) სახელით იცნობდნენ. რადგანაც მათი ექსპორტირება თურქეთის ტრანზიტით ხდებოდა. Tavernier, II. გვ. 498.

[30] R. du Mans. Estat de la Perse en 1160. Ed. par Ch. Schéfer, Paris, 1890. გვ. 12–13.

[31] Chardin. IV. გვ. 165.

[32] იქვე.

[33] Tavernier. I. გვ. 70.

[34] Олеарий, გვ. 740.

მნიშვნელოვანი ნაწილი მოსკოვის ტრანზიტით გატანილი ტარსიკონისა თვითონ რუსეთში რჩებოდა და ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. 1616 წელს რუსეთში ძვირფას ქვებთან, ლალთან, იაგუნდთან, ფირუზთან და ალმასთან ერთად სეფიანთა სახელმწიფოდან შეიტანეს აგრეთვე სხვადასხვა ფერის 350 იუხტი ტარსიკონი (350 юфтей сафъянов всякими цветам)[35]. ირანიდან მოსკოვსა და ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა ფერის ტარსიკონის გატანის შესახებ ლაპარაკობს აგრეთვე შარდენი[36].

ლითონის გადამმუშავებელი დარგების ხელოსნური ნაწარმიდან ექსპორტის საგანს წარმოადგენდა ქაშანში დამზადებული მშვენიერი სპილენძის ჭურჭელი, ყუმის, მეშჰედისა და სხვა ქალაქების ხელოსანთა ნახელავი ცივი იარაღი. ცივი იარაღის განსაკუთრებით დიდი რაოდენობა გაჰქონდათ მოსკოვის სახელმწიფოში. დონ ხუან სპარსელი გადმოგვცემს: ირანში „იმდენად ბევრ იარაღს აკეთებენ, რომ გააქვთ რუსეთში (Moscovia), ისევე როგორც მილანიდან ესპანეთში"[37]. რუსულ საბუთებში მოხსენებულია ირანიდან შემოტანილი მშვილდ-ისარი. მაგალითად, 1616 წლით დათარიღებულ საბუთში დასახელებულია შირაზის 9 მშვილდი, მეშჰედური ოქროქრული მშვილდი (лук мешецкий навожен твореным золотом), მეშჰედური 8 ოქროთი მოსატული მშვილდი (8 луков мешетских писаны золотом)[38] და სხვ.

რუსეთში განსაკუთრებით აფასებდნენ სპარსულ ხმლებს მათი მაღალი ხარისხისა და შესანიშნავი მოპირვის გამო. 1614 წელს რუსეთში სხვა საქონელთან ერთად ირანიდან შეუტანიათ შირაზის ფოლადის ხმალი (сабля булатная ширязское дело)[39]. ვესელოვსკის მიერ გამოცემულ საბუთებში მოხსენებულია ქაშანში დამზადებული ფოლადის მოხატული ხმალი (сабля булатная в лице кашанское дело)[40]. 1675 წელს „ყიზილბაშმა ვაჭარმა მაგომეტოვმა რუსეთის მეფეს თეოდორე ალექსის ძეს მიართვა „ფოლადის 2 ხმლის პირი"[41].

ირანული იარაღის გარკვეული რაოდენობა საღდებოდა აგრეთვე ევროპისა და აზიის ქვეყნებშიც. ირანიდან გატანილი მშვილდ-

---

[35] Памятники, III, გვ. 274.
[36] Chardin, IV, გვ. 166.
[37] С. В. Тер-Аветисян, Город Джуга, გვ. 30.
[38] Памятники, III, გვ. 12.
[39] იქვე.
[40] იქვე. I, გვ. 197.
[41] И. А. Бакланова, Привозные товары..., გვ. 70.

ისარი და სხვადასხვა სახის ცივი იარაღი უმეტეს შემთხვევაში მაღალხარისხოვანი მასალისაგან მზადდებოდა, ძვირფასად იყო მოპირული და ამიტომ მეტად ძვირად ფასობდა. ირანული იარაღი უმთავრესად რუსეთისა და სხვა ქვეყნების ფეოდალთა ფუფუნების საკანს წარმოადგენდა. ამდენად მისი ექსპორტი გარკვეულად შეზღუდული იყო. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ძვირფასი იარაღისა ირანიდან გაჰქონდათ აგრეთვე გარკვეული რაოდენობის უბრალო ხმლები, ხმლის პირები, სატევრები და სხვა ცივი იარაღი, რომლის ფასი შედარებით დაბალი იყო[42].

საინტერესოა, რომ ირანიდან მზა იარაღის გვერდით გაჰქონდათ აგრეთვე სხვადასხვა ლითონი: რკინა, ფოლადი, ლითონის ღერძები და ა. შ. შარდენის სიტყვით თუმცა ლითონი წარმოადგენდა „ქვეყნის დაცვის საშუალებას", მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ირანელ ვაჭრებს რკინის, ფოლადისა და სხვა ლითონების ზოდები თურქეთში გაეტანათ გასაყიდად[43].

სპარსული ხელოსნური წარმოების სხვა პროდუქციიდან უცხოეთის ქვეყნებში გადიოდა აგრეთვე ოქრომჭედლობის ნიმუშები, დამუშავებული ძვირფასი ქვები (ლალი, ფირუზი, ალმასი, მარგალიტი...), ურმიის ტბის ღერწმისგან მარაღეში და სხვა ქალაქებში დაწნული მშვენიერი ჭილოფები, ქაშანური, თიხის ჭურჭელი, შირაზული მინა და ფაიფური და სხვა. შირაზში დამზადებული საუკეთესო ხარისხის მინის და ფაიფურის ჭურჭელი ფართოდ იყო ცნობილი აღმოსავლეთში, ამიერკავკასიასა და რუსეთში და მასზე დიდი მოთხოვნილება არსებობდა ამ ქვეყნებში. ქართულ წყაროებში არაერთხელ გვხვდება „შირაზული მინა", „შირაზის ჭურჭელი" და სხვა. რუსულ საბუთებში დამოწმებულია ირანიდან შემოტანილი ჭურჭელი: ჯამები, თეფშები, ორჯამიანები, ფაიფურის სურები (сулей фарфурных) და სხვადასხვა ფერის სპარსული ქაშანურის ფინჯნები (чашки разных цветов персидские ценинные). ირანში დამზადებული მინის, ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭლის ექსპორტირება ხდებოდა აგრეთვე ინდოეთში.

სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქების ხელოსნური ნაწარმის გვერდით ირანის ექსპორტში საგრძნობი ადგილი ეჭირა სათანადოთ გადამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქციას. სახელგანთქმულ შირაზული ღვინოს რეალიზაცია ხდებოდა როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთ. შირაზული ღვინო დიდი რაოდენო-

---

[42] М. В. Фехнер, Торговля..., გვ. 112.

[43] Chardin, IV, გვ. 116.

ბით გაჰქონდათ ევროპაში, რუსეთსა და აზიის ზოგიერთ ქვეყნებში (ინდოეთი, თურქეთი). ასევე დიდი მოთხოვნილება იყო შირაზში, გულნაბადსა და სხვა ქალაქებში დამზადებულ ვარდის წყალზე. ტავერნიეს ცნობით ირანული ვარდის წყლის მთავარი მომხმარებელი იყო ინდოეთი, სუმატრას კუნძულები და ბატავია[44]. ამავე ქვეყნებში და განსაკუთრებით ინდოეთში მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდათ ქალაქ შირაზში სხვადასხვანაირად შემზადებული ხილი და ბოსტნეული: ვაშლის, მსხლის და ქლიავის ჩირი, შაქარში გამოყვანილი ყურძენი და სხვ[45]. დიდი მოთხოვნილება იყო აგრეთვე ირანულ ფინიკზე. ინდოეთსა და თურქეთში ირანიდან გადიოდა თამბაქო და სამელნე გალი"[46] ინდოეთში საფეიქრო წარმოების საჭიროებისათვის გაჰქონდათ მუქი წითელი საღებავი ანუ ყირმიზი, რომელიც მზადდებოდა ხოიში და სამხრეთ აზერბაიჯანის სხვა ქალაქების სანახებში.

ასეთი იყო ძირითადად სეფიანთა ირანის ექსპორტი ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ირანის საზღვრებს გარეთ გადიოდა როგორც სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი (ტექნიკური კულტურები — ნედლი აბრეშუმი, თამბაქო და სხვ; სურსათ-სანოვაგე, ხილი, ღვინო, ბოსტნეული), ისე ხელოსნური წარმოების პროდუქცია. სეფიანთა ირანის საგარეო ვაჭრობაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა საქალაქო ხელოსნობის ნაწარმს. ქალაქში დამზადებულ ხელოსნური პროდუქციიდან ექსპორტის საგანს წარმოადგენდა ძვირფასი ქსოვილები, ოქრო და ვერცხლნარევი აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, სახელგანთქმული სპარსული ხალიჩები და ნოხები, ძვირფასი ქვებით მოოქვილი ვერცხლისა და ოქროს საიუველირო ნაწარმი, მოხატულ-მოპირული ცივი იარაღი, ტარსიკონი, შირაზული მინა და სხვა.

სეფიანთა ირანის ქალაქებიდან უცხოეთის ქვეყნებში გატანილი ხელოსნური ნაწარმიდან გარკვეული რაოდენობა დამზადებული იყო შაჰისა და მსხვილი ფეოდალების სახელოსნოებში — ქარხანეებში. მასალების სიმცირის გამო შეუძლებელია მთელი სიზუსტით დავადგინოთ ქარხანეების მონაწილეობის მასშტაბი ირანის საგარეო ვაჭრობაში. მაგრამ იმ მცირე მასალიდანაც, რომელიც ჩვენს ხელთ არის ნათლად ჩანს, რომ ქარხანეს სახელოსნო პროდუქცია ხმარდებოდა არა მარტო მის მფლობელს, არამედ ქარხანეს ნაწარმის ერთი ნაწილი გამიზნული იყო ბაზარზე გასატანად, კერძოდ, ევროპისა და აზიის სახელმწიფოებში ექსპორტირებისათვის.

---

[44] Tavernier, II. გვ. 402—403.

[45] Tavernier, II. გვ. 102—103; Chardin, IV. გვ. 165—166.

[46] Chardin, იქვე.

ამის დასადასტურებლად შეიძლება ის ფაქტი იქნას გამოყენებული, რომ ქარხანეებში დამზადებული ზოგიერთი ნივთი მსოფლიოს სხვადასხვა სიძველეთსაცავებში ინახება. ასე, მაგალითად, ვენეციაში კორერის მუზეუმში დაცულია 1603 წელს შაჰის ქარხანეს ხელოსანთა მიერ გამოშვებული ქსოვილი. ამ ქსოვილზე გამოსახულია ქალაქ ვენეციის ღერბი—წმინდა მარკოზის ლომი და აგრეთვე ხარების სცენა ღვთისმშობლით[47]. მოსკოვის საჭურველთსაცავის ექსპონატებს შორის წარმოდგენილია ფარჩის მდიდრული ცხენის ჩულები ორთავიანი არწივების გამოსახულებით. როგორც ფიქრობენ ეს ჩულები დამზადებულია XVII საუკუნეში შაჰის სახელოსნო ქარხანეებში[48].

ყურადღებას იქცევს ერთი მეტად საგულისხმო გარემოება, ქარხანეებში დამზადებულ ნაწარმზე ხშირად გამოსახულია მუსლიმანური სარწმუნოებისათვის და ირანული მხატვრული ტრადიციებისათვის სრულიად უცხო მოტივები: ქრისტიანული წმინდანები (ღვთისმშობელი, წმ. მარკოზი), ხარების სცენა; ან კიდეკ მოსკოვის სახელმწიფოს პოლიტიკური ემბლემა — ორთავიანი არწივი. ეს ფაქტი იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ქარხანეები ზოგიერთ შემთხვევაში საგანგებოდ ამზადებდენ უცხოეთის ბაზრებისათვის გამიზნულ საქონელს და ამდენად მათი პროდუქცია სეფიანთა ირანის ხელოსნური ნაწარმის საერთო ექსპორტში გარკვეულ ადგილს იკერდა.

ქარხანეების ნახელავი პროდუქციის დასახელება გვხვდება ქართულ მზითვის წიგნებშიც. 1713 წელს ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს მზითევში სხვა სპარსულ ნივთებთან ერთად გაატანეს აგრეთვე „ტყავი ისპანის ქარხნის დიბისა[49]". ერეკლე II დის ელისაბედის მზითვის წიგნში მოხსენებულია „ქათიბი ყვითელის ქარხნის დიბისა[50]", „ბალიში ყვითელის ქარხნის დიბისა" და „ნავმადანი ქარხნისა"[51]. ყველაფერი ეს ირანიდან შემოდიოდა საქართველოში და ადგილობრივი მოსახლეობის უმაღლეს ზედაფენაში ვრცელდებოდა.

ქარხანეს აქტიურ მონაწილეობას სეფიანთა ირანის ქალაქების საგარეო ვაჭრობაში აღნიშნავს მ. ჰეიდაროვიც[52].

---

47 Соболев, Из истории украшения тканей, М.-Л., 1934, გვ.146.

48 იქვე.

49 საქართველოს სიძველენი, ტ, III, გვ. 406.

50 საქართველოს მუზეუმის მოამბე, X-B, თბილისი, 1940, გვ. 215.

51 იქვე. გვ. 218. 220.

52 М. Х. Гейдаров, Об организации крупных ремесленных мастерских в городах сефевидского Ирана XVII века, გვ. 231.

XVI—XVII სს. ირანის ქალაქების საგარეო ვაჭრობა არ ამოიწურება მხოლოდ თავის ხელოსნური პროდუქციის ექსპორტით აზიისა და ევროპის ქვეყნებში. ქალაქის საგარეო სავაჭრო საქმიანობის მნიშვნელოვან წილს შეადგენდა უცხოური საქონლის იმპორტიც. ირანის იმპორტში უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში დამზადებული საფეიქრო ნაწარმი და პირველ რიგში მაღალხარისხოვანი მაუდი. ტავერნიეს ცნობით ირანში მაუდი შემოჰქონდათ ინგლისიდან, ჰოლანდიიდან და ვენეციიდან[53].

ვენეციის წითელი მაუდის პოპულარობას ირანის ადგილობრივ მოსახლეობაში აღნიშნავს ედვარდსი[54].

სხვა საფეიქრო ნაწარმიდან ირანის ქალაქებში შემოდიოდა ვენეციური ოქრო და ვერცხლნარევი ფარჩა, ხავერდი[55], ქ. ბურსიდან, მცირე აზიის თურქეთის ქალაქებიდან და ყირიმიდან შემოჰქონდათ ხავერდი და ოქროქსოვილები[56]. როგორც ვხედავთ. ირანში უცხოეთიდან უმთავრესად შემოდიოდა ძვირფასი ქსოვილები, რომლის მთავარი მომხმარებლები ფეოდალური კლასისა და მდიდარი დიდვაჭრების წარმომადგენლები იყვნენ. მაგრამ რუსეთიდან და ინდოეთიდან ირანის ქალაქებში შემოჰქონდათ აგრეთვე უბრალო სელის ქსოვილი. ეს იაფფასიანი ქსოვილები ქალაქის და სოფლის ღარიბ-ღატაკთა შორის ვრცელდებოდა[57].

ირანის იმპორტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ინდურ სანელებლებს (პილპილი, მიხაკ-დარიჩინი, ჯანჯაფილი, ჯავზი და სხვ.). ეს სანელებლები ირანში აღმოსავლეთ ინდოეთიდან შემოჰქონდათ. სახმელეთო და საზღვაო გზებით ირანში შემოზიდული სანელებლების დიდი ნაწილი რეექსპორტის სახით დასავლეთ ევროპაში და რუსეთში გადიოდა. ინდოეთიდან ირანში შემოჰქონდათ აგრეთვე ზოგიერთი სახის ძვირფასი ქსოვილი, საღებავები, ძვირფასი ქვები და სხვ. ასე მაგ., მოღოლთა იმპერიის ხელმწიფე — ჯაჰანშაჰი „ვაჭრობდა ქსოვილებით, ინდიგოთი, გვარჯილათი და ძვირფასი ქვებით, რომელსაც ისფაჰანსა და ბასრაში გზავნიდა. ამ ქალაქებში კი იგი ცხენებს ყიდულობდა"[58].

ევროპის ქვეყნების ხელოსნური ნაწარმიდან ირანში შემოჰქონდათ აგრეთვე ვენეციის სახელგანთქმული მინა, სარკეები, ოქრო-

---

[53] Tavernier, II, გვ. 47.

[54] Английские путешественники, გვ. 225.

[55] იქვე. გვ. 235—236.

[56] И. Петрушевский, Восстание..., გვ. 217.

[57] R. du Mans, გვ. 14.

[58] И. М. Рейснер, Народные движения в Индии в XVI—XVIII вв., М. 1961, გვ. 27.

მჭედლობის ნიმუშები, ზოგიერთი სახის ცივი იარაღი და სხვა საქონელი. რუსეთის იმპორტული საქონლიდან ირანის ქალაქებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყიდებოდა სხვადასხვა ძვირფასი ბეწვეული[59]. რუსულ საბუთებში მოტანილი მასალიდან ჩანს, რომ რუს და ირანელ ვაჭრებს სეფიანთა სახელმწიფოში შემოჰქონდათ ყარყუმი, სიასამური, კვერნა, თეთრი მელა, ქრცვინი, თახვი და სხვა ძვირფასი ბეწვეული[60]. რუსულ იმპორტში შედიოდა აგრეთვე სხვა საქონელი: სელის უბრალო ქსოვილები, დაუმუშავებელი ტყავი, თაფლი, სანთელი, ხის ჯამ-ჭურჭელი, ლომვეშაპის ძვალი (рыбья кость) და სხვ.

ზოგიერთ შემთხვევაში მოსკოველ ვაჭრებს აღმოსავლეთში და კერძოდ ირანში გაჰქონდათ აგრეთვე დასავლეთ ევროპის საქონელი, რომელსაც ისინი ან ადგილზევე იძენდნენ ან კიდევ რუსეთის ბაზრებზე ყიდულობდნენ ევროპელი ვაჭრებისაგან. ასეთი საქონლიდან შეიძლება დავასახელოთ მაუდი, მინის ჭურჭელი, ვერცხლის წყალი, რკინა და ფერადი ლითონები — კალა, სპილენძი და ტყვია[61]; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის მიერ ევროპული საქონლის რეექსპორტი მცირე მასშტაბით წარმოებდა და რუსეთის საგარეო ვაჭრობაში უმნიშვნელო ადგილი ეჭირა[62]; ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ, ჰოლანდიური და ევროპის სხვა ქვეყნების საქონლის უდიდესი ნაწილი თვით ევროპელ ვაჭრებს შემოჰქონდათ სეფიანთა სახელმწიფოში.

ევროპის იმპორტის ერთ-ერთ საგანს ირანში წარმოადგენდა ლითონი. როგორც უკვე აღვნიშნეთ ევროპული ლითონის ნაწილი რუს ვაჭრებს შემოჰქონდათ სეფიანთა ირანის ქალაქებში. მაგრამ უფრო დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ ლითონი იტალიელებსა და ინგლისელ ვაჭრებს. იტალიიდან და ინგლისიდან შემოზიდულ ლითონებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კალა და სპილენძი[63]. XVII საუკუნეში სეფიანთა ირანში საუკეთესოდ ითვლებოდა იაპონური სპილენძი[64]. ამრიგად, XVI—XVII სს. ირანის ქალაქები გარკვეული ეკონომიური ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებულნი შორეულ აღმოსავლეთის ისეთ ქვეყანასთან, როგორიც იყო იაპონია და ვაჭრობას აწარმოებდნენ მასთან. ევროპიდან და

---

[59] Chardin, VII, გვ. 16—17.

[60] Памятники, I, II, სხვადასხვა გვერდები.

[61] М. В. Фехнер, Торговля..., გვ. 80.

[62] იქვე, გვ. 81.

[63] J. Tavernier, Les six voyages, Paris, 1681, I, გვ. 338; Chardin, III, გვ. 33.

[64] R. du Mans, გვ. 12.

იაპონიიდან შემოტანილი მაღალხარისხოვანი ლითონი ძირითადში გამოიყენებოდა ადგილობრივი ლითონის ხარისხიანობის გასაუმჯობესებლად და ცივი იარაღის დასამზადებლად რაფაელ დუ მანის ცნობით ხორასანში მნიშვნელოვანი რაოდენობით აწარმოებდნენ სპილენძს, მაგრამ მისი დრეკადობის გასაზრდელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად, როგორც წესი, მას დასავლეთ ევროპიდან შემოტანილ (Cuivre... qui vient d'Occident) სპილენძს ურევდნენ[65]. როგორც ჩანს, ასეთი სპილენძისაგან მზადდებოდა აღმოსავლეთში განთქმული ხორასნული ცივი იარაღი.

სეფიანთა სახელმწიფოში ამიერკავკასიიდანაც შეჰქონდათ სხვადასხვა საქონელი. საქართველოდან ირანში, გარდა ნედლი აბრეშუმისა, გაჰქონდათ სახელგანთქმული ქართული ღვინოები, რომელიც თავისი ხარისხითა და თვისებებით შირაზულ ღვინოს არ ჩამოუვარდებოდა. შარდენი ქართულ ღვინოს საუკეთესოდ თვლიდა მთელ სეფიანთა სახელმწიფოში[66]. ასეთივე აზრისაა ა. ვოლინსკიც, რომლის სიტყვითაც „შესანიშნავ ქართულ ღვინოებს" დიდ პატივს სცემდნენ სპარსეთში და ყოველწლიურად დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ისფაჰანში შაჰის სასახლის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად[67]. ისფაჰანსა და ირანის სხვა მსხვილ ქალაქებში გადიოდა აგრეთვე საქართველოში მოკრეფილი ხილი, საქართველოდან გატანილი სანოვაგიდან აღსანიშნავია კახური კაკალი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი შესანიშნავი გემოთი და ჯიშით[68]. ყოველწლიურად სეფიანთა სახელმწიფოში 4000 აქლემის საპალნე კახური კაკალი გადიოდა[69]. საქართველოდან ირანში გაჰქონდათ აგრეთვე სხვადასხვა ბოსტნეული, საღებავი — ენდრო, გაჰყავდათ კახური ბედაურები, რომელიც ირანში „გურჯის" სახელით იყო ცნობილი და სხვა[70].

სეფიანთა ირანის ქალაქების საგარეო ვაჭრობის მასშტაბი განუზომლად უფრო დიდი იყო და საქონლის ბრუნვით მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშინაო ვაჭრობას და მისგან განსხვავებით დიდ გავლენას ახდენდა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე და პირველ რიგში კი საქალაქო ხელოსნობისა და ქარხნების განვითარებააღმავლობაზე.

---

[65] R. du Mans, გვ. 12.
[66] Chardin, IV, გვ. 71.
[67] В. П. Лысцов, Персидский поход Петра I, გვ. 38.
[68] Английские путешественники, გვ. 255.
[69] იქვე.
[70] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., II, გვ. 761, 783.

5. ვაჭართა კატეგორიები

საქმიანობის ხასიათისა და სავაჭრო ოპერაციების მასშტაბის მიხედვით სეფიანთა ირანის ქალაქებში ძირითადად 3 კატეგორიის ვაჭრები იყვნენ წარმოდგენილნი: წვრილი ვაჭრები-მედუქნეები, საშინაო აღებ-მიცემობით დაკავებული ვაჭრები და საერთაშორისო ვაჭრობის სარბიელზე მოღვაწე ეკონომიურად ძლიერი დიდვაჭრები.

პირველ კატეგორიაში შემავალ ვაჭრებს ბაზარგანი (بازرگان) ეწოდებოდა. ბაზარგანები უმეტეს შემთხვევაში წვრილი და საშუალო ვაჭრები იყვნენ. მათი საქმიანობა ძირითადად ქალაქის ადგილობრივი ბაზრების ფარგლებს არ შორდებოდა. ბაზარგანი როგორც წესი თავის დუქანში იჯდა და გარკვეული სახის საქონლით ვაჭრობდა[1]. ზოგ შემთხვევაში ბაზარგანი ანუ მებაზრე გავლენიანი დიდვაჭრების კონტრაგენტების როლს ასრულებდა. ბაზარგანი ისეთი ტიპის ვაჭარი იყო, რომლისთვისაც ვაჭრობა ერთადერთ საქმიანობად იყო ქცეული და მისი არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ვაჭართა ამ კატეგორიაში შედიოდნენ აგრეთვე ქალაქის ხელოსნებიც, რომლებსაც ძალიან ხშირად თავიანთი ნახელავი ბაზრისათვის ჰქონდათ გამიზნული. ამდენად ისინი ამ შემთხვევაში ვაჭრების როლში გამოდიოდნენ, ხოლო მათი სახელოსნო კი სავაჭრო დუქანსაც წარმოადგენდა. თავის დუქანში სპარსული და უცხოური საქონლით მოვაჭრე ბაზარგანისა და ხელოსან-ვაჭართა ეკონომიურ-უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად უახლოვდებოდა ერთმანეთს.

ისინი ერთნაირად იყვნენ დამოკიდებულნი დიდვაჭრებზე და მათ ექსპლოატაციას განიცდიდნენ.

ამრიგად, ბაზარგანების კატეგორიას ჩვენი აზრით გარდა წვრილი და საშუალო ვაჭრებისა, რომლებიც სრულიად მოწყვეტილი იყვნენ წარმოებას, შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ქალაქის ადგილობრივი ხელოსნები. ამის თქმის უფლებას გვაძლევს თითონ შუა საუკუნეების ირანის ხელოსნური წარმოების ხასიათი, რაც გამოიხატებოდა ხელოსნობის მჭიდრო კავშირში ბაზართან და ვაჭრობასთან.

ბაზარგანებისა და ვაჭარ-ხელოსნებისაგან განსხვავდებოდნენ მეორე კატეგორიის ვაჭრები, ისინი მისდევდნენ საშინაო ვაჭრობას. მათ ხელთ იყო სეფიანთა ირანის საქალაქთაშორისო ვაჭრობა

---

[1] ახალი ჯულას ისტორია, გვ. 185; С. Тер-Аветисян, Город Джуга, გვ. 36.

და აგრეთვე ქალაქსა და სოფელს შორის წარმოებული აღებ-მიცემობა. ისინი ქალაქის ბაზრებსა და წვრილ ვაჭრებს ბაზარგანებს აწვდიდნენ ირანის სხვადასხვა ქალაქების ხელოსნურ ნაწარმს და სოფლის მეურნეობის პროდუქტს. თავისი ეკონომიური მდგომარეობით ისინი გაცილებით მაღლა იდგნენ ბაზარგანებთან შედარებით. მაგრამ იმავე დროს სავაჭრო ოპერაციების მასშტაბებითა და ქონებრივი მდგომარეობით ვერ გაუტოლდებოდნენ უცხოეთის ქვეყნებთან მოვაჭრე მდიდარ და გავლენიან კომერსანტებს. ჩვენ მიერ შესწავლილ წყაროებში პირდაპირ არ არის მითითებული თუ რა ტერმინი იხმარებოდა ქვეყნის საშინაო აღებ-მიცემობასთან დაკავშირებულ ვაჭრის აღსანიშნავად. შესაძლებელია ეს ტერმინი „სოვდაგარი" (سوداگر) იყო, რომელიც საერთოდ დიდვაჭარს, ბითუმით მოვაჭრე მდიდარ კომერსანტს აღნიშნავდა. მაგრამ შარდენის ცნობებიდან ირკვევა, რომ XVII საუკუნის 70-იან წლებში ირანში სოვდაგრებს უცხოეთთან სავაჭრო ურთიერთობით დაკავშირებულ, ეკონომიურად ძლიერ დიდვაჭრებს უწოდებდნენ[2]. ჩვენი აზრით „სოვდაგარი" ყველა დიდვაჭრის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო, განურჩევლად იმისა საგარეო თუ საშინაო ვაჭრობას მისდევდა იგი.

პირველი ორი კატეგორიის ვაჭრები სეფიანთა ირანში ძირითადად სპარსელები იყვნენ.

განსაკუთრებულ კატეგორიას მსხვილი დიდვაჭრები შეადგენდნენ, რომლებიც მსოფლიო-სატრანზიტო ვაჭრობასთან იყვნენ დაკავშირებულნი. ირანის საგარეო ვაჭრობა ძირითადად სომხებისა და ინდოელების ხელთ იყო, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სპარსელებიც იღებდნენ მასში მონაწილეობას. საგარეო ვაჭრობით დაკავებული მსხვილი დიდვაჭრები სპარსულ წყაროებში ტერმინ „ხოჯათი" (خواجه) აღინიშნებოდნენ.

ირანელ ხოჯათა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ სომეხი დიდვაჭრები, რომლებსაც აბას I და მისი მომდევნო შაჰინშაჰების დროს უდიდესი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. სეფიანთა სახელმწიფოში მოსაქმე სომეხ ვაჭართა შორის თავიანთი სიმდიდრითა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან წარმოებული სავაჭრო ოპერაციების მასშტაბებით გამოირჩეოდნენ ახალი ანუ ისფაჰანის ჯუღას დიდვაჭრები. ახალი ჯუღას ვაჭრობის აყვავებისა და ჯუღელი ვაჭრების მნიშვნელობისა და როლის ზრდა სეფიანთა ირანის საგარეო ვაჭრობაში უწინარეს ყოვლისა უნდა აიხსნას შაჰ აბასი I მიერ მინიჭებული შეღავათებით. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ სომეხი ვაჭრები ისფაჰანის გარეუ-

---

[2] Chardin, გვ. 157—159.

ბანში დასახლებამდე თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ამიერკავკასიაზე და თურქეთზე გამავალი სატრანზიტო გზების საშუალებით მონაწილეობდნენ მსოფლიო სატრანზიტო ვაჭრობაში და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში საკმაოდ მყარი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, რასაც მოკლებული იყვნენ საკუთრივ სპარსელი ვაჭრები.

ახალი ჯულის ვაჭრების მდგომარეობის განმტკიცებისათვის და მათი სავაჭრო ასპარეზის გაფართოებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ისინი ძალზე ხშირად ირანის შაჰის სავაჭრო კონტრაგენტები იყვნენ. ამასთან ერთად ისინი დიპლომატიურ დავალებებსაც ასრულებდნენ[3]. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოდ ჩანს პიეტრო დელა ვალეს ცნობა, რომლის თანახმად „სომხები (ლაპარაკია ჯულელ ვაჭრებზე) ისევე ესაჭიროებოდა სპარსეთის შაჰს, როგორც ესპანეთის მეფეს გენუელები, რადგანაც მათ უერთმანეთოდ არსებობა არ შეეძლოთ[4]. იტალიელი ავტორის ამ დაკვირვებაში ნათლად ჩანს სომეხი ვაჭრებისა და სეფიანთა შაჰების ეკონომიური ურთიერთკავშირი და ურთიერთინტერესი.

სეფიანთა სახელმწიფოში ნედლი აბრეშუმით ვაჭრობის მონოპოლიური უფლებით შაჰი სარგებლობდა. სწორედ სომეხი ვაჭრებისა და კერძოდ ახალი ჯულის ხოჯების საშუალებით აწარმოებდა იგი ნედლი აბრეშუმის გატანას და რეალიზაციას დასავლეთ ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში. აბრეშუმის ექსპორტი უდიდეს მოგებას აძლევდა როგორც შაჰს, ისე სომეხ ვაჭრებს. ეს იყო ძირითადი მიზეზი, რომ XVII საუკუნის პირველ მეოთხედიდან მოკიდებული ახალი ჯულის დიდვაჭრები ცდილობენ მოიპოვონ უფლება, რომლის ძალითაც ისინი გახდებოდნენ ამ შემოსავლიანი საქონლის ერთადერთი ექსპორტიორები უცხოეთის ქვეყნებში. სხვა სიტყვებით, ისინი ცდილობდნენ აბრეშუმის გატანაზე მონოპოლიური უფლებების მოპოვებას. სომეხი ხოჯების ამ მიზანსწრაფვას ემსახურებოდა ჯულის სავაჭრო კომპანიის შექმნა, რომელმაც 1667 და 1673 წლებში სავაჭრო ხელშეკრულება დადო მოსკოვის სახელმწიფოსთან. ეს ხელშეკრულებები ითვალისწინებდა მთელი სპარსული ნედლი აბრეშუმის რუსეთში გატანას. ნაწილი ნედლი აბრეშუმისა რუსეთში უნდა დარჩენილიყო ადგილობრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ხოლო ნაწილი რეექსპორტის სახით ევროპის სახელმწიფოებისათვის უნდა მიეწოდებინათ[5].

---

[3] В. А. Байбуртян, Посредническая роль Ново-джульфинских купцов в дипломатических отношениях Ирана с Западноевропейскими странами в начале XVII, в., КСИВ, М., 1964, 77, გვ. 20—29.

[4] С. Тер-Австисян, Город Джуга, გვ. 30.

[5] Е. С. Зевакин, Персидский вопрос..., გვ. 158—160.

მართალია, 1667 და 1673 წწ. ხელშეკრულებათა დებულებები მთლიანად არ ყოფილა განხორციელებული და სპარსული ნედლი აბრეშუმის მნიშვნელოვანი ნაწილი ძველებურად თურქეთის ტრანზიტითა და სპარსეთის ყურის მეშვეობით გადიოდა ევროპაში, მაგრამ თავისთავად მეტად დამახასიათებელია, რომ ჯუღელი ვაჭრები ცდილობენ ხელი შეუშალონ ყველა არა ჯუღელს მონაწილეობა მიიღონ აბრეშუმის ექსპორტში. ანალოგიური სავაჭრო ხელშეკრულებები რუსეთსა და ჯუღის კომპანიის შორის დადებულ იქნა აგრეთვე 1716, 1719 და 1720 წლებში[6], მაგრამ ამასაც არ მოჰყოლია რეალური შედეგი. ახალი ჯუღის ვაჭრები ასეთ დამოკიდებულებას ამყღავნებდნენ როგორც ადგილობრივ სპარსელ და სომეხ, ისე რუს და სხვა უცხოელ ვაჭრებისადმი[7], მაგრამ მიუხედავად მრავალმხრივი ცდისა ახალი ჯუღის დიდვაჭრებმა ვერ შესძლეს მონოპოლიური უფლებების მოპოვება სპარსული ნედლი აბრეშუმის ექსპორტზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნედლი აბრეშუმისა და სხვა ირანული საქონლის ექსპორტში სომეხი და კერძოდ, ჯუღელი ხოჯები თითქმის ყოველთვის მაინც წინ უსწრებდნენ სხვა ეროვნების ვაჭრებს.

სომეხი ვაჭრების დიდი როლი სეფიანთა ირანის ქალაქების საგარეო ვაჭრობაში XVIII ს. 30-იან-40-იან წლების რუსეთ-ირანის-ვაჭრობის მაგალითზე კარგად ჩანს ნ. კუკანოვას სტატიაში: „Документ о русско-иранской торговле 30—40-х годов XVIII в."[8].

ამ ნაშრომში მოტანილი ცხრილებიდან ჩანს, რომ XVIII ს. პირველ ნახევარში, ისევე, როგორც XVII საუკუნეში ირანის ექსპორტში მოსკოვის სახელმწიფოში და რუსული საქონლის იმპორტში ირანში პირველ ადგილზე სომხები იდგნენ და წინ უსწრებდნენ ინგლისელ, ინდოელ, რუს და სპარსელ ვაჭრებს[9].

სეფიანთა სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობაში სომხური სავაჭრო კაპიტალის გვერდით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ინდურ სავაჭრო კაპიტალს. შარდენი აღნიშნავდა, რომ ირანში 20 ათასი ინდოელი ცხოვრობდა, რომელთა საქმიანობას ვაჭრობა და მევახშეობა შეადგენდა[10]. მაგრამ საფიქრებელია, რომ ირანში მცხოვრებ ინდოელთა რიცხვი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც მარტო ისფაჰანში ინდოელ ვაჭართა რიცხვი რამდენიმე

---

[6] Ф. И. Соймонов, Описание Каспийского моря, СПб, 1763, გვ. 330—331.

[7] И. П. Куканова, Русско-иранские торговые отношения..., გვ. 236.

[8] Ближний и Средный Восток. Сборник статей, М., 1962, გვ. 114—120.

[9] И. Г. Куканова, Документ..., გვ. 117.

[10] Chardin, X, გვ. 27.

ათასს აღწევდა. ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1607 წელს, როდესაც ისფაჰანი 200 ათას მცხოვრებს ითვლიდა, ამ ქალაქში დიდი რაოდენობით იყვნენ ინდოელი, უმთავრესად ლაჰორელი ვაჭრები[11]. შემდეგში ისფაჰანში მოსაქმე მსხვილ ინდოელ ვაჭართა რიცხვი უფრო გაიზარდა. ა. ოლეარის ცნობით XVII ს. 30-იან წლებში ამ ქალაქში მუდმივად ცხოვრობდა 12 ათასი ინდოელი ვაჭარი[12]. ისფაჰანის გარდა ინდოელი ვაჭრები მუდმივად ცხოვრობდნენ და სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ ყაზვინში, არდებილში, ჰერათში და სეფიანთა სახელმწიფოს ზოგიერთ სხვა ქალაქში. მსხვილი ინდოელი ვაჭრები სავაჭრო ურთიერთობით იყვნენ დაკავშირებულნი ევროპის და აზიის მრავალ ქვეყანასთან. მათ ირანიდან გაჰქონდათ ნედლი აბრეშუმი, ხელოსნური ნაწარმი ძვირფასი ქვები, ინდური სანელებლები და სხვა საქონელი. უცხოეთიდან ირანში შემოტანილი საქონლის ნაწილი ადგილობრივი ქალაქების ბაზრებში იყიდებოდა, ხოლო ნაწილი ირანის ტრანზიტითა და მეშჰედ-ჰერათ-ყანდაჰარ-მულთანისა და მეშჰედ-ჰერათ-ქაბულ-ლაჰორის სახმელეთო მაგისტრალებითა და ბედნერ-აბას-სპარსეთის ყურის-ბენდერ-სურათის საზღვაო-სანაოსნო გზით ინდოეთის ქალაქებში იგზავნებოდა.

ინდოელი ვაჭრები ირანის საქონლით გაცხოველებულ ვაჭრობას აწარმოებდნენ მოსკოვის სახელმწიფოშიც, სადაც ისინი კასპიის ზღვა-ასტრახან-ვოლგის გზით ჩადიოდნენ. სეფიანთა ირანში მცხოვრებ ინდოელების სავაჭრო საქმიანობის მასშტაბის შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ფაქტი. 1696 წელს ქალაქ შემახაში მათ სეფიანთა ირანში მოჭრილი ფული გადაახურდავეს 8760 ვერცხლის რუსულ მანეთზე (100 მონეტა 107 ვერცხლის მანეთზე)[13].

ინდოელ ვაჭართა ეკონომიური პოზიციები მტკიცე იყო თვით XVIII საუკუნის პირველ მეოთხედშიც, როდესაც სეფიანთა ირანში სოფლის მეურნეობაზე, საქალაქო ხელოსნობა და ვაჭრობა უდიდეს კრიზისს განიცდიდა. მიუხედავად ამ არახელსაყრელი პირობებისა ინდოელი ვაჭრები კიდევ ახერხებდნენ საკმაო მომგებიანი ვაჭრობის და სავახშო ოპერაციების წარმოებას, რის შედეგადაც ა. ვოლინსკის სიტყვით რომ ვთქვათ „მთელი სპარსეთის სახელმწიფოს ფული ინდოელთა ხელთ იყო[14]“. ინდოელ ვაჭართა ეკონომიურ წელმაგრობაზე და მათ მიერ წარმოებულ მნიშვნელოვან ვაჭრობა-

---

[11] A. Chronicle of the Carmelits in Persia, გვ. 189.

[12] Олеарий, გვ. 27.

[13] Русско-индийские отношения в XVII в., Сборник документов, М. 1958, გვ. 161.

[14] И. М. Рейснер, Падение державы Сефевидов, გვ. 68.

სა და მევახშეობაზე მეტყველებს აგრეთვე ის გარემოება, რომ ავღანელებმა ისფაჰანის დაპყრობის შემდეგ ამ ქალაქში მყოფ ინდოელებს დააკისრეს კონტრიბუცია 25000 თუმნის რაოდენობით[15]. ამ თანხიდან ინდოელებმა შესძლეს მხოლოდ 20.000 თუმნის ნაღდი ფულით გადახდა. დანარჩენი 5 ათასი თუმნის ანგარიშში მაჰმუდის ბრძანებით ავღანელებმა წაიღეს ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ ინდოელ ვაჭრებთან და მევახშეებთან დაგირავებული ნივთები: ძვირფასი ქვები, ქსოვილები, ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული საოჯახო ჭურჭელი და სხვა.

სეფიანთა ირანის ქალაქების საგარეო ვაჭრობაში გარკვეულ მონაწილეობას იღებდნენ სპარსელი ვაჭრებიც. ისინი ძირითადად სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ სეფიანთა სახელმწიფოს მეზობელ ქვეყნებთან — თურქეთთან, ამიერკავკასიასთან, ინდოეთთან და რუსეთთან. რუსულ ისტორიულ საბუთებში სპარსელ ვაჭრებს „თეზიკები" („тезик") და „ყიზილბაში ვაჭრები" („кызылбашский купчина") ეწოდებათ. მაგრამ სპარსელი ვაჭრების როლი სეფიანთა ირანის საგარეო ვაჭრობაში სომეხ და ინდოელ ხოჯებთან შედარებით მეტად მცირე იყო. მათ სავაჭრო კაპიტალს სომხურ და ინდურ სავაჭრო კაპიტალთან შედარებით დაქვემდებარებული ადგილი ეჭირა.

სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქებში მცხოვრებ საერო და საასულიერო ფეოდალებთან ერთად ხოჯები ქალაქის მოსახლეობის ყველაზე შეძლებულ და გავლენიან ფენას ჰქმნიდნენ. შაჰის გარდა ძალზე ხშირად მსხვილ ფეოდალებსაც ჰქონდათ ეკონომიური კავშირი ხოჯებთან და მათი მეშვეობით გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიო სატრანზიტო ვაჭრობაში. შარდენის ცნობით ისფაჰანის არისტოკრატია დაახლოებული იყო ამ ქალაქში მცხოვრებ ინდოელ ვაჭრებთან და მევახშეებთან, რომლებიც მნიშვნელოვან საგარეო ვაჭრობას ეწეოდნენ.

ირანის მსხვილი ფეოდალების მონაწილეობა მსოფლიო ვაჭრობაში იწვევდა მათ დაახლოებას ვაჭართა ზედაფენასთან ხოჯებთან. ეს კი იწვევდა დიდვაჭრებისა და ქალაქში მოსახლე ფეოდალური არისტოკრატიის ინტერესების გარკვეულ თანადამთხვევას. ეს ორი ფენა ქალაქის ეკონომიურად სუსტი ხელოსნების და წვრილი და საშუალო ვაჭრების ექსპლოატატორების როლში გამოდიოდა.

---

[15] Дневник осады Испаганн Афганами, ведённый Петросом ди Саргис Гиланенц в 1722 и 1723 годах. СПб., 1870, გვ. 29.

ირანელი ხოჯების სამოქმედო ასპარეზი მეტად ფართო იყო და ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანას მოიცავდა. ინდოელი და განსაკუთრებით სომეხი ხოჯები ვაჭრობდნენ ვენეციაში, იტალიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში, შვედეთში, ინდოეთში, თურქეთში, ამიერკავკასიაში, რუსეთში, ჩინეთსა და სხვა მრავალ ქვეყანაში. სომეხი ხოჯები სავაჭროდ თვით შორეულ ფილიპინის კუნძულებზეც კი მიდიოდნენ. ასე, მაგალითად, 1631 წელს სომეხმა ვაჭარმა ჰაკოფ ისუსიანმა 200 თუმნის ღირებულების საქონლით ინდოეთის გავლით ქ. მანილამდე მიაღწია, რომელიც ფილიპინის კუნძულებზე მდებარეობდა[16]. როგორც წესი ირანელი ხოჯები უცხოეთის ქვეყნებში სავაჭროდ გასამგზავრებლად დიდ ქარავნებად იკრიბებოდნენ. ზოგიერთი სავაჭრო ქარავანი, რამდენიმე ათეულ ვაჭარს ითვლიდა და უამრავი ცხენ-აქლემებისაგან შედგებოდა, რომელთაც ათასობით საპალნე გადაჰქონდათ[17]. ასეთ ხალხმრავალ ქარავანს იცავდა დაქირავებულ მეომართა რაზმი. შარდენის ცნობით 1673 წელს ისფაჰანიდან ინდოეთში მიმავალ ქარავანს, რომელიც 2000 კაცს ითვლიდა, 500 დაქირავებული მეომარი ახლდა თან[18]. ქარავნის სათავეში ყველაზე გამოცდილი და ჭკვიანი ვაჭრებიდან ამორჩეული ქარავნის უფროსი ანუ ქარავანბაში იდგა[19]. ხალხმრავალი ქარავნების შექმნა უწინარეს ყოვლისა გაპირობებული იყო გზების ცუდი დაცვით, რის წყალობითაც ცალკეული ვაჭარი ან მცირე ქარავანი ყაჩაღებისა და სხვა ბოროტმოქმედთა მსხვერპლი ხდებოდა. დანიშნულების ადგილზე მისვლისას ქარავანი იშლებოდა და ყოველი ვაჭარი ცალკე აწარმოებდა სავაჭრო ოპერაციებს. ასე, რომ, ქარავანი თუ შეიძლება ასე ითქვას დროებითი ორგანიზაცია იყო, რომელშიც ვაჭრები ეკონომიურად არ იყვნენ დამოკიდებულნი ერთიმეორეზე და რომელიც მხოლოდ გზებზე ვაჭართა ხიფათისაგან დასაცავად იქმნებოდა.

6. ვაჭართა გაერთიანებები

სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქების ვაჭრობის შესწავლისას გარკვეული ყურადღება უნდა დაეთმოს სავაჭრო ორგანიზაციების არსებობასა და განვითარების დონის საკითხს XVI-XVII სს. ირანში.

---

[16] Մանր ժամանակագրություններ, XIII – XVIII դդ. I, Երևան, 1951, გვ. 196.

[17] Стрейс, გვ. 339.

[18] Chardin. II. გვ. 347—349.

[19] ახალი ჯუღას ისტორია, გვ. 185.

თავის დროზე ქალაქების ხელოსნობის განხილვისას[1], ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ XVI-XVII სს. ირანის ქალაქებისათვის დამახასიათებელი იყო ხელოსნური კორპორაციების (ჰამქარი, ასნაფი) არსებობა, რომლის სათავეში მკაცრად ჩამოყალიბებული ადმინისტრაცია იდგა და რომლის წევრები (ოსტატ-ხელოსნები და შეგირდები) ემორჩილებოდნენ ამქრის შინაგანაწესს. ხელოსნური ამქრის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა მასში გაერთიანებულ ოსტატ-ხელოსანთა უფლებებისა და ეკონომიური ინტერესების დაცვა. ასეთი იყო ხელოსნური ამქარი. მაგრამ არსებობდა თუ არა ხელოსნური ამქრის მსგავსი ვაჭართა კორპორაციები, რა ეწოდებოდა მათ, როგორი იყო მათი შინაგანი სტრუქტურა და მთავარი დანიშნულება — ასეთია ის ძირითადი საკითხები, რომელიც წამოიჭრება XVI-XVII სს. სეფიანთა ირანის ქალაქების ვაჭრობის მკვლევარის წინაშე. სამწუხაროდ, როგორც აღმოსავლური, ისე ევროპული წყაროები ამ საკითხების გადაჭრის საშუალებას არ იძლევიან, რადგანაც მათში თითქმის სრულიად არ არის ასახული სავაჭრო ორგანიზაციების არსებობა სეფიანთა ირანში. მართალია მთელი რიგი წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ქალაქებში არსებობდნენ ყასბების ამქრები, ლავაფების ანუ თოკების გამყიდველთა ამქრები და სხვ.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ სავაჭრო ორგანიზაციებზე, რადგანაც ყასბებიც, ლავაფებიც, ბაყლებიც უწინარეს ყოვლისა ხელოსნები იყვნენ და ქალაქის უშუალო მწარმოებელთა რიცხვს ეკუთვნოდნენ. და თუ ისინი ვაჭრების როლში გამოდიოდნენ ეს უპირველეს ყოვლისა გაპირობებული იყო შუასაუკუნეების ხელოსნობის თავისებურებებით, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბაზართან. მათი კორპორაციები ხელოსნურ ამქრებს წარმოადგენდნენ და არა სავაჭრო ორგანიზაციებს.

როდესაც სავაჭრო ორგანიზაციებზე ვლაპარაკობთ ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროფესიონალ ვაჭართა ანუ ისეთ ვაჭართა ორგანიზაციები, რომლებიც სრულიად მოწყვეტილი იყვნენ წარმოებას და უშუალოდ თითონ არ ამზადებდნენ ბაზარში გასაყიდად გამოტანილ საქონელს. პროფესიონალ ვაჭართა კორპორაციების არსებობისა და მათი დანიშნულების შესახებ სეფიანთა ირანში წყაროების სიმცირის გამო ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება.

---

[1] კ. კ უ ც ი ა, ხელოსნური ორგანიზაციები სეფიანთა ირანის ქალაქებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბილისი, 1966.

XVII საუკუნის ავტორები ტავერნიე და შარდენი სეფიანთა სახელმწიფოს მოხელეთა შორის ასახელებენ „მელიქ-ათ-თუჯარას“, რაც ნიშნავს „ვაჭართა მთავარს“, „ვაჭართა უხუცესს[2]“. შარდენის ცნობიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ირანის ქალაქებში იყვნენ „ვაჭართა მსაჯულები“ (prévôt de marchands). „ვაჭართა მეფის“ და „ვაჭართა მსაჯულის“ არსებობა გვიკარნახებს, რომ XVII საუკუნეში ირანის ქალაქებში არსებობდნენ პროფესიონალ ვაჭართა გაერთიანებები. მაგრამ როგორც ჩანს ამ გაერთიანებებს ჯერ კიდევ საყოველთაო ხასიათი არ ჰქონდა და ორგანიზაციულად მეტად სუსტები იყვნენ. ამის მაჩვენებელია თუნდაც წყაროების მეტად ძუნწი ცნობები. შარდენიც კი რომელიც ვრცლად აღწერს ხელოსნურ ამქარს კმაყოფილდება მხოლოდ მელიქ ათ-თუჯარას თანამდებობის მოხსენიებით. მელიქ ათ-თუჯარას ინსტიტუტი წარმოდგენილი იყო აგრეთვე XVIII საუკუნის ირანის ქალაქებში. ამ დროს მის ძირითად მოვალეობას შეადგენდა ვაჭართა ინტერესების დაცვა[3]. ასეთივე ფუნქციები უნდა ჰქონოდა მელიქ ათ-თუჯარას XVII საუკუნეშიც. ჩვენი აზრით ვაჭართა ორგანიზაციები სეფიანთა ირანის ქალაქებში პირველად უნდა გაჩენილიყვნენ XVII ს-ში, რაც დაკავშირებული უნდა იყოს საქალაქო ხელოსნობისა და ვაჭრობის მნიშვნელოვან აღმავლობა-განვითარებასთან. სპარსულ და ევროპულ წყაროებში არ არის დამოწმებული ვაჭართა კორპორაციების აღმნიშვნელი ტერმინები. შესაძლებელია მათ აღსანიშნავად იხმარებოდა „თაბუნი“, „ამქარი“ ან „ასნაფი“. სეფიანთა სახელმწიფოში ვაჭართა ორგანიზაციებს არ მიუღწევიათ განვითარების იმ დონისათვის, რომელზედაც იდგნენ ხელოსნური ამქრები. ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს ინგლისელი მკვლევარი ა. ლემბტოის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ირანში ვაჭართა კორპორაციები მნიშვნელოვან განვითარებას აღწევენ მხოლოდ XIX საუკუნეში[4].

---

[2] Tavernier, II, გვ. 304. Chardin, VIII, გვ 80. „მელიქ ათ-თუჯარას უახლოვდება ვაჭართა უფროსი (Վանատակապետ) რომლის თანამდებობაც დამოწმებულია XIX საუკუნის შუაწლების თაერიზში. ახალი ჯუღას ისტორია, გვ. 122.

[3] Chardin, II, გვ. 306. V, გვ. 362. პროფ. ვ. გაბაშვილი აღნიშნავს; „მელიქ ათ-თუჯარას“ თანამდებობა არსებობდა ერანის ყველა ქალაქში. მელიქ ათ-თუჯარას მოვალეობანი დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც ქართლის ქალაქების მელიქებისა, ე. ი. მის საკითხავს შეადგენდა ვაჭარ-მოქალაქეების საქმეთა გარიგება-გამგებლობა“, ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. სპარსული დასტურლამალი. თბილისის სახელმწიფო უნივერს. შრომები, XXX-B. 1949, გვ. 205.

[4] И. Березин, Путешествие по Востоку, Казань, 1852 გვ. 233.

[5] K. S. Lambton, Islamic society in Persia, School of Oriental and African studies university of London, 1954, გვ. 10.

7. ვაჭრობის დაკვეითება და ვაჭართა ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება

ცალკეულ ვაჭართა ხელში მნიშვნელოვანი კაპიტალი გროვდებოდა. ირანელ ვაჭართა (تجار) შორის განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩეოდნენ ხოჯები, რომლებიც დიდი მასშტაბის ვაჭრობას ეწეოდნენ უცხოეთის ქვეყნებთან.

ა. ოლეარი გადმოგვცემს, რომ გილანის ქალაქ ლეშთენიშაში ცხოვრობდა დიდვაჭარი მირ მურადი. მისი 7 გემი მუდმივად დაცურავდა კასპიის ზღვის აუზის ქვეყნებში. მირ მურადის სიმდიდრე 3 ტონა ოქროს უდრიდა[1]. ხოჯა მირ მურადის შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე აბდალ ფათაჰ ფუმენი თავის საისტორიო თხზულებაში „გილანის ისტორია". ამი წყაროს ცნობით მირ მურადი ლეშთენიშას ქალანთარი იყო. 1629 წლის გილანის აჯანყების დროს სოფლისა და ქალაქის „დაბალმა მოსახლეობამ" გაძარცვა მირ მურადის სახლი და 30 ათასი თუმნის საქონელი წაიღო[2]. XVII საუკუნის ისფაჰანის ერთ-ერთი უმდიდრესი ვაჭარი იყო აზიზ ალაჰი, რომელიც „თავის მამის მსგავსად საიუველირო ნაწარმით ვაჭრობას ეწეოდა ინდოეთთან". იგი ვაჭრობდა აგრეთვე ბუტანში, პატნაში, აგრაში და დიდი მოღოლის კარზე[3]. აზიზ ალაჰი ამ სავაჭრო ოპერაციების წყალობით მნიშვნელოვანი სიმდიდრის მფლობელი გახდა და ისფაჰანის ერთ-ერთ უბანში" ბრწყინვალე სასახლე" ააშენა[4].

ირანელ ხოჯებს შორის თავისი სიმდიდრითა და შეძლებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ახალი ჯუღის სომეხი დიდვაჭრები. ახალი ჯუღის ხოჯებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ხოჯა ხაჩიკის შვილები — ხოჯა საფრაზი და ხოჯა ნაზარი, რომლებიც ფართო სავაჭრო ოპერაციებს ეწეოდნენ ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებთან, რის შედეგადაც ისინი მნიშვნელოვანი სავაჭრო კაპიტალის მფლობელები გახდნენ. ამ ორი სომეხი დიდვაჭრის სიმდიდრის შესახებ ლეგენდები დადიოდა. ასე მაგ., ერთ-ერთი ცნობის თანახმად ხოჯა საფრაზმა თავის სასახლეში სტუმრად მოიწვია შაჰ აბას I, დიდებულად გაუმასპინძლდა მას და შემდეგ შაჰის თანმხლებ პირებს ვერცხლის ჯამ-ჭურჭელი დაურიგა[5]. ამავე ვაჭარმა შაჰ აბასის მეომრებს რამდენიმე ტომარა ოქრო-ვერცხლი აჩუქა[6]. ხოჯა საფრაზს და ხოჯა ნაზარს ახალი ჯუღის ქალან-

---

[1] Олеарий, გვ. 708.
[2] აბდალ ფათაჰ ფუმენი, გვ. 708.
[3] Chardin, VIII, გვ. 177.
[4] იქვე.
[5] С. Тер-Аветисян. Город Джуга, გვ. 33.
[6] იქვე.

თრის თანამდებობა ეჭირათ. ისფაჰანის ამ მდიდარი სავაჭრო უბნის დიდვაჭრებიდან შეიძლება დავასახელოთ ხოჯები საფრაზიანცის, ეღიაზარიანცის, შაჰრიმანიანცის, ველიზანიანცის და სხვა გავლენიანი საგვარეულოებიდან[7]. სომეხი დიდვაჭრების სიმდიდრეზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ 1723 წელს ავღანელმა დამპყრობლებმა ახალი ჯუღის სომხებს დააკისრეს 70 ათასი თუმანი კონტრიბუცია, რომლის გადახდაც მათ მართალია დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეუძლეს[8]. მნიშვნელოვანი კაპიტალი კონცენტრირებული იყო აგრეთვე ინდოელ ვაჭრებისა და მევახშეების ხელში.

დიდვაჭრები თავისი კაპიტალის ნაწილს ახმარებდნენ ქარვასლების, ბაზრების, ხიდების, სასახლეების და სხვა ნაგებობათა მშენებლობას. სომეხ დიდვაჭართა ხარჯზე ახალ ჯუღაში აგებული და აღდგენილ—განახლებულ იქნა რამდენიმე ახალი და ძველი ეკლესია.

სავაჭრო კაპიტალი ძირითადად კონცენტრირებული იყო მსხვილ ხოჯათა ხელში, იმავე დროს სეფიანთა ირანის ქალაქებში ასობით წვრილი და საშუალო ვაჭარი საქმობდა, რომელთა სავაჭრო საქმიანობას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა და მათი მოგებაც გაცილებით უფრო დაბალი იყო. წვრილი და საშუალო ვაჭრები, როგორც აღვნიშნეთ ძალიან ხშირად მსხვილი ხოჯების კონტრაგენტები იყვნენ და მათ ექსპლოატაციას განიცდიდნენ.

XVII საუკუნის 70-იანი წლების დასასრულიდან საგრძნობლად იცვლება ირანელ დიდვაჭართა ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა. ენგელსის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ ოსმალეთში დაცული არ იყო ვაჭრის პიროვნება და მისი საკუთრება, რაც ძირითად წინაპირობას წარმოადგენდა ბურჟუაზიული შეძენისა[9], მთლიანად შეიძლება გავავრცელოთ სეფიანთა სახელმწიფოს ვაჭრების მდგომარეობაზეც.

როგორც თავის დროზე აღვნიშნეთ, შაჰისა და მსხვილი ფეოდალების მონაწილეობა საგარეო ვაჭრობაში გარკვეულად აახლოვებდა ერთმანეთთან ირანის მსხვილ ფეოდალებსა და ვაჭართა ზედაფენას — ხოჯებს და მათი ეკონომიური ინტერესებიც რამდენადმე ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგრამ თვით შაჰ-აბას I დროსაც კი, როცა განსაკუთრებულად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ქვეყნის საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარება-აღმავლობისათვის, ვაჭრის პიროვნება და მისი დოვლათი საბოლოოდ არ ყოფილა უზრუნველყოფილი ადგილობრივ ხელისუფალთა ხელყოფისაგან.

---

[7] ახალი ჯუღას ისტორია, გვ. 132.
[8] Петрос дп Саргис Гиланенц, გვ. 28. 29.
[9] К. Маркс и Ф. Энгельс, XVI, ნაწ. 2, გვ. 22.

ამიტომ იშვიათი როდი იყო შემთხვევები, როდესაც შეძლებული დიდვაჭარი ცდილობდა დაემალა თავისი რეალური შემოსავალი, რათა ადგილობრივ ხელისუფალთა და გავლენიან ფეოდალთა ყურადღება არ მიექცია. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მისიონერ სიმონ პაულის ცნობა. ამ ცნობის თანახმად XVII საუკუნის დამდეგს ირანელი ვაჭრები, რომელთა წლიური შემოსავალი 200 000 სკუდის აღემატებოდა, ხარჯავდნენ მხოლოდ 2000 სკუდის და ღარიბულად ცხოვრობდნენ[10].

ჰერბერტის მიხედვით ირანის შაჰი თავის თავს უძეოდ გარდაცვლილ ვაჭრის მემკვიდრედ აცხადებდა და უპატრონოდ დარჩენილ ქონებას თითონ ისაკუთრებდა[11]. ვაჭრის მდგომარეობა უფრო მძიმდება XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის დამდეგიდან, რაც უშუალოდ დაკავშირებული იყო სეფიანთა ირანის ქალაქების ხელოსნობისა და ვაჭრობის მკვეთრ დაქვეითებასთან.

XVII საუკუნის 70-იანი წლებიდან მოკიდებული შეინიშნება ირანელი დიდვაჭრების ემიგრაციის შემთხვევები ისეთ ქვეყნებში. სადაც ვაჭრობის განვითარებისათვის უკეთესი პირობები არსებობდა (რუსეთი, ინდოეთი და სხვა). შარდენის ცნობით, შეძლებული დიდვაჭრები ტოვებდნენ სეფიანთა ირანის ქალაქებს და ინდოეთში სახლდებოდნენ, რომელიც ამ დროს გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა ევროპის მრავალ ქვეყანასთან ახალი საზღვაო-სანაოსნო გზის საშუალებით. ვაჭართა ემიგრაცია ინდოეთში წარმოებდა აგრეთვე ამიერკავკასიიდანაც, კერძოდ, თბილისიდან. სწორედ ამ დროს ჩნდება მადრასში, ბომბეიში, კალკუტასა და ინდოეთის სხვა მსხვილ საქალაქო ცენტრებში სომეხ ვაჭართა ხალხმრავალი კოლონიები.

ზოგიერთ შემთხვევაში ირანელი ვაჭრები თავიანთ კაპიტალს აბანდებდნენ უცხოეთის ხელოსნურ წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში. ასე მაგ., 1710 წელს სომეხ დიდვაჭარმა, ვინმე საფარ ვასილევმა თხოვნით მიმართა რუსეთის იმპერატორს პეტრე I, თერგის ნაპირზე მდებარე სოფელი ანდრეევკა მისთვის იჯარით მიეცა, რათა მასში თუთის პლანტაციები გაეშენებინა და ნედლი აბრეშუმი ეწარმოებინა[12].

მსოფლიო ვაჭრობას მოწყვეტილ ირანელ ხოჯებს მოესპოთ ყოველგვარი შესაძლებლობა არა მარტო საგაჭრო ოპერაციების ზრდა-გაფართოებისა, არამედ უწინდელი დონის შენარჩუნებისაც კი. ამიტომ XVII ს. მეორე ნახევარში და XVIII ს. პირველ მეოთ-

---

[10] A Carmelits Chronic in Persia, I, გვ. 159.

[11] Herbert, გვ. 138.

[12] Н. Г. Куканова, Из истории русско-иранских торговых отношений, გვ 236.

ხედში სულ უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ვაჭარი თავის კაპიტალს მიწის ნაკვეთების შესაძენად იყენებს და სოფლის მეურნეობას ეწევა. საამისო მაგალითები მოტანილია ზაქარია სარკავაგის, ზაქარია აკულისელის და სიმეონ ერევანცის თხზულებებში[13]. ვაჭარი მულქის მფლობელად — მულქადარად იქცა. ვაჭარი-მულქადარები გაჩნდნენ როგორც საკუთრივ ირანში, ისე მის გავლენაში მყოფ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ზოგიერთ შემთხვევაში ვაჭარი მულქადარი თავის მიწაზე ისეთ კულტურებს აწარმოებდა, რომელზეც მნიშვნელოვანი მოთხოვნილება იყო ადგილობრივ ბაზარზე

ირანელი ვაჭრების ემიგრაცია, ირანული სავაჭრო კაპიტალის დაბანდება უცხოეთის სოფლის მეურნეობასა და წარმოებაში, მულქადარების ფენის ზრდა მსხვილი ხოჯების ხარჯზე უფრო მეტად ზღუდავდა და აქვეითებდა სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქების საშინაო და საგარეო ვაჭრობას.

თავი II

საქალაქო გადასახადები და ვალდებულებები

1. გადასახადების სახეობანი

სპარსულ-აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებში საკმაო რაოდენობით არის შემონახული ცნობები საქალაქო გადასახადებისა და ვალდებულებების შესახებ. ეს ცნობები ხშირად არაზუსტი და არასრულია, მაგრამ მათი შეჯერება-შეპირისპირების საშუალებით მაინც ხერხდება XVI—XVIII სს. პირველი მეოთხედის ირანის ქალაქებში არსებული გადასახადების სახეებისა და საგადასახადო სისტემის საერთო სურათის აღდგენა.

წყაროების მონაცემებით სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქების მოსახლეობაზე შემდეგი გადასახადები იყო გაწერილი:

ბონიჩე
მალ-ი მოჰთარაფე
თამღა
თეჯარათი
ბაჟი
ეჰდასი
ეთლაყათი
იხრაჯათი
ხარიჯიათი

---

[13] ზაქარია სარკავაგი, II, გვ. 13; Дневник Захария Акулисского, გვ. 47. Симеон Ереванци, Джамбр, М.,1958, გვ. 193—195.

იხრაჯათ-ი შაჰზადე
ავარეზი
ყონალღა
ჰავადესი
ჯიზია
სარანე
საური
ფიშქეში
ნავრუზი
ეიდი
აბიქურენი
თავაჰინი
შეშდინარი
ბაყაია

რა თქმა უნდა, ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადები ერთდროულად არ იყო წარმოდგენილი სეფიანთა ირანის ქალაქებში. თავისთავად ცხადია, რომ ქალაქის ვაჭარ-ხელოსნები ვერ შეძლებდნენ ყველა ამ გადასახადის ერთდროულად გადახდას. ჩვენს ნუსხაში მოტანილია ის გადასახადები, რომელიც მოქმედებდნენ ქალაქებში სეფიანთა ირანის არსებობის (1501—1722) სხვადასხვა პერიოდში. ასე, მაგალითად, თამღა არსებობდა მხოლოდ 1565 წლამდე, სანამ მას გააუქმებდნენ შაჰ თამაზის ბრძანებით. ბონიჩე — ძირითადი ხელოსნური გადასახადი შემოღებული უნდა იყოს XVI საუკუნის 60-იან წლებში. XVII ს. გაჩნდა თეჯარათი, რომელსაც მოიხსენიებს რ. დუ მანი.

საზოგადოდ, XVII ს. ხასიათდება ახალი გადასახადების შემოღებით და უკვე არსებული გადასახადების ოდენობის მნიშვნელოვანი გადიდებით.

ეს განსაკუთრებით ითქმის XVII ს. დასასრულზე, როდესაც საგარეო ვაჭრობის შეკვეცამ და ამასთან დაკავშირებით საქალაქო ხელოსნური წარმოების დაცემამ და საერთოდ ირანის ეკონომიურმა დაქვეითებამ გამოიწვია სახელმწიფო ხაზინის დაცარიელება. ამ ხარვეზის შევსებას ცენტრალური ხელისუფლება ძველი, ნაცადი ხერხით — საგადასახადო ტვირთის დამძიმებით ცდილობდა. სეფიანთა უკანასკნელი წარმომადგენელი შაჰ სულთან ჰუსეინის (1694-1722) ბრძანებით 1699-1701 წწ. ჩატარდა სეფიანთა სახელმწიფოს ხალხთაღწერა. ამას შედეგად მოჰყვა ძველი გადასახადების ოდენობის ზრდა და ახლების შემოღება, რომელიც დააკისრეს გლეხებს, ქალაქის ვაჭრებს, ხელოსნებს, სოვდაგრებს და სომხურ ქრისტიანულ

სამღვდელოებას. სწორედ ამ დროს ჩნდება ისეთი გადასახადები, როგორიც არის იხრაჯათ-ი შაჰზადე, აბიქურენი, შეშდინარი და სხვ[1].

ვარდა ამისა, ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადებიდან ზოგიერთი არამუდმივი ხასიათისა იყო და მხოლოდ რაიმე შემთხვევასთან, პრეცენდენტთან დაკავშირებით იკრიფებოდა. ასეთ ექსტრაორდინალურ გადასახადთა რიცხვს განეკუთვნებიან ყონალღა, ეჰდასი, ჰავადასი, საური, ფიშქეში, ნოურუზი და სხვ.

მართალია ზოგიერთი მათგანი (მაგ., ფიშქეში, ეჰდასი) დროთა განმავლობაში მუდმივ საყოველთაო გადასახადად იქცა, მაგრამ უმეტესობა კვლავ ექსტრაორდინალურ გამოსაღებლად რჩებოდა და შემთხვევიდან შემთხვევამდე იკრიფებოდა ქალაქის დაბეგრილი მოსახლეობიდან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სეფიანთა ირანში არაიშვიათად სხვადასხვა საგადასახადო ტერმინში ერთი და იგივე შინაარსს დებდნენ და განსხვავებულ სახელწოდებების ქვეშ ერთ რომელიმე გარკვეულ გადასახადს გულისხმობდნენ. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ზოგიერთი საგადასახადო ტერმინის შინაარსობლივი თანადამთხვევა, მაგ., ფიშქებისა და სავერის, ყონალღისა და ჰავადესის და ა. შ.[2].

სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქებში წარმოდგენილი გადასახადები პირობითად შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1. სავაჭრო-სახელოსნო გადასახადები (ბონიჩე. მალ-ი მოჰთარაფე, თამღა, თეჯარათი, ბაჟი);

2. სხვადასხვა გადასახადები შაჰის, გაბატონებული დინასტიის წევრების და ადგილობრივ ხელისუფალთა შესანახად (იხრაჯათი, ხარიჯიათი, იხრაჯათ-ი შაჰზადე, ნავრუზი, ეიდი);

3.ექსტრაორდინალური გადასახადები (ავარეზი, საური, ფიშქეში, ყონალღა, ეჰდასი, ჰავადესი და სხვა);

---

[1] Պատմութիւն կամ հիշատակ ինչ ինչ անցից, Դիպլոց յաշխարհին Աղուանից, համառօտագրել 'ի Սրբազնակատար կաթուղիկոսէն Աղուանից 'ի տէր Եսայեայ հասան Ջուղայեանց 'ի բուականին հայոց ՌԾԿ իսկ 'ի թուականին տեառն մերոյ փրկիչին ՃԽՈՒԱԻ, 1771, Շուշա. 1839 (შემდეგში: ესაი ჰასან ჯალალიანი), გვ. 17 — 24.

[2] სეფიანთა ირანის საქალაქო გადასახადების წყაროების გაცხობისას ყურადღებას იქცევს ერთი მეტად საინტერესო გარემოება. წმინდა საქალაქო გადასახადების გვერდით მოიხსენიება მიწათმოქმედებაზე დაწესებული სხვადასხვა სახის გადასახადები (მალუჯეჰათი ანუ მალი, ბაღათი, მაზრუი და სხვა), მართალია სეფიანთა ირანის ქალაქს ისევე, როგორც საერთოდ შუასაუკუნეების ფეოდალურ ქალაქს, ნახევრადაგრარული სახე ჰქონდა და იგი საბოლოოდ არ იყო გათიშული სოფლის მეურნეობიდან, მაგრამ, ჩვენი აზრით, ზემოთ მოტანილი სასოფლო-სამეურნეო გადასახადებიდან დაწესებული იყო ქალაქების მიმდებარე სოფლების მიწისმოქმედებაზე და არა თვით ქალაქის მშრომელ მოსახლეობაზე, რომლის ძირითად საქმიანობას ხელოსნობა და ვაჭრობა წარმოადგენდა.

4. სხვადასხვა ნაგებობათა აშენება-გარემონტებისათვის განკუთვნილი გადასახადები (თავაჰანი, აბიქურენი);

5. სულადი გადასახადები (ჯიზია, სარანე).

2. საქალაქო გადასახადები

საქალაქო გადასახადების რიგს განეკუთვნებოდა: ბონიჩე, მალ-ი მოჰთარაფე, თამღა, თეჯარათი, ბაჟი, ეჰდასი, ჰავადეს.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

ბ ო ნ ი ჩ ე (بنیچه, بنیچه)

ამ გადასახადის შესახებ ცნობებს ვპოულობთ როგორც სპარსულ, ისე ევროპულ წყაროებში.

შარდენის მიხედვით XVII საუკუნის ირანის ქალაქებში თითოეულ სახელოსნოზე გაწერილი იყო გარკვეული თანხა, რომელსაც ბონიჩე ანუ სახელოსნო გადასახადი (un impot des métiers) ეწოდებოდა[3]. ბონიჩეს სხვადასხვა რაოდენობით იხდიდნენ სახელოსნო და სავაჭრო დუქნებიდან. შარდენის მეორედ ყოფნის დროს სეფიანთა სახელმწიფოში (XVII ს. 70-იანი წლები) ბონიჩეს ოდენობა სახელოსნოდან 10 სუს, ხოლო სავაჭრო დუქნიდან 20 სუს შეადგენდა[4]. ამ ცნობაში გარკვეული წინააღმდეგობას აქვს ადგილი. როგორც დავინახეთ ბონიჩეს შარდენი სახელოსნო გადასახადს უწოდებს, მაგრამ ამავე დროს აღნიშნავს, რომ ეს გადასახადი იკრიფებოდა სახელოსნოებიდან და სავაჭრო დუქნებიდან. ეს უკანასკნელი ცნობა მთლად ზუსტი არ უნდა იყოს. რ. დუ მანი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ცხოვრობდა ისფაჰანში და კარგად იცნობდა სეფიანთა ირანის საქალაქო ცხოვრებას, გადმოგვცემს, რომ შაჰის წლიურ შემოსავალში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა „ხელოსნებზე დაკისრებულ ბონიჩეს" (les bonitche des artisans) და სავაჭრო გადასახადს „თეჯარათს" (tegarat — تجارت)[5].

ამ ცნობაში ერთიმეორისაგან განსხვავებულია სახელოსნო და სავაჭრო გადასახადი. რაფაელ დუ მანი, რომ არ სცდება და ბონიჩეს მხოლოდ სახელოსნო გადასახადებად მიიჩნევს, ნათლად ჩანს მისი თხზულების სხვა ადგილებიდანაც, სადაც იგი ბონიჩეს „ასნაფებზე ანუ ქალაქის ხელოსნებზე" (esnaf — اصناف ou artisans de

---

[3] Chardin, V, გვ. 399.

[4] იქვე.

[5] R. du Mans, გვ. 30.

la ville) დაწესებულ გადასახადს უწოდებს. ამასთან ერთად, როგორც ჩანს, ბონიჩე ხელოსნობაზე დაწესებული ძირითადი გადასახადი იყო[6].

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდიან ბონიჩეს შესახებ ტავერნიე და ტევენო.

ტავერნიეს თანახმად სეფიანთა ირანში ხელოსანთა კორპორაციები ანუ ამქრები შაჰს ყოველწლიურად უხდიდნენ გადასახადს, რომელსაც ბონიჩე (bonitche) ეწოდებოდა. მაგრამ ბონიჩეს გადახდა ევალებოდათ მხოლოდ ისეთი დარგის ხელოსნებს, რომლებიც სამუშაოს სახელოსნოებში (کارد) აწარმოებდნენ. ასეთი ხელოსნებიდან ტავერნიე ასახელებს ხარაზებს (cordoniers), მედანეებს (couteliers), რკინის სხვადასხვა ნივთეულებათა დამამზადებელ ხელოსნებს (ferroniers) და ა. შ.[7]. დურგლები, ქვისმთლელები, მშენებლები და სხვა ხელოსნები, რომელთა საწარმოო პროცესი სპეციალურ სახელოსნოსთან არ იყო დაკავშირებული, თავისუფლდებოდნენ ბონიჩესაგან და ამის ნაცვლად შრომითი ბეგარის მოხდა ევალებოდათ[8]. შარდენის თქმითაც ბონიჩე სახელოსნო-დუქნებზე წესდებოდა. ბონიჩეს გამოღებას სახელოსნოების გამოყენებას უკავშირებს აგრეთვე რაფაელ დუ მანი. მისი სიტყვით ირანის ქალაქებში ხელოსნებს სახელოსნოები შაჰისაგან ჰქონდათ დაქირავებული („álouage de Roi") და ამის გამო ისინი ბონიჩეს იხდიდნენ[9].

ტევენოს ცნობით XVII საუკუნის ირანში ხელოსანთა ყველა ამქარი (les corps des méliers) ყოველწლიურად შაჰს გარკვეულ თანხას (certaine somme d'argent) უხდიდა. ამქარზე გაწერილი თანხის მთელი რაოდენობა ნაწილდებოდა მასში გაერთიანებულ ოსტატ-ხელოსანთა შორის მათი შემოსავლის მიხედვით (á proportion de ce qu'il gagne[10]). მართალია ტევენო პირდაპირ არ ასახელებს ბონიჩეს, მაგრამ ცნობის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ აქ ლაპარაკი სწორედ ბონიჩეზე უნდა იყოს[11].

---

[6] R. du Mans, გვ. 33.

[7] Tavernier, II, გვ. 325—326.

[8] იქვე, გვ. 326.

[9] R. du Mans, გვ. 31.

[10] Suite du voyage de Levant.. par Monsieur de Thevenot, Paris, 1674, გვ. 165.

[11] М. Х. Гейдаров, О термине „бониче" (к истории положения городских ремесленников Азербайджана XVII в.). ДАН Аз. ССР, т. XVIII,

თუ შევადარებთ ევროპულ წყაროთა ცნობებს ბონიჩეს შესახებ შემდეგ საერთო სურათს მივიღებთ:

ბონიჩე სახელოსნო გადასახადს წარმოადგენდა — იგი ამქარზე წესდებოდა. ამქარში ბონიჩეთი გათვალისწინებული თანხა ცალკეულ სახელოსნოებზე ანუ ოსტატ-ხელოსნებზე ნაწილდებოდა. ამასთან ერთად მხედველობაში იღებდნენ ოსტატის შემოსავლის ოდენობას.

ამიტომ მართებული არ უნდა იყოს შარდენის ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ თითქოს ბონიჩეს მყარი ხასიათი ჰქონდა და სახელოსნო-სავაჭროები მის ანგარიშში ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ თანხას იხდიდნენ[12].

ბონიჩეს დამოკიდებულება ოსტატის შემოსავალზე, რომელიც მეტად მერყეევი იყო და იცვლებოდა მის ხელოსნურ ნაწარმზე არსებული მოთხოვნილების მიხედვით, გამორიცხავდა ბონიჩეს ოდენობის მდგრადობას და უცვლელობას. ბონიჩეს საერთო ოდენობა გარკვეულად ასახავდა ხელოსნური ამქრის ეკონომიურ მდგომარეობას, მისი წლიური შემოსავლის ცვალებადობას. ამიტომ, როგორც ამას „თაზქირათ ალ-მულუქის" შესაბამისი ადგილის განხილვისას დავინახავთ, საჭირო ხდებოდა ყოველი წლის დასაწყისში ხელახლა დაწესებულიყო ბონიჩე ხელოსნურ ამქარზე[13].

ადგილობრივი სპარსული წყაროების მიხედვითაც ბონიჩე ხელოსნურ გადასახადად ჩანს, რომელიც ამქარზე წესდებოდა[14]. მაგრამ მას სპარსულ წყაროებში უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. შესაძლებელია იგი აღნიშნავდეს გადასახადების მთელ ჯამს, რომელსაც ამქარში გაერთიანებული ხელოსნები იხდიდნენ. მუჰამედ ჰუსეინი, ცნობილი განმარტებითი ლექსიკონის „ბურჰან ყათას" (برهان قاطع) ავტორი, ბონიჩეს შემდეგნაირად განმარტავს:

„ბონიჩეს უწოდებენ თანხას, რომელსაც ხელოსნურ ამქრებზე და (ხელოსნების) ქონებაზე აწესებენ"[15]. ასევეა გაგებული ეს ტერმინი სპარსული ენის თანამედროვე განმარტებით ლექსიკონებში[16].

Баку, 1962, № 3, გვ. 88; С. Ашурбейли. Очерки истории средневекового Баку, Баку, 1964, გვ. 398.

[12] Chardin, V, გვ. 399.

[13] Tadhkirat al-muluk, a manuel of Safavid administration, ed. by V. Minorsky, GMS, new series, XVI, London, 1943, თავი V, ნაწ. 6, 9.

[14] იქვე.

[15] გვ. 117. محمد حسین، برهان قاطع، تبریز، جلد ۱، ۱۲۷۸، بنیچه جمعرا میگویند که بر اصناف حرفت و املاک میبرند.

[16] გვ. 149 فرهنگ اموزگار، تهران، ۱۹۵۵،

ამრიგად, ბონიჩეს ფართო და ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი აღნიშნავდა გადასახადს, როგორც ხელოსნის შრომის ნაწარმიდან, ისე მისი „ქონებიდან“. შესაძლებელია ამ უკანასკნელში იგულისხმებოდეს ოსტატ-ხელოსანთა სახელოსნოები, შრომის იარაღი, სახლები, ბაღები, მიწის მცირე ნაკვეთები და სხვ.

ბონიჩეს რომ ფართო შინაარსი ჰქონდა იქიდანაც ჩანს, რომ მის გარდა სპარსული პირველწყაროების ცნობით სეფიანთა ირანის ქალაქებში არსებობდა სხვა სახელოსნო გადასახადიც — მალი მუჰთარაფე (مال محترفه) — გადასახადი ხელობიდან. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გადასახადიც ბონიჩეში შედიოდა. ამ ორი ანალოგიური გადასახადის ერთდროულად არსებობის სხვა ახსნა ჩვენ ჯერჯერობით არ გვესახება. ანგარიშგასაწევია მ. ჰეიდაროვის ვარაუდი, რომ ბონიჩე წარმოადგენდა გადასახადების ჯამს, რომელსაც იხდიდნენ ქალაქის ხელოსნები და ვაჭრები[17]. ეს საერთოდ სწორი დებულება ჩვენი აზრით ერთგვარ კორექტივს მოითხოვს. ადგილობრივი სპარსული და აგრეთვე ევროპული წყაროების მიხედვით ბონიჩე მხოლოდ ხელობასთან დაკავშირებული ჩანს. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ ბონიჩე წარმოადგენდა იმ გადასახადების საერთო ჯამს, რომელსაც იხდიდა ქალაქის არა „ხელოსნურ-სავაჭრო მოსახლეობა“, არამედ მხოლოდ გარკვეული დარგების ხელოსნობა.

ამ ტერმინის რთულ და ზოგად ხასიათთან არის დაკავშირებული აგრეთვე ის გარემოება, რომ, როგორც „თაზქირათ ალ-მულუქიდან“ ირკვევა ბონიჩე საგადასახადო დავთრის ერთ-ერთ სვეტსაც (გრაფასაც) ეწოდებოდა, რომლის მიხედვითაც ქალაქის ქალანთარი გადასახადებს ანაწილებდა ხელოსნურ ამქრებზე[18]. ე. ი. ხელოსნებზე დაკისრებული სხვადასხვა გადასახადთა საერთო სახელწოდება (ბონიჩე) ქალაქის საგადასახადო რეესტრის ერთ-ერთი სვეტის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ამ გარემოებას პირველად ყურადღება პროფ. ვ. მინორსკიმ მიაქცია[19]. შემდეგში ეს მოსაზრება მ. ჰეიდაროვმაც გაიზიარა, მაგრამ მან ბონიჩეს უკიდურესად ფართო მნიშვნელობა მიანიჭა. ორდუბადის კათედრალური მიზგითის წარწერის ხელახლად გაშიფრული ტექსტის შესაბამის ადგილზე დაყრდნობით[20] მან გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში ბონიჩე აღნიშნავს მთელი აზერბაიჯანის საშემოსავლო დავთარს[21]. ჩვენი აზრით, ზემოაღ-

---

[17] М. Х. Гейдаров. о термине „бониче“, გვ. 88.

[18] Tadhkirat. თავი 5, ნაწ. 6.

[19] იქვე. კომენტარი, გვ. 148.

[20] М. Х. Нейматова. Эпиграфические памятники Азербайджана (XVII—XVIII вв.). Баку, 1963, გვ. 29—36.

[21] М. Х. Гейдаров. О термине „бониче“, გვ. 86.

ნიშნული ტექსტის ხანიკოვისეული ამოკითხვა უფრო სწორი უნდა იყოს, რომლის თანახმადაც ტექსტში არის სიტყვა سجل (რეესტრი, გრაფა, სვეტი)[22] და არა سجن როგორც ეს ამოშიფრა მ. ნეომატოვამ. მართლაც, ძნელი საფიქრებელია, რომ ისეთი დიდი ოლქის საშემოსავლო დავთარს, როგორიც იყო აზერბაიჯანი, ქალაქის ხელოსნობასთან დაკავშირებული ტერმინი ბონიჩე რქმეოდა[23].

როგორც ვხედავთ, ბონიჩეს დახასიათებაში სპარსული და ევროპული წყაროები გარკვეულად სცილდებიან ერთმანეთს[24]. მაგრამ მათი შედარება-შეპირისპირება, ჩვენი აზრით, შესაძლებლობას გვაძლევს ერთგვარი მოსაზრება გამოვთქვათ ბონიჩეს შინაარსის შესახებ, თუმცა ამ ტერმინის საბოლოო და ამომწურავი მნიშვნელობის დადგენა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ბონიჩე წარმოადგენდა გადასახადების ერთგვარ კომპლექსს, რომლის გადახდაც ევალებოდათ ქალაქის ხელოსნებს, რომელთა საქმიანობის სპეციფიკა მოითხოვდა სახელოსნოში მუშაობას. ბონიჩე შეეფარდებოდა ოსტატ-ხელოსნის შემოსავლის ოდენობას. მას იხდიდნენ როგორც ხელოსნური ამქრების წევრები, ისე ქალაქის ერთპიროვნული ხელოსნები.

„თაზქირათ ალ-მულუქში“ საკმაო სისრულით არის აღწერილი ბონიჩეს დადგენისა და აკრეფის წესი.

ყოველი წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ქალაქის ქალანთარი და ნაყიბი ნიშნავდნენ სპეციალურ პირს, რომელიც ქალაქის ამქრების ქედხოდებს ანუ რიშსეფიდებს ნაყიბის სახლში აგროვებდა[24]. აქ წესდებოდა ყველა ამქრისთვის სავალდებულო ბონიჩე[25]. ამასთან ერთად, როგორც ჩანს, მხედველობაში იღებდნენ ამქრის სიდიდესა და მის ეკონომიურ მდგომარეობას.

ბონიჩეს დაწესებისას სავალდებულო იყო ქალაქის ხელოსნური ამქრების ქედხოდების თანხმობა და ადათითა და პრაქტიკით გამომუშავებული წესების დაცვა. „თაზქირათ ალ-მულუქის“ ცნობით ნაყიბი თითოეული ამქრის ბონიჩეს ადგენდა „ურთიერთშეთანხმებით (ე. ი. ქედხოდებთან შეთანხმებით — კ. კ.) და სახელმწი-

---

[22]. M. N. Khanykof. Memoire sur les inscriptions musulmanes du Caucase. JA. aout. 1862, t.XX. გვ. 94—95.

[23] აზრთა სხვადასხვაობა არსებობს აგრეთვე ისტორიკოს-ორიენტალისტთა შორის, მაგ.. ნ. კუზნეცოვა ბონიჩეს ძირითად სახელოსნო გადასახადად მიიჩნევს (Из истории социально-экономических отношений. გვ. 16). ხოლო ვ. პეტრუშევსკი სახელოსნო-სავაჭრო გადასახადად თვლის (Земледелие и аграрные отношения в Иране XIII—XIV веков. М.-Л., 1960. გვ. 386).

[24] Tadhkirat. თავი V. ნაწ. 6, 9.

[25] იქვე.

ფოს კანონის, სამართლის, ანგარიშის, ადათის და წესის თანახ
მად"[26]. იგი ადგენდა სპეციალურ საბუთს (طومار), რომლის საფუძ
ველზეც უნდა მომხდარიყო ამქრებიდან სახელმწიფო გადასახადე
ბის აკრეფა, ადასტურებდა მას ბეჭდით და ქალანთარის დივანში
გზავნიდა[27]. ქალანთარი, ქალაქის ვეზირი და მუსტოუფი თავიანთ
ბეჭდებით ამტკიცებდნენ სახელმწიფო გადასახადების ბარათებს
შემდეგ ქალანთარი დავთრის მიხედვით (از دفتر — იგულისხმებ
სახელმწიფო გადასახადების რეესტრი) და ბონიჩეს თანახმად
(موافق بنیچه იგულისხმება დავთრის სვეტი, რომელშიც ამქრებზ
დაწესებული გადასახადი იყო აღნუსხული) საერთო თანხას ხელოს
ნურ ამქრებზე ანაწილებდა. ამის საფუძველზე დივანის მოჰასილებ
კრეფდნენ ბონიჩეს[28].

ბონიჩე ფულადი გადასახადი იყო. იგი შემოღებული უნდ
იყოს XVI საუკუნის 60-იან წლებში, შაჰ თამაზის დროს[29] და შემ
დეგ არსებობდა მთელი XVII—XVIII სს. მანძილზე.

მ ა ლ ი მ ო ჰ თ ა რ ა ფ ე (مال محترفه) — სახელოსნო გადა
სახადი.

ამ გადასახადის შესახებ მეტად ძუნწი ცნობები მოგვეპოვება
ისკანდერ მუნშის ცნობით შაჰ თამაზმა სეფიანთა სახელმწიფოს
უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრის ქალაქ თავრი
ზის მოსახლეობა მალ-ი მოჰთარაფედან გაანთავისუფლა და საერ
თოდ სახელმწიფო გადასახადები აპატია[30]. მანვე 1565 წელს სხვ
გადასახადებთან ერთად (მავაში, მარაი) მალ-ი მოჰთარაფეც „უწ
ყალობა რაიათებს და სახელმწიფო საგადასახადო დავთრებიდ
ამოაღებინა"[31]. ეს უკანასკნელი ცნობა თითქოს საფუძველს გვაძ

---

[26] იქვე, ნაწ. 9.

رضای یکدیگر بر وفق قانون و حق وحساب و معمول دستور مملکت
ریک مشخص

[27] იქვე.

[28] Tadhkirat, თავი V, ნაწ. 6.

روات مهر وزیر و کلانتر و مستوفی و متوجهات دیوانی هریک از
فتر حواله و مخصص کلانتر موافق بنیجه فیمابین هر صنف توجه و
حصلان دیوانی از انقرار باز یافت مینمایند

[29] И. П. Петрушевский Земледелие..., გვ. 386.

[30] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი, I, გვ. 380.

ال محترفه را بخشیده شهررا از تکالیف دیوانی معاف داشته بود

[31] იქვე. გვ. 123.

ال محترفه و مواشی و مراعی... بتخفیف رعایا مقرار کرده از دفتر
خراج نموده

ლევს ვიფიქროთ, რომ მალ-ი მოჰთარაფე საბოლოოდ ამოკვეთილი იყო სეფიანთა სახელმწიფოში. მაგრამ, თვით ისკანდერ მუნშის სიტყვებიდანვე ჩანს, რომ ეს საგადასახადო ღონისძიება არ იყო საყოველთაო და ძირითადად შიიტებით დასახლებულ ოლქებზე (خصوصاً محال شیعه) ვრცელდებოდა[32]. მაშასადამე, მალ-ი მოჰთარაფე განაგრძობდა არსებობას, ზოგიერთ ოლქებში მაინც, შემდეგ კი კვლავ საყოველთაო გავრცელება მოიპოვა სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქებში. ეს კარგად ჩანს „შიიტობის მიმდევრებით“ (بشیعه طری)[33] დასახლებულ ქ. ორდუბადის კათედრალური ტაძრის წარწერიდან, სადაც მალ-ი მოჰთარაფე ასნაფის გვერდით არის მოხსენებული (مال محترفه و اصناف) და ხელოსნურ გადასახადს აღნიშნავს[34].

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ მალ-ი მოჰთარაფე (როგორც ხელოსანთა გადასახდელი) არსებობდა სეფიანთა ირანის ქალაქებში მთელი XVI—XVII სს. მანძილზე.

თ ა მ ღ ა (طمغا، تمغا)

როგორც საგადასახადო ტერმინი, თამღა სეფიანთა ირანის ისტორიის წყაროებში ორი მნიშვნელობით არის დამოწმებული. ერთი მხრივ იგი აღნიშნავდა საქალაქო გადასახადს, ხოლო მეორე მხრივ თამღა გულისხმობდა ბაჟს და საგზაო გადასახადის (ბაჟის და რაჰდარის) სინონიმად გვევლინება.

თამღაზე როგორც საქალაქო გადასახადზე ორიენტალისტ-ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ჯერ კიდევ 1911 წელს ვ. ბარტოლდმა დ'ოსონის საწინააღმდეგოდ, რომელიც თამღას მხოლოდ საგზაო ბაჟის მნიშვნელობას (droits de douane et de transit) ანიჭებდა, გამოთქვა მოსაზრება, რომ თამღა იყო გადასახადი, რომელიც იკრიფებოდა ქალაქებში სავაჭრო-სახელოსნო დაწესებულებებიდან სამეძაო სახლების ჩათვლით[35]. ასეთივე შეხედულება გაიმეორა მან თავის ნაშრომში „Улугбек и его время“[36]. შემდეგში ვ. ბარტოლდის მოსაზრება

---

[32] იქვე.

[33] ი ს კ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი, თარიხ-ი..., II, გვ. 722.

[34] М. Х. Н е й м а т о в а, Эпиграфические памятники Азербайджана, სპ. ტექსტი. გვ. 30.

[35] В. В. Б а р т о л ь д, Персидская надпись на стене Аншйской мечети Мануче. СПб., 1911. გვ. 34.

[36] В. В. Б а р т о л ь д. Сочинения. т. II. ч. 2. М., 1964. გვ. 133.

ვაიზიარეს და თამღა სავაჭრო-სახელოსნო გადასახადად მიიჩნიეს ი. პეტრუშევსკიმ, ა. ალი-ზადემ და სხვ.[37].

ორიენტალისტ-ისტორიკოსთა ერთი ნაწილი თამღას მხოლოდ სახელოსნო გადასახადად თვლის. ასეთ დებულებას მხარს უჭერს ა. ბელენიცკი[38], ხოლო ბ. გაფუროვის აზრით XIV საუკუნის პირველი ნახევრის შუა აზიაში ამქრულ კოორპორაციებში გაერთიანებული ხელოსნები, რომლებიც ერთგვარი თავისუფლებით სარგებლობდნენ „ქორხონაზე" მიმაგრებულ ხელოსნებთან შედარებით, სახელმწიფოს თამღას უხდიდნენ[39].

ქართულსა და სომხურ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით თამღა მხოლოდ სავაჭრო გადასახადი იყო[40]. ასეთივე შეხედულების იყო თამღაზე ა. იაკუბოვსკიც[41].

უკანასკნელ დროს თამღის საკითხს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა რ. კიკნაძემ. მან პირველწყაროების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ თამღა წარმოადგენდა ვაჭრობაზე დაწესებულ სახელმწიფო გადასახადს[42]. ავტორს კარგად აქვს შენიშნული, რომ თამღის პარალელურად არსებობდა სპეციალური სახელოსნო გადასახადი როგორც ილხანთა ირანში (جهات), ასევე სეფიანთა სახელმწიფოში (مال محترفه)[43].

თამღას სავაჭრო გადასახადის მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სეფიანთა ირანშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით თამღის ზუსტი ოდენობის შესახებ.

---

37 И. П. Петрушевский, Хамдаллах Казвини как источник по социально-экономической истории Восточного Закавказья, ИАН, отделение общественных наук, 1937, № 4, გვ. 837; Его же Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949, გვ. 77—78; Его же, Государства Азербайджана в XV в., ССИА, I, Баку, 1949, გვ. 155, 192; Его же, Восстание ремесленников и городской бедноты в Тебризе в 1571 — 1573 гг. გვ. 218; Его же, Земледелие..., გვ. 386, 387; А. Али-Заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, გვ. 216—217.

38 А. М. Беленицкий, К вопросу о социальных отношениях в Иране в Хулагундскую эпоху, СВ, V, М., 1948, გვ. 124.

39 Б. Г. Гафуров, История Таджикского народа, М., 1955, გვ. 318.

40 რ. კიკნაძე, თამღა ილხანთა სახელმწიფოში, აღმოსავლური კრებული, თბილისი, 1960, გვ. 95.

41 Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая орда и ее падение, М.-Л., 1950, გვ. 472; История Узбекской ССР, т. I, Ташкент, 1955, გვ. 349.

42 რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 99.

43 იქვე, გვ. 104—105.

XVI საუკუნის პირველი ნახევრის იტალიელი ანონიმი ავტორის გადმოცემით, ქ. თავრიზის ბაზრებში წესად იყო მიღებული, რომ დუქნის მფლობელ თითოეულ ვაჭარს თავისი ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით ყოველდღიურად გადაეხადა 2 ან 6 ასპრა, ან კიდევ ერთი დუკატი[44]. ი. პეტრუშევსკის აზრით ანონიმი ავტორის ეს ცნობა თამღას უნდა შეეხებოდეს[45]. მართალია ამავე წყაროს ცნობით ასეთივე გადასახადი დადგენილი იყო აგრეთვე „ყოველი დარგის ოსტატ-ხელოსანზე" (for the masters of every art)[46], მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ხელოსანი თამღას იხდიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წვრილი ვაჭრის როლში გამოდიოდა და თავის ნახელავ პროდუქციას თითონვე ჰყიდდა ბაზარზე. თამღას იხდიდნენ მეძავი ქალებიც[47].

ანონიმი ავტორის ცნობით ეს „ცუდი ჩვეულება" („a vile usage")ანუ თამღის აკრეფა გავრცელებული ყოფილა მთელ ირანში[48]

მოტანილი მასალიდან ირკვევა, რომ თამღის ოდენობა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. იგი მძიმე ტვირთად აწვა ქალაქის ვაჭრებს და აგრეთვე ბაზარში დასაქმებულ სხვადასხვა დარგის ხელოსნებს. თამღა საქალაქო ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთ ძლიერ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა. ანონიმი ავტორის მიერ თამღის დახასიათება, როგორც „ცუდი ჩვეულებისა" უნდა იყოს ანარეკლი ხელოსან-ვაჭართა შორის საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისისა თამღის სიმძიმეზე და მის არაკანონიერებაზე.

მუსლიმანური სამღვდელოების თვალშიც თამღა არაკანონიერი გადასახადი იყო. ვ. ბარტოლდი აღნიშნავდა, რომ მუსლიმანურ სახელმწიფოებში თამღის დაწესება-აკრეფა ყოველთვის ითვლებოდა სარწმუნოებისა და შარიათის საწინააღმდეგო საქმედ. ამიტომ სახელმწიფოს მბრძანებელი ხშირად იძულებული ხდებოდა ანგარიში გაეწია ამ გარემოებისათვის და გაეუქმებინა იგი[49].

---

[44] A narrtive of Italian travels in Persia in 15-th and 16--th centuries, London, 1870, გვ. 172. Every merchant has a shop in the bazaar pays each day either two or six aspri, or even a ducat, according to the business.

[45] И. П. Петрушевский, Восстание..., გვ. 218.

[46] A narrative..., გვ. 172.

[47] იქვე.

[48] იქვე.

[49] В. В. Бартольд, Улугбек и его время, Сочинения, т. II, ч. 2, გვ. 133; Его же, Персидская надпись..., გვ. 34.

ასე მოხდა სეფიანთა ირანშიც. 1565 წელს შაჰ თამაზის ბრძანებით თამღა როგორც საქალაქო გადასახადი ამოკვეთილ იქნა ირანში. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ჰასან ბეგ რუმლუ, ისკანდერ მუნში, ზაქარია სარკავაგი და იტალიელი ავტორი დ'ალესანდრი[50].

ამ ავტორებიდან მხოლოდ ისკანდერ მუნში და დ'ალესანდრი გვატყობინებენ თამღის მოსპობის მიზეზს. მათი ცნობით შაჰ თამაზის ეს ღონისძიება იყო შედეგი მის მიერ ნახული სიზმრისა. ანგელოზებმა უბრძანეს მას გაეუქმებინა თამღა თავის სახელმწიფოში[51]. ამ ცნობებში კარგად არის ასახული შიიტური სამღვდელოების გავლენა რელიგიური ფანატიზმით ცნობილ შაჰზე. ნათლად ჩანს, რომ თამღის გაუქმებაში გადამწყვეტი თუ არა გარკვეული როლი მაინც შეასრულეს შიიტურმა ღვთისმსახურებმა, რომელთა აზრით თამღა არ ეთანხმებოდა შარიათს და ამიტომ სასურველი იყო მისი მოსპობა.

მაგრამ არსებობდა სხვა უფრო არსებითი მიზეზიც. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ აფერხებდა თამღა ვაჭრობის განვითარებას. დ'ალესანდრი აღნიშნავს ვაჭრობის დაცემა-დაქვეითებას XVI საუკუნის მეორე ნახევრის ირანში[52]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ თამღის ამოკვეთა მიზნად ისახავდა ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა მდგომარეობის ერთგვარ გაუმჯობესებას და სავაჭრო საქმიანობის გაცხოველება-გაფართოებას[53].

თამღის ამოკვეთასთან ერთად მოისპო აგრეთვე ამ გადასახადის ამკრეფები მოხელეების თამღაჩიების (تمغاچی) სამოხელეო ინსტიტუტი სეფიანთა სახელმწიფოს ქალაქებში[54].

თამღის გაუქმებით სახელმწიფოს მოაკლდა შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო. შაჰ თამაზის თანამედროვე და ამ ღონისძიების თანადამხდური ჰასან ბეგ რუმლუ გადმოგვცემს, რომ ყოველწლიურად „თამღის ანგარიშში აკრეფილი თანხა ღვთივ დაცულ სახელმწიფოში დაახლოებით 30 ათასს თუმანს უდრიდა"[55]. ჰასან რუმლუზე დაყრდნობით ასეთივე რიცხვს ასახელებს

---

[50] كتاب احسن التواريخ، تأليف حسن روملو، كلكته سنه ۱۹۳۱ مسيحى (შემდეგში ჰასან რუმლუ) გვ. 428; ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I, გვ. 123, ზაქარია სარკავაგი, გვ. 10.

[51] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I. გვ. 123.

[52] A narrative..., გვ. 219.

[53] И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII вв., გვ. 264. История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, Л., 1958, გვ. 264.

[54] ჰასან რუმლუ, გვ. 428; ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I, გვ. 123.

[55] ჰასან რუმლუ, გვ. 428.

تمغاوات مملک محروسه‌را که در کل قرب سی هزار تومان میشد بخشید

ისკანდერ მუნშიც, რომლის სიტყვითაც თამღის ყოველწლიური ოდენობა 30 ათას ერაყულ თუმანს (سی هزار تومان شاهی عراقی) შეადგენდა[56]. შაჰ თამაზის მეორე თანამედროვე ისტორიკოსის ბუდაყ ყაზვინის თხზულებაში კი („ცნობათა მარგალიტები"—„ჯავაჰირ ალ-ახბარ") თამღის წლიური საერთო ოდენობად 80 ათასია დასახელებული[57].

თამღის შესახებ ზემომოტანილი ცნობების განხილვისას აშკარად შეიმჩნევა ზოგიერთი შეუსაბამობა. ისკანდერ მუნშის ცნობით 1565 წელს გაუქმდა არა თამღა — საქალაქო-სავაჭრო გადასახადი, არამედ „შარების თამღა" (تمغای شوارع) ანუ ბაჟი[58]. იგივეს იმეორებს სომეხი ისტორიკოსი ზაქარია სარკავაგი და მოგვითხრობს, რომ შაჰ თამაზმა მოსპო „გზის ბაჟი" (*մաքսն Ճանապարհաց*[59]).

არც ერთი ეს ცნობა სინამდვილეს არ უნდა ასახავდეს.

ჯერ ერთი ამ ღონისძიების უშუალო მოწმენი, შაჰ თამაზის დროინდელი ისტორიკოსები, არც ჰასან ბეგ რუმლუ (რომლის მასალასაც ეყრდნობა ისკანდერ მუნში თამღის ამოკვეთის აღწერისას) და არც ბუდაყ ყაზვინი არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ შაჰ თამაზმა გააუქმა „შარების თამღა". (تمغای شواره) და არა სავაჭრო გადასახადი, ხოლო მეორე მხრივ არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ გარემოებამ, რომ სეფიანთა ირანში თამღა ბაჟის მნიშვნელობით დამოწმებულია XVI ს. დასასრულსა და მთელი XVII საუკუნის მანძილზე.

ასე, მაგალითად, თამღა ბაჟის მნიშვნელობით გვხვდება რუსეთ-სპარსეთის დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობათა ამსახველ რუსულ საბუთებში[60]. გრიგორი ვასილჩიკოვის ელჩობის (1588—1593) აღწერაში შაჰ აბას I კარზე თამღა ბაჟთან ერთად იხსენიება („тамга и пошлины") და მის შესატყვისს წარმოადგენს[61]. ასეთივე მნიშვნელობა აქვს თამღას ტიუფიაკინის ელჩობის ანგარიშში, რომელიც შაჰ აბას I დროს მოეწყო ირანში[62]. ბაჟის

---

[56] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I, გვ. 123.

[57] П. И. Петров, Об одном редком источнике по истории Сефевидов, СВ, 1956, № 1, გვ. 115.

[58] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი, ტ. I, გვ. 123.

[59] ზაქარია სარკავაგი, გვ. 10.

[60] Памятники, I, გვ. 26, 27, 28, 30, 56, 372.

[61] იქვე, გვ. 27.

[62] იქვე, გვ. 372.

მნიშვნელობითვე უნდა იყოს ნახმარი თამღა ქართულ-სპარსულ ორენოვან საბუთებშიც[63].

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1565 წელს სეფიანთა სახელმწიფოში საბოლოოდ ამოკვეთილი იყო თამღა — საქალაქო-სავაჭრო გადასახადი და არა „შარების თამღა“ ანუ ბაჟი, როგორც ამას გადმოგვცემენ ისკანდერ მუნში და ზაქარია სარკავაგი.

თ ე ჯ ა რ ა თ ი (تجارت)

ეს გადასახადი მოხსენებულია რ. დუ მანის თხზულებაში. ავტორის თანახმად შაჰის წლიურ შემოსავალში შედიოდა თეჯარათიც, რომელსაც იგი განმარტავს, როგორც „გადასახადს ვაჭრობაზე“ (taxe sur les marches)[64]. თეჯარათი რომ სავაჭრო გადასახადი უნდა ყოფილიყო, ამას თითონ ტერმინიც კარგად გვიჩვენებს (تجارت-ვაჭრობა, აღებ-მიცემობა).

ამ სავაჭრო გადასახადის შესახებ ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე ა. ოლეარი და ჟ. შარდენი, თუმცა მათ თხზულებებში ტერმინი თეჯარათი არსად არ არის დამოწმებული.

ა. ოლეარი აღნიშნავს, რომ ირანში „ყველა სახის ვაჭრობა იძლევა გარკვეულ ბაჟს“[65]. ამ შემთხვევაში ბაჟი სავაჭრო გადასახადს აღნიშნავს. ეს რომ ასეა იქიდან ჩანს, რომ აქ ბაჟი ვაჭრობასთან არის დაკავშირებული და არა საქონლის ტრანსპორტირებასთან. ამასთან ერთად ა. ოლეარი ბაჟზე, როგორც საგზაო გადასახადზე ანუ რაჰდარის სინონიმზე საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს უფრო ადრე თავისი თხზულების სხვა ადგილას[66]. ამდენად, მოტანილ ცნობაში დამოწმებული „ბაჟი“ („пошлина“) სავაჭრო გადასახადის აღმნიშვნელი ტერმინია და თეჯარათის სინონიმს წარმოადგენს.

ანალოგიური შინაარსისაა შარდენის ცნობებიც, რომლის თანახმად XVII ს. სეფიანთა სახელმწიფოში ყველა სავაჭრო საქონელზე, რომელიც ბაზარზე იყიდებოდა დაწესებული იყო გარკვეული გადასახადი[67]. გადასახადისაგან თავისუფლდებოდა მხოლოდ სურსათ-სანოვაგე. მაგ., მარილისა და ღვინის გაყიდვა არ იბეგრებოდა სავაჭრო გადასახადით[68]. სამაგიეროდ, ისეთი ძვირფასი საქონლის

---

[63] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1955, გვ. 13, 43, 192, 212, 398.

[64] R. du Mans, გვ. 33.

[65] Олеарий, გვ. 890. Все роды торговли дают известную пошлину.

[66] Олеарий, გვ. 889.

[67] Chardin, V, გვ. 480.

[68] იქვე.

რეალიზაცია, როგორიც იყო თამბაქო ყოველწლიურად იძლეოდა შემოსავალს მილიონნახევარ ლივრის ოდენობით[69].

ირკვევა, რომ შემოსავალი ბაზრებიდან და სავაჭროებიდან, რომელსაც ჰქმნიდა სავაჭრო გადასახადი, XVII ს. სეფიანთა სახელმწიფოს საერთო წლიური შემოსავლის მუდმივი და საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იყო[70].

როგორც ჩანს, წინანდელი თამღის მაგიერ ქალაქებში დაუწესებიათ ახალი სავაჭრო გადასახადი, რომელსაც, რ. დუ მანის სიტყვით თეჯარათი ეწოდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ახლად შემოღებული გადასახადი თავისი ოდენობით გაცილებით უფრო მცირე იყო, ვიდრე თამღა და ვაჭრებისთვისაც შედარებით იოლი გადასახდელი. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა თამღის გაუქმება და თეჯარათის შემოღება.

შეიძლებოდა გვეეარაუდნა, რომ ეს ახალი მცირე სავაჭრო გადასახადი თამღის გაუქმებისთანავე დაწესდა, მაგრამ ეს ასე რომ ყოფილიყო, აღმოსავლურ და ევროპულ პირველწყაროებში, სადაც ლაპარაკია თამღის ამოკვეთა-გაუქმებაზე, აუცილებლად აღნიშნული იქნებოდა თეჯარათის შემოღებაც. ამიტომ, ჩვენი აზრით, საფუძველს არ იქნება მოკლებული თეჯარათის გაჩენა დავუკავშიროთ სეფიანთა სახელმწიფოს მნიშვნელოვან ეკონომიურ აღმავლობას და კერძოდ, საქალაქო ვაჭრობის გაცხოველება-განვითარებას, რასაც ადგილი ჰქონდა XVI საუკუნის დასასრულისა და XVII საუკუნის 70-იანი წლების ფარგლებში.

ბაჟი (راهداری، باج)

ბაჟი იკრიბებოდა როგორც სავაჭრო მაგისტრალებზე მდებარე საბაჟოებში, ასევე ქალაქებში საქონლის შემოზიდვისა თუ გატანის დროს.

სეფიანთა სახელმწიფოში ერთიანი საბაჟო სისტემა არ არსებობდა. სხვადასხვა პროვინციაში საქონლის ერთი და იმავე ღირებულების საპალნეზე ბაჟის ანგარიშში სხვადასხვა სიდიდის თანხა იყო დაწესებული[71]. გამონაკლისს თითქოს თავრიზი შეადგენდა. ამ ქალაქში XVI საუკუნის მეორე ნახევარში ანონიმი იტალიელი ავტორის მოწმობით ქრისტიანი ვაჭრები თავისი საქონლის ღირებულების 10% ბაჟში იხდიდნენ, მუსლიმანებისათვის კი ბაჟი დაწესებული იყო საქონლის ღირებულების 5% ოდენობით[72].

---

[69] Chardin. V, გვ. 413.
[70] იქვე, გვ. 407.
[71] Котов, გვ. 72—73; Chardin. V. გვ. 399—401.
[72] A narrative..., გვ. 172—273.

ბაჟს ვაჭრები იხდიდნენ მაშინაც, როცა ისინი მხოლოდ ტრანზიტით სარგებლობდნენ და ქალაქში სავაჭროდ არ ჩერდებოდნენ. ამ შემთხვევაში ბაჟი აიკრიფებოდა საქონლის საერთო წონის მიხედვით[73]. ტევენოს ცნობით საბაჟოებში გარდა ბაჟისა ვაჭრებს ცხენისა და ჯორის თითოეულ საპალნეზე რამდენიმე ბისტს ახდევინებდნენ. ეს ფული გადაკვეთილი იყო მებაჟეების ჯამაგირად[74]. ბაჟის აკრეფის დროს ადგილი ჰქონდა მრავალ უკანონობას და ბოროტმოქმედებას, რის შედეგადაც ვაჭარი მძიმედ ზარალდებოდა და ერთგვარად ფერხდებოდა ვაჭრობის განვითარება სეფიანთა სახელმწიფოში.

ბაჟი ყოველწლიურად უზარმაზარ შემოსავალს იძლეოდა, მაგრამ ადგილობრივი მმართველებისა და საბაჟოების მოხელეთა ბოროტმოქმედების გამო შემოსავლის მხოლოდ ნახევარი თუ ხვდებოდა სახელმწიფო ხაზინაში[75].

ე ჰ დ ა ს ი (احداث)

გადასახადი ამ სახელწოდებით ცნობილი იყო უკვე XV საუკუნეში. 1498/9 წ. შედგენილ ყასიმ აყ-ყონლუს სოურღალის სიგელში, რომელიც ორმოცდახუთამდე სხვადასხვა გადასახადს შეიცავს, დასახელებულია ეჰდასიც. სიგელის გამომცემლის ინგლისელი მკვლევარის ა. ლამბტონის აზრით ეჰდასი წარმოადგენდა „ახლად შემოღებულ გადასახადს" („innovations?")[76ა], მაგრამ იგი არაფერს ამბობს ამ ტერმინის შინაარსობლივი მნიშვნელობის შესახებ.

ეჰდასის ტერმინოლოგიური მნიშვნელობის დასადგენად საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ისკანდერ მუნშის საისტორიო ნაწარმოებში „თარიხ-ი ალემ არა-ი აბასი". სეფიანთა ისტორიოგრაფის სიტყვით ეჰდასი წარმოადგენდა რაიმე ინციდენტთან დაკავშირებულ გამოსაღებს (پرسش قضایا) და დამნაშავეებზე დაწესებულ ჯარიმას (جریمهٔ مجرمان) ქალაქში მომხდარ ინციდენტებსა და ბოროტმოქმედებებს არჩევდა ტარუღა და ეჰდასიც მის სასარგებლოდ იყო გადაკვეთილი[76]. ამ ცნობაში ლაპარაკი უნდა იყოს იმ წერილ ბოროტმოქმედებებსა (ქუჩებში წესრიგის დარღ-

---

[73] A narrative..., გვ. 172—173.

[74] Thevenot, გვ. 127.

[75] Chardin, V, გვ. 399—401.

[76ა] Lambton A., Landlord and Peasant in Persia, Oxford University Press, London, 1953, გვ. 102—103.

[76] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი, II, გვ. 896.

وجوه احداث پرسش قضایا و جریمهٔ مجرمان است واز خود داروغگان بعمل اورده حاصل احداث میبابند

ვევა, ყომარისა და ბანქოს თამაში, მეძაობა, ქურდობა) და მოქალაქეთა დავა—სარჩიელზე (დავის ობიექტის ღირებულების 5—12 თუმნის ფარგლებში), რომელიც ქალაქის მმართველის—ტარუღას იურისდიქციაში შედიოდა და რომელთა გარჩევა და განჩინების გამოტანა მასვე ევალებოდა[77].

ამრიგად, ეჰდასი დანაშაულზე დაწესებულ გადასახადს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეჰდასი დროებითი გადასახადი იყო და შემთხვევიდან შემთხვევამდე იკრიფებოდა. თავდაპირველად ასეც უნდა ყოფილიყო. ამაზე მიგვითითებს თითონ ტერმინიც (احداث— событие, новость, случайность)[78].

მაგრამ ისკანდერ მუნშის ცნობებიდან ირკვევა, რომ ეჰდასმა დროთა განმავლობაში დაკარგა დროებითი გამოსაღების მნიშვნელობა და მუდმივი ხასიათი მიიღო. საინტერესოა, რომ სეფიანთა სახელმწიფოში ეჰდასი მუდმივ გადასახადთა და გამოსაღებთა რიცხვს (خواست و طلب دیوانیان، تکالیف دیوانی) განეკუთვნებოდა და მისი ოდენობა ზუსტად იყო განსაზღვრული სახელმწიფო საგადასახადო დავთრებში[79]. ეჰდასის მუდმივ ხასიათზე მეტყველებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ 1615/16 წელს შაჰ აბასმა რამაზანის თვეში თავის სახელმწიფოში ყველა შიიტი გაანთავისუფლა ეჰდასის გადახდისაგან და იგი საგადასახადო დავთრებისაგან ამოაღებინა[80]. ეჰდასის წლიური ოდენობა სეფიანთა ისტორიოგრაფის მოწმობით უდრიდა დაახლოებით 20 ათასს თუმანს ერაყული კურსით[81].

განხილული მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეჰდასი წარმოადგენდა მუდმივ გადასახადს. იგი დადგენილი იყო ქალაქის მმართველების — ტარუღების სასარგებლოდ მათ მიერ ქალაქებსა და მის სანახებში საზოგადოებრივი სიმშვიდისა და წესრიგის დაცვისათვის, სხვადასხვა სახის წვრილი დანაშაულისა თუ ინციდენტის გარჩევისა და განჩინების გამოტანის სანაცვლოდ.

ჰავადისი (حوادث)

რ. დუ მანი ერთადერთი ავტორია, რომელსაც დაცული აქვს ცნობა ჰავადეს შესახებ. იგი ჰავადესს დროებით, ექსტრაორდინალურ გადასახადად თვლის[82]. ამ გადასახადის არარეგულარულ ხა-

---

77 Tadhkirat, თავი V, ნაწ. 7.

78 Арабско-русский словарь, составил Х. К. Баранов, М., 1962, გვ. 199.

79 ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., II, გვ. 895-9, 1104.

80 იქვე.

81 იქვე.

82 R. du Mans, გვ. 30.

სიათზე მეტყველებს თითონ ტერმინიც (მბ. რ. حادث მრ. რ. حوادث ამბავი, შემთხვევა).

რ. დუ მანის მოწმობით სეფიანთა ირანში უცხოელი ელჩების ყველა ხარჯი გაწერილი იყო „ასნაფებზე ანუ ქალაქის ხელოსნებზე". ჰავადესი მათთვის დამატებით გამოსაღებელს წარმოადგენდა. რადგანაც მთავარი გადასახადი, რომელსაც ხელოსნები იხდიდნენ იყო ბონიჩე[83].

ჰავადესი ყონალღას მსგავსი გამოსაღები უნდა ყოფილიყო. მათ შორის მხოლოდ ის სხვაობა უნდა იყოს, რომ თუ ყონალღა ძირითადად ნატურალურ გამოსაღებს წარმოადგენდა, ჰავადესის ანგარიშში ქალაქის ხელოსნური მოსახლეობა ფულის გარკვეულ თანხას იხდიდა. ამასთან ერთად, ყონალღისაგან განსხვავებით, რომელიც სოფლის რაიათებსაც ევალებოდათ, ჰავადესი, როგორც რ. დუ მანის ცნობიდან ჩანს, წმინდა საქალაქო გადასახადი იყო და იგი გამიზნული იყო უცხოელი ელჩის ხარჯების დასაფარავად მხოლოდ მისი ქალაქში ყოფნის დროს.

3. ზოგადი სახის გადასახადები

ზოგადი სახის გადასახადები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო. წმინდა საქალაქო გადასახადებისაგან განსხვავებით ზოგადი სახის გამოსაღებებს იხდიდა როგორც სოფლის, ისე ქალაქის მწარმოებელი საზოგადოება.

ასეთ გადასახადების რიგს განეკუთვნებოდა: ეთლაყი, იხრაჯათი, ხარიჯიათი, იხრაჯათ-ი შაჰზადე, ნოურუზი, ეიდი, ავარეზი, საური, ფიშქეში, ყონალღა, თავაჰინი, შეშდინარი, ამიქურენი, ჯიზია, სარანე.

ეთლაყი (قلط)

ეტიმოლოგიურად ნიშნავს განთავისუფლებას. ეთლაყის ტერმინოლოგიური მნიშვნელობა დაადგინა ი. პეტრუშევსკიმ, რომლის მიხედვითაც იგი აღნიშნავდა საკანცელარიო ხარჯებზე დაწესებულ გამოსაღებს[84]. ასეთივე თვალსაზრისისაა ამ ტერმინზე ვ. ფუთურიძე[85].

ეთლაყის ასეთი მნიშვნელობა მტკიცდება ზოგიერთი წყაროს მონაცემებით. მაგ., ყუბის ხანის მიერ გაოცებულ საბუთში მოხსენიე-

---

[83] იქვე. Toute la dépense de cet ambassadeur tomber sur esnaf — اصناف ou artizans de la ville, sur lesquelles elle ont mise: ceci s'appelle havadest — حوادث, nouveautés, car autre cela ils ont encore le bonitche.

[84] И. П. Петрушевский. Очерки..., გვ. 279.

[85] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვეთი I, თბილისი, 1961, გვ. 89.

გულია „დავთრის ეთლაყი“ (دفتر ایلخی), რომელიც, როგორც ჩანს, უნდა ნიშნავდეს სხვადასხვა საბუთის შედგენაზე გაწეული ხარჯების დასაფარავად დაწესებულ გადასახადს[85].

სეფიანთა ხანის ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში „ეთლაყი“ ძალიან ხშირად „ჰავალეს“ გვერდითაა მოხსენებული[86].

ეს უკანასკნელი აღნიშნავდა ადგილობრივი სახსრებიდან სახელმწიფო ასიგნობათა განაღდებას. ამრიგად, დაბეგრილ მოსახლეობას ევალებოდა არა მარტო გაენაღდებინა ჰავალეში აღნიშნული თანხა, არამედ დაეფარა ის ხარჯებიც, რომელიც გაწეული იყო სათანადო საბუთების შედგენის დროს.

ეთლაყი სახელმწიფო გადასახადი იყო. მისი გადახდა სოფლის რაიათების ვარდა, ქალაქის მოსახლეობასაც ევალებოდა. ამას მოწმობს ორდუბადის კათედრალის წარწერა, სადაც ეს გადასახადი „ეთლაყაითის“ (ایلخی) ფორმით არის მოტანილი[87].

ი ხ რ ა ჯ ა თ ი (اخراجات)

ეს ტერმინი ცნობილი იყო ირანში ჯერ კიდევ მონღოლთა ბატონობის დროს. პროფ. ვ. მინორსკის აზრით იხრაჯათი ილხანთა სახელმწიფოში ეწოდებოდა იმ საგანგებო ხარჯებს, რომელიც გამიზნული იყო ცენტრალური ხელისუფლების დიდმოხელეთა და მათი ხელქვეითი პირების შესანახად[88].

იხრაჯათი მეტად მძიმე ტვირთი იყო ქალაქისა და სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის. მისი ამოკვეთა სცადა აჰმედ აყ-ყოუნლუმ 1498 წელს[89]. მაგრამ ამ ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. იხრაჯათი განაგრძობდა არსებობას XVI—XVII სს. ირანშიც.

სეფიანთა დროინდელ სპარსულ წყაროებშიც საკმაოდ ხშირადაა დასახელებული ეს ტერმინი[90]. ამ დროსაც იხრაჯათს ძირითადად იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ილხანთა ირანში და აყ-ყო-

---

[85] Указы Кубинских ханов, Тб. 1937, док. 3 სილსილათ ან-ნასაბ, გვ. 109; Персидские указы Матенадарана, вып. I. составил А. Папазян, Ереван. 1956, გვ. 286; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 313, 348.

[86] М. Х. Нейматова. Эпиграфические памятники Азербайджана. სპ. ტექსტი, გვ. 30.

[88] V. Minorsky, A Soyarghal of Qasim b. Jahangir Aq-Qoynly (903—1498), BSOS, vol. IX. part 4, 1949, გვ. 946.

[89] გვ. 334, (შემდეგში: ხონდემირი) خندمیر، حبیب السیّر، تهران، ۱۸۵۵

[90] სილსილათ ან-ნასაბ, გვ. 105; Персидские указы Матенадарана, I. გვ. 174. 176. 186. 193.

უნლუს თურქმანთა სახელმწიფოში. აღებული ხანის მასალების საფუძველზე ი. პეტრუშევსკიმ დაადგინა, რომ XVI—XVII საუკუნეებში იხრაჯათი აღნიშნავდა სხვადასხვა გადასახადს ნატურით და ვალდებულებებს, რომელიც ფიქსირებული იყო საგანგებო დავთრებში და რომლის მოხდაც ევალებოდა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ექსპლოატირებულ ფენებს ლაშქრის, დიდებულთა და სახელმწიფო მოხელეთა სასარგებლოდ. ამრიგად, სეფიანთა სახელმწიფოში იხრაჯათი წარმოადგენდა ზოგად ტერმინს, რომლითაც აღინიშნებოდა რაიათებზე დაწესებული სხვადასხვა გადასახადი და ვალდებულება. ასე მაგ., 1547 წელს შაჰ თამაზის მიერ ბიბი ეიბათის შეიხის ბუნიადის სახელზე გაცემულ ფირმანში იხრაჯათი მეტად ფართო მნიშვნელობით იხმარება და შეიცავს შემდეგ გამოსაღებებს და ვალდებულებებს: ალაფეს, ულუფეს, ყონალღას, ულაყს, ულამს, ბეგარას და შიგარს[91]. ასეთივე ხასიათი აქვს ტერმინ „იხრაჯათს“ 1570 წლით დათარიღებულ შაჰ თამაზის ფირმანში ბოძებულს განძასარის სომეხთა კათალიკოსის გრიგორისადმი. ამ ფირმანით კათალიკოსი თავისუფლდებოდა „არაკანონიერი იხრაჯათისაგან, როგორიცაა ალაფე, ულუფე, ყონალღა, ბეგარა, ულაყი, თარხი, დასთანდაზი და სხვა დაუშვებელი შილთაყათი და შანაყისათი“[92].

ხ ა რ ი ჯ ი ა თ ი (خارجيات)

ხშირად იხმარება იხრაჯათთან ერთად და მის სინონიმს წარმოადგენს[93]. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ თუ იხრაჯათის ოდენობა დადგენილი და რეგისტრირებული იყო სპეციალურ დავთრებში, ხარიჯიათი აღნიშნავდა არაფიქსირებულ გადასახადებსა და ვალდებულებებს, რომელიც დროდადრო იკრიფებოდა სოფლისა და ქალაქის რაიათებიდან ლაშქრისა და ადგილობრივ მოხელე-ხელისუფალთა შესანახად[94].

---

[91] И. П. Петрушевский. Очерки..., გვ. 273.

[92] Персидские указы Матерадараша, I რუსული თარგმანი, გვ. 186, სპარსული ტექსტი, გვ. 279 اخراجات خلاف حكم و حساب سيماً علفه و علوفه و قنلغا و بيكار و الاغ و الام و طرخ ودست انداز و ساير شلتقات و شناقصات

შილთაყათი და შანაყისათი უკანონო გადასახადებია, რომელსაც კრეფდნენ ფეოდალები და სახელმწიფო მოხელენი, იქვე. კომენტარი, გვ. 240—241.

[93] სილსილათ-ან-ნასაბ, გვ. 105.

[94] И. П. Петрушевский. Очерки..., გვ. 277; Его же, Земледелие..., გვ. 390.

ხარიჯიათის სინონიმის მნიშვნელობით წყაროებში ხშირად იხსენიება ტერმინი შილთაყათი. იგი უმეტეს შემთხვევაში იხრაჯათთან ერთად იხმარება არაფიქსირებულ გადასახადების აღსანიშნავად[95]. შილთაყათი საჭიროებისამებრ წესდებოდა ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ[96].

იხრაჯათი შაჰზადე (اخراجات شاهزاده)

ეს გადასახადი შემოღებული იქნა XVIII ს. დამდეგს 1699—1701 წწ. ხალხთაღწერის შედეგად[97]. როგორც თითონ ტერმინი გვიჩვენებს იხრაჯათი შაჰზადე ანუ ესაი ჰასან ჯალალიანის მიხედვით „შაჰზადეს ახრაჯათი“ (*շահզատի ախրաջաթ*)[98] წარმოადგენდა გამოსაღებს, რომელიც გამიზნული იყო სეფიანი უფლისწულების ხარჯების დასაფარავად.

ავარეზი (عوارض) ან ავარეზათი (عوارضات)

ცნობილი იყო ირანსა და შუა აზიაში ჯერ კიდევ მონღოლთა შემოსევებამდე[99].

სეფიანთა ირანის წყაროებში საკმაოდ ხშირია ავარეზის ხსენება[100]. უმეტეს შემთხვევაში იგი ფიქსირებულ და არაფიქსირებულ საგანგებო გადასახადებთან ანუ იხრაჯათთან და შილთაყათთან ერთად არის დასახელებული (اخراجات و عوارضات، شلتقات و عوارضات).

სეფიანთა ირანში, ისევე, როგორც წინარე პერიოდში, ავარეზი აღნიშნავდა სხვადასხვა სახის საგანგებო გადასახადსა და შრომით ვალდებულებას, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება ან ადგილობრივი მმართველობა აწესებდა დაბეგრილ მოსახლეობაზე.

სოფლის რაიათებთან ერთად ავარეზის მოხდა ევალებოდა ქალაქის ხელოსან-ვაჭრებსაც[101].

---

[95] ხონდემირი, წ. 3. ნაწ. 4. გვ. 324: Персидские указы Матенадарана, I, რუსული თარგმანი, 173, 176, 186; სპარსული ტექსტი, გვ. 258, 263, 279.

[96] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 278.

[97] ესაი ჰასან ჯალალიანი, გვ. 20.

[98] იქვე.

[99] И. П. Петрушевский, Земледелие..., გვ. 382.

[100] M. N. Khanykof, Memoires..., გვ. 95; М. Х. Нейматова, Эпиграфические памятники Азербайджана, სპ. ტექსტი, გვ. 39; Персидские указы Матенадарана, I, რუსული თარგმანი, გვ. 173, 174, 176, სპ. ტექსტი, გვ. 258, 261, 263.

[101] M. N. Khanykof, Memoires..., გვ. 95; М. Х. Нейматова, Эпиграфические памятники Азербайджана, სპ. ტექსტი, გვ. 30.

ყ ო ნ ა ლ ღ ა (قنلغا، قنلغه)

ეს ტერმინი სპარსულ საისტორიო ნაწარმოებებში დამოწმებულია უკვე XIII—XIV სს. (მაგ., რაშიდ ედ-დინის თხზულებაში „ჯამი ათ-თავარიხ"—„ისტორიათა კომპენდიუმი") და შემდეგ გვხვდება ნაგვიანევი ხანის სპარსელ ისტორიკოსთა თხზულებებში და დოკუმენტურ მასალებში.

სეფიანთა სახელმწიფოში ყონალღა მეტად გავრცელებული ვალდებულება იყო. ამაზე მეტყველებს ამ ტერმინის ხშირი ხსენება სხვადასხვა სახის დოკუმენტურ წყაროებსა[102] და ეპიგრაფიკულ მასალაში[103].

ყონალღას შინაარსობლივი მნიშვნელობა არ შეცვლილა საუკუნეების მანძილზე. იგი გულისხმობდა ქალაქისა და სოფლის რაიათების ვალდებულებას სადგომი მიეცათ უცხო სახელმწიფოს ელჩებისათვის, უცხოელ ვაჭრებისათვის და მოგზაურებისათვის, ცენტრალური ხელისუფლების მოხელეებისა და მათი თანმხლები პირებისათვის. რაიათებს ევალებოდათ მათ სახლებში ჩაყენებული პირები მოემარაგებინათ საუკეთესო სურსათ-სანოვაგით, ხოლო მათი პირუტყვი უზრუნველეყოთ შესაფერისი საკვებით[104].

ყონალღა ძალზე მძიმე მოსახდელი იყო და უმეტეს შემთხვევაში იწვევდა რაიათის ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას. ამას მოწმობს ა. ოლეარის ცნობა, რომლის თანახმადაც 1636 წელს კასპიის ზღვის სანაპირზე მდებარე პატარა ქალაქი ნიაზაბადში ყოფნისას ჰოლშტინიის ელჩებს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა თავიანთ სახლებში ბინები მიუჩინეს და მათ სასარგებლოდ გამოიღეს 2 ცხენი, 2 ხარი, 12 ცხვარი, 20 ქათამი, 5 ტომარა ფქვილი, 2 კალათა ვაშლი, 3 ხელადა ღვინო და ერთი კოკა სუფთა წყალი[105].

მართალია ავტორი პირდაპირ არ ასახელებს ტერმინ ყონალღას, მაგრამ ცნობის შინაარსი გვიჩვენებს, რომ აქ უეჭველად ამ ვალდებულებაზე უნდა იყოს ლაპარაკი. იყო შემთხვევები, როდესაც რაიათებთან ჩასახლებული პირები არ სჯერდებოდნენ მათთვის განკუთვნილ სანოვაგეს, თავიანთი მასპინძლების პირდაპირ

---

[102] Персидские указы Матенадаранa. I, რუსული თარგმანი, გვ. 176, 186; სპარსული ტექსტი, გვ. 263, 279; вып. II, რუსული თარგმანი, გვ. 314; სპარსული ტექსტი, გვ. 473. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 313.

[103] М. Х. Нейматова. Эпиграфические памятники Азербайджана. სპ. ტექსტი, გვ. 30.

[104] И. П. Петрушевский. Очерки..., გვ. 274.

[105] Олеарий, გვ. 511.

ძარცვას მიმართავდნენ და ძალით ართმევდნენ საუკეთესო სურსათ-სანოვაგეს, ფულს, ძვირფას ნივთებს და სხვა[106].

ყონალღა იხრაჯათის ანუ საგანგებო გადასახადებისა და ვალდებულებების რიცხვს განეკუთვნებოდა[107]. ყონალღას სიმძიმითა და გამანადგურებელი ხასიათით აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად დოკუმენტურ წყაროებში იგი კვალიფიცირებულია როგორც არაკანონიერი (خلاف حكم) და აკრძალული გამოსაღები (مطالبات مسدوده)[108]. მაგრამ მიუხედავად ამისა ყონალღა მაინც განაგრძობდა არსებობას XVI—XVIII სს. მანძილზე. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შაჰის საგანგებო ბრძანებით ცალკეული სოფლების ან ქალაქის მოსახლეობა თავისუფლდებოდა ამ ვალდებულებისაგან. ასე მაგალითად, 1606 წ. შაჰ აბას I ყონალღისაგან გაანთავისუფლა ქალაქი ორდუბადი[109]. შაჰ ისმაილ I 1503 და 1506 წლების ფირმანებით თათევის მონასტერი გათავისუფლებული იქნა იხრაჯათიდან და შილთაყათიდან, რომელთა შემადგენლობაში ყონალღაც შედიოდა[110], ხოლო შაჰ თამაზის 1570 წლის და შაჰ აბას I 1606 წლის ფირმანებით ყონალღას გადახდისაგან განთავისუფლდა განძასარის საკათალიკოსო[111].

ჯ ი ზ ი ა (جزيه)

სეფიანთა სახელმწიფოში, ისევე როგორც ადრინდელ ირანულ სახელმწიფოებში, ჯიზია წარმოადგენდა არამუსლიმანებზე დაწესებულ სულად გადასახადს.

ჯიზიას იხდიდნენ ებრაელები, ინდუსები, ღებრები, ქრისტიანები და სხვა არამუსლიმანურ სარწმუნოებათა მიმდევრები, რომლებიც ყოველთვის მრავლად იყვნენ სეფიანთა ირანის ქალაქებში.

შარდენის ცნობით ჯიზია დაწესებული იყო არამარტო ადგილობრივ არამუსლიმან მოსახლეობაზე, არამედ მისი მოხდა ევალებოდათ აგრეთვე უცხოელ მოგზაურებსაც, რომლებიც დროებით იმყოფებოდნენ სეფიანთა სახელმწიფოში[112]. ავტორი პირდაპირ არ

---

106 ჯასან რუმლუ, გვ. 265—266.

107 Персидские указы Матенадарана, I, რუსული თარგმანი, გვ. 186, სპ. ტექსტი, გვ. 279.

108 იქვე, რუსული თარგმანი, გვ. 176, 186; სპ. ტექსტი, გვ. 263, 379; вып. II, რუსული თარგმანი, გვ. 314; სპ. ტექსტი, გვ. 473.

109 М. Х. Нейматова, Эпиграфические памятники Азербайджана, სპ. ტექსტი, გვ. 30.

110 Персидские указы Матенадарана, I, რუსული თარგმანი, გვ. 173, 176; სპ. ტექსტი, გვ. 258, 263.

111 იქვე, რუსული თარგმანი, გვ. 186; სპ. ტექსტი, გვ. 279; вып. II, რუსული თარგმანი, გვ. 314; სპ. ტექსტი, გვ. 473. 112 Chardin, V, გვ. 399.

ასახელებს ჯიზიას, მაგრამ მისი ცნობა, უეჭველია, ამ გამოსაღებს შეეხება, რადგანაც იგი ლაპარაკობს „გადასახადზე, რომელსაც იხდის ის, ვინც ქვეყნის სარწმუნოებას არ მისდევს“[113].

ჯიზიას ოდენობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო და დროთა განმავლობაში იცვლებოდა. 1583 წ. შედგენილ სპარსულ საბუთში აღნიშნულია, რომ ყოველი სრულწლოვანი სომეხი მამაკაცი ჯიზიას ანგარიშში იხდიდა 4 ახჩას ანუ ერთ მისხალ სუფთა ვერცხლს[114]. XVII ს. 30-იან წლებში ჯიზიას ოდენობა უდრიდა 2 რაიხსტალერს[115], ხოლო იმავე საუკუნის 70-იან წლებში თითოეულ არამუსლიმანზე დაწესებული ყოველწლიური სულადი გადასახადი აღწევდა ერთ დუკატს[116].

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჯიზიას ოდენობა არ იცვლებოდა ჯიზიაგზარის (جزیه گذار)[117] ანუ ჯიზიას გადამხდელის სოციალური კუთვნილებისა და მისი ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით. ამას გვიდასტურებს ზემოთ დამოწმებული სპარსული საბუთი, რომელშიც ნათქვამია: „კეთილშობილ და მდიდარ სომხებს, მათი მდგომარეობის გამო ნუ მოსთხოვენ უფრო მეტ თანხას, რადგანაც (ჯიზიას ანგარიშში — კ. კ.) დადგენილია 4 ახჩა ვერცხლით. ასეა დაწესებული“[118].

ასეთივე დასკვნის უფლებას გვაძლევს ოლეარისა და შარდენის ზემოთგანხილული ცნობები, რომლებიდანაც ირკვევა, რომ ჯიზია მყარი გადასახადი იყო და ყველა არამუსლიმანი თანაბარი რაოდენობით იხდიდა მას.

ჯიზიას მოხდა სომხურ სამღვდელოებასაც ევალებოდა[119]. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, განსაკუთრებული წყალობის გამო ჯიზიას გადახდისაგან თავისუფლდებოდა ზოგიერთი სომხური მონასტერი და მისი ბერ-მონაზვნები[120].

---

113 Chardin, V, გვ. 399. Le tribut que paient les habitans, tant natifs qu'etrangers, Le tribut que paient..., que ne sont pas de la religion du pays.

114 Персидские указы Матенадарана, I, რუსული თარგმანი, გვ. 189—190; სპ. ტექსტი, გვ. 288.

115 Олеарий, გვ. 890.

116 Chardin, V, 399.

117 Персидские указы Матенадарана, I, სპ. ტექსტი, გვ. 284.

118 Персидские указы Матенадарана, I, რუსული თარგმანი, გვ. 190; სპ. ტექსტი, გვ. 284.

اگر از ارمنیان باشد که‌جوهری باشد یان مال بسیار دارد آنرا نخواهد و طلبه زیاده ندارند و قطع دارند چهار اقچه مثقال نقرهٔ باشد

119 ესაა ჰასან ჯალალიანი, გვ. 19.

120 Персидские указы Матенадарана, I, რუსული თარგმანი, გვ. 190; სპ. ტექსტი, გვ. 284.

ს ა რ ა ნ ე (سرانه)

როგორც თითონ ტერმინი გვიჩვენებს (سر — თავი) სარანე სულადი გადასახადი იყო. მაგრამ ჯიზიასაგან განსხვავებით მას სრულასაკოვანი მუსლიმანი რაიათები იხდიდნენ, ე. ი. სარანე დაწესებული იყო სოფლისა და ქალაქის მშრომელ მოსახლეობაზე[121]. იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე ოლქი თავისუფლდებოდა სარანესაგან. მაგ., შაჰ თამაზის 1559 წლის ფირმანით სარანეს გადახდისაგან განთავისუფლდა მუღანის ოლქში მდებარე მიწები ჯუარი, მაჯური და ურნეყადი, რომლებიც შეიხ ზაჰიდის შთამომავლების სოურღალს შეადგენდა[122].

ამიერკავკასიის ნახევრადდამოუკიდებელ სახანოებში სარანეს ნაცვლად იხმარებოდა მისი აზერბაიჯანული შესატყვისი „ბაშფული" (باش پولی)[123]. ცნობილია სარანეს სხვა სინონიმებიც. მაგ., 1670 წელს არჩილ მეფის მიერ მცხეთის სვეტიცხოველისადმი ბოძებულ შეწირულების წიგნის ქართულ და სპარსულ ნაწილებში სულადი გადასახადის მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი „ბაშმალი" (باش مالی)[124], ხოლო 1737 წელს შედგენილ ორენოვანი საბუთის სპარსულ ტექსტში იმავე მნიშვნელობით დამოწმებულია „სარშომარა" (سرشمار)[125].

ს ა ვ ე რ ი (ساوری، سواری)

თურქული წარმოშობის ტერმინია. თავდაპირველად იგი აღნიშნავდა ფიცს, რომელსაც ვასალი აძლევდა თავის სიუზერენს, მაგრამ უკვე ილხანთა სახელმწიფოში ირანულ ნიადაგზე საერი განიცდის შინაარსობლივ ცვლილებას და „მისართმეველის" მნიშვნელობას იღებს[126]. მაშასადამე თურქული საერი სპარსული „ფიშქაშის" სინონიმად გვევლინება[127]. საერის ასეთი მნიშვნელობა გაზიარებული აქვთ სხვადასხვა მკვლევარებს: კარტმერს, ვ. მინორსკის, ი. პეტრუშევსკის, ვ. ფუთურიძეს და ვ. გაბაშვილს[128].

პროფ. ვ. გაბაშვილიც „საერს" „ფიშქაშს" უკავშირებს, მაგრამ სპარსული და ქართული ისტორიული წყაროების მონაცემების

---

121 И. П. Петрушевский. Очерки.... გვ. 283.

122 სილსილათ ან-ნასაბ, გვ. 104—105.

123 И. П. Петрушевский, Очерки.... გვ. 283.

124 ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 312—313.

125 იქვე, გვ. 443.

126 И. П. Петрушевский. Земледелие..., გვ. 392.

127 იქვე.

128 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს-ში, გვ. 241; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის კომენტარი, გვ. 472.

საფუძველზე იგი ადგენს სავერის ახალ მნიშვნელობას, რომელიც ამ ტერმინმა ქართულ ფეოდალურ ურთიერთობათა ნიადაგზე შეიძინა. XVI—XVII სს. საქართველოში, აღნიშნავს მკვლევარი, სავერი (ქართული ფორმა საური) ნიშნავდა არა საკუთრივ „მისართმეველს", არამედ იმ თანხას, რომლის საფუძველზეც მზადდებოდა შაჰისათვის გასაგზავნი „ფიშქაში"[129].

სეფიანთა სახელმწიფოში სავერი აღნიშნავდა მისართმეველს, ძღვენს, რომელიც სოფლისა და ქალაქის მწარმოებელ მოსახლეობას უნდა მიერთმია შაჰისათვის, ადგილობრივი მმართველებისა და ფეოდალებისათვის[130]. როგორც ჩანს, სავერს რაიათები იხდიდნენ ნატურისა და ფულის სახით. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ხონდემირის ცნობა, რომელიც ყიზილბაშების მიერ 1501 წელს ქალაქ ბაქოს აღებას შეეხება. ისტორიკოსის გადმოცემით, ყიზილბაშების მხედართმთავარმა ხულაფა ბეგმა, შირვანშაჰების ხაზინის ხელში ჩაგდების შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას გამოართვა შესაფერისი სავერი და ფიშქეში და ყოველივე ეს, ფული და საქონელი, შაჰის კარზე გაგზავნა[131].

ზოგიერთ შემთხვევაში, სავერს უწოდებდნენ იმ გამოსაღებსაც, რომელიც იხარჯებოდა ირანში მყოფ ელჩებსა და უცხოეთის სამეფო სახლების წარმომადგენლებზე. ამ თვალსაზრისით სავერი ერთგვარად უახლოვდება ყონალღისა და ჰავადესის მნიშვნელობას.

ისკანდერ მუნშის მონათხრობით 1602 წელს ისფაჰანში ჩამოსულ ოზბეგ უფლისწულებს შაჰ აბას I სახარჯოდ დაუნიშნა ათასი ერაყული თუმანი, ნუზლი (სურსათ-სანოვაგე) და სავერი, რომელიც შედგებოდა ცხვრებისაგან, ცხიმეულისა, ბრინჯისა, სხვადასხვა მარცვლეულისა და სხვა აუცილებელი პროდუქტისაგან[132].

---

[129] ვ. გაბაშვილი, „სათათრო გამოსაღებელი" გვიანფეოდალურ საქართველოში, მიმოხილველი, III, 1953, გვ. 133; მისივე, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს.-ში, გვ. 241—246.

[130] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 281.

[131] ხონდემირი, წ. III, ნაწ. 4, გვ. 399.

(ხულაფა ბეგმა—კ. კ.) بعد از وصول خزاین و وفاین سلاطین شیروانرا بدست آورده پیشکش و ساوری لایق متوطان انمکان ستاند و مجموع آن نقود و اجناس‌را بدرگاه کیوان اساس ارسال فرمود

[132] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., II, გვ. 609—610.

(ოზბეგ უფლისწულებს—კ. კ.). یکهزار تومان شاهی عراقی زرنقد جهت خرجی اشان نزل و ساوری از گوسفندان‌و رغن انعام فرموده (შაჰ აბასმა-კ. კ.) و برنج و غله و سایر مایحتاج علی هذا القیاس

უეჭველია რომ ოზბეგი უფლისწულების შენახვა და დასახელებული თანხისა და სურსათ-სანოვაგის გამოღება ისფაჰანისა და მისი მიმდგომი სოფლების მოსახლეობის დაბეგრილ ნაწილს დააწვებოდა მხრებზე.

ამრიგად, სეფიანთა ირანში სავერი სავალდებულო ძღვენთან ერთად აღნიშნავდა აგრეთვე დროებით, ექსტრაორდინალურ გამოსაღებ, რომელიც დროდადრო იკრიფებოდა რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებით და რომლის მოხდაც ქალაქისა და სოფლის მწარმოებლებს ევალებოდათ.

ფ ი შ ქ ე შ ი (پیشکش)

სეფიანთა სახელმწიფოში ფიშქეში წარმოადგენდა გამოსაღების ერთ-ერთ სახეს, ძღვენს, რომელიც რაიათებს ყოველწლიურად უნდა მიერთმიათ შაჰისათვის, ოლქების მმართველებისათვის (ბეგლარბეგი, ხანი, სულტანი) და ადგილობრივი მსხვილი ფეოდალებისათვის.

ფიშქეშის შემადგენლობას გვირკვევს ისკანდერ მუნშის ერთი საგულისხმო ცნობა. ამ ცნობის თანახმად 1621/22 წ. შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ ხანი და იქაური სხვა ამირები და დიდებულები მაზანდარანში ეახლნენ შაჰ აბას I და „საკადრისი ფიშქეში" მიართვეს მას. შაჰისათვის მირთმეული ფიშქეში შედგებოდა „იოსების მსგავს მშვენიერ ღოლამებისა, ზულეიხას სადარ პირმშვენიერი ჰურიებისა, სწრაფმავალ რაშებისა და ორკუზიანი აქლემებისაგან, რომლებიც დატვირთული იყვნენ ნაღდი ფულით, ძღვენით სხვადასხვა ქვეყნის საქონელით და ძვირფასი ქსოვილებით, სიასამურითა და უძვირფასესი რუსული ბეწვეულით, ჩერქეზეთის იშვიათი ქსოვილებით (کرفکی?) ძვირფასი თოფებითა და სხვა მსგავსი ნივთებით. ყველაფერი ეს ურიცხვი და უთვალავი რაოდენობით წარუდგინეს უწმინდესს მზერას"[133].

საინტერესო ცნობას ფიშქეშის შესახებ გვაწვდის ჟ. შარდენი, რომლის მოწმობით ადგილობრივი მმართველები შაჰს ყოველწლიურად საგანგებო გადასახადს (contributions extraordinares) უგზავნიდნენ. ამ საგანგებო გადასახადში შედიოდა: ძვირფასი ქსოვილე-

---

[133] ისკანდერ მ უ ნ შ ი, თარიხ-ი, II, გვ. 989.

پیشکشهای لایق از غلامان صفت و خورشان زلیخا صورت خوش سیما والشهای صبا رفتار و شتران کوه‌کوهان بار سردار و نقود و افره و اجناس و اقمشهٔ نفایس هر دیار پوستینهای سمور و اروسی و گرنبها و کرفکهای نادرهٔ ولایت چرکس و تفنگهای قیمتی و امثال ذلک زیاده از احصأ و شمار از نظر اقدس گذارنیده...

ბი, ოქრო-ვერცხლი, სამხედრო საჭურველი, თვალ-მარგალიტი, ცხენის აკაზმულობა, ნელსაცხებლები, ლამაზი ქალწულები და ვაჟები, ცხენები და სასაპალნე პირუტყვი და აგრეთვე სხვა „ყველაფერი ძვირფასი და იშვიათი, რის შოვნასაც მოახერხებდა მმართველი თავის საგამგებლოში“[134].

ორივე ავტორის მიხედვით ფიშქეშის შემადგენლობაში გარდა ქალ-ვაჟებისა, ცხენებისა და სასაპალნე პირუტყვისა შედიოდა აგრეთვე სხვადასხვა სახის ხელოსნური ნაწარმი (ქსოვილები, სამხედრო საჭურველი, ცხენის მოკაზმულობა, ნელსაცხებლები, დამუშავებული ძვირფასი ქვები) და უცხოეთიდან შემოზიდული იშვიათი საქონელი (სიასამური და სხვა ბეწვეული, თოფები). ყოველივე ამას და აგრეთვე ნაღდ ფულს ფეოდალები აგროვებდნენ ადგილობრივ დაბეგრილ მოსახლეობაში (გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები) და შემდეგ ფიშქეშის სახით უგზავნიდნენ შაჰს. ამდენად, ფიშქეშის მთავარ გამომღებლებად სოფლის გლეხები და ქალაქის ხელოსან-ვაჭრები გვევლინებიან.

ფიშქეში თავდაპირველად ნებაყოფლობით მისართმეველს წარმოადგენდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მან მუდმივი და სავალდებულო გადასახადის ხასიათი მიიღო. ეს მოვლენა მხედველობიდან არ ეამოჰპარვია შარდენს, რომლის სიტყვითაც საგანგებო გადასახადები „ადათმა გახადა მუდმივი და აუცილებელი“. მათი რეგულირება ხდებოდა სპეციალურად დანიშნული მოხელის ფიშქეშ-ნევისის ანუ მისართმეველების აღმრიცხველის დაწესებულებაში[135]. საგულისხმოა ფრანგი ავტორის შენიშვნა, რომ ფიშქეშისა და სხვა ძღვენის სახით შემოსული საქონელი გამიზნული იყო შაჰის სასახლისა და იმ ხელოსანთა შესანახად, „რომლებიც სურსათს ნატურის სახით“ იღებდნენ[136]. ეს უკანასკნელნი, უეჭველია, შაჰის ქარხნებში მომუშავე ხელოსნები იყვნენ.

ფიშქეშის ზუსტი ოდენობის დადგენას ამა თუ იმ ოლქზე ცდილობდა თვით ცენტრალური ხელისუფლება.

ცენტრალური ხელისუფლების ეს ტენდენცია კარგად ჩანს 1671 წლით დათარიღებულ შაჰ სულეიმანის ფირმანიდან, რომლითაც „სახლთუხუცესს ზაზა ბეგს“ ეუწყება, რომ მის მიერ გაგზავნილი „გარდაკვეთილი ფიშქეში“ (پیشکش مقرری) მიღებულ იქნა შაჰის

---

[134] Chardin, V, გვ. 404.

[135] იქვე. V, გვ. 305. La coutume les (ფიშქეში და სხვა საგანგებო გამოსაღებები — კ. კ.) a rendues ordinaires, et on enregistre à un bureau d'un officier qu'on appelle pechkes nuviez, c'est—á—dire, rôle ou livre des présens.

[136] იქვე.

კარზე[137]. გამოთქმა پیشکش مقرری დადგენილი ანუ გარდაკვეთილი ფიშქეში მოწმობს იმას, რომ ფიშქეში სავალდებულო გადასახადად იქცა, რომლის ზუსტი ოდენობა წესდებოდა შაჰის კარზე სათანადო უწყებაში.

ფიშქეშის ასეთი ტრანსფორმაცია ნებაყოფლობითი გამოსაღებიდან სავალდებულო გადასახადამდე, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული სიმკვეთრით არის აღბეჭდილი ისკანდერ მუნშის ცნობაში, საიდანაც ირკვევა, რომ 1593 წელს შაჰ აბას I ვინმე ალიხანს უბოძა იქითა გილანის მმართველობა და ამის სანაცვლოდ ამ უკანასკნელმა ითავა ყოველწლიურად ცენტრალური ხელისუფლებისათვის „ფიშქეშის სახით“ (برسبیل پیشکش) ათასი თუმანი გადაეხადა[138].

ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის შაჰ აბას I-ის 1617 წლის და შაჰ სეფის 1629 წლის ფირმანები.

ამ ფირმანების თანახმად 1617 წელს შაჰ აბასის ბრძანებით სომხეთის კათალიკოსად დაინიშნა მელიქსეთი და ისფაჰანში, ნახჭევანში, ხოიში, სალმასტში, ბარდაში, ლორესა და სხვა ადგილებში მცხოვრებ სომხურ მოსახლეობას დაევალა იგი თავის სულიერ წინამძღვრად ეცნო. თავის მხრივ კათალიკოსმა მელიქსეთმა იკისრა ყოველწლიური ფიშქაში 100 თავრიზული თუმნის ოდენობით[139].

მელიქსეთის სომხეთის კათალიკოსად დანიშვნის ამბავი ვრცლად აქვს აღწერილი აგრეთვე არაქელ თავრიზელს. ისიც მელიქსეთის მიერ დივანისათვის შეპირებულ ყოველწლიურ გადასახადს 100 თუმნის ოდენობით ასახელებს[140].

ამრიგად, ზემოთ განხილულ ცნობებში (ისკანდერ მუნში, მატენადარანის სპარსული ფირმანები, არაქელ თავრიზელი) ფიშქეში ფულადი გადასახადის სახით არის წარმოდგენილი.

თუ რამდენად მყარი და რეალური იყო ფიშქეშით გათვალისწინებული გადასახადი კარგად ჩანს იქიდან, რომ ეჩმიაწინზე გაწერილი 100 თუმანი რეგისტრირებული იყო უმაღლესი დივანის დიდი მუსტოუფების მიერ და მის ანგარიშში ჰამესალეს წესით ჯამა-

---

137 მ. ხუბუა. საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, გვ. 18, 200; სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წ. I. ნაკ. 2, გვ. 28.

138 ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I. გვ. 451.

علیخان بحکومت گیلان بیپس سرافراز گشته یکهزار تومان همه ساله بر سبیل پیشکش تقبل نمرده

139 Персидские указы Матенадарана. II. რუსული თარგმანი. გვ. 334—335. სპ. ტექსტი. გვ. 487.

140 არაქელ თავრიზელი, გვ. 224.

გირი ენიშნებოდათ სხვადასხვა პირებს[141]. ჰამესალეს აკრეფა ბარათებით ხდებოდა[142].

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სეფიანთა სახელმწიფოში ფიშქეში ნებაყოფლობით ძღვენიდან და მისართმეველიდან თანდათან საყოველთაო სავალდებულო გადასახადად იქცა. ფიშქეშის ანგარიშში დაბეგრილი მოსახლეობა იხდიდა როგორც ხელოსნობის ნაწარმს და სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ასევე ნაღდ ფულს, ზოგიერთ შემთხვევაში კი ფიშქეში მხოლოდ ფულადი გადასახადის ფორმას ღებულობდა.

ნ ა ვ რ უ ზ ი (نوروزی) და ე ი დ ი (عیدی)

როგორც თითონ ტერმინი გვიჩვენებს ნავრუზი საახალწლო ძღვენს წარმოადგენდა. რაიათები ვალდებულნი იყვნენ სანოვრუზო ძღვენი მიერთმიათ ფეოდალებისათვის და ადგილობრივი მმართველებისათვის. ეს უკანასკნელებიც თავის მხრივ ყოველ მუსლიმანურ ახალ წელს (21 მარტს) მისართმეველს უგზავნიდნენ ირანის შაჰს.

ზაქარია აკულისელის ცნობით 1671 წლის ნოვრუზობას ისფაჰანში ხანებმა დიდძალი ძღვენი მიართვეს შაჰ სულეიმანს (1666—1694)[143]. ეს საახალწლო ძღვენი ფეოდალებმა, უეჭველია, ქალაქისა და სოფლის ექსპლოატირებული მოსახლეობის ხარჯზე შეადგინეს.

ნავრუზის ანალოგიური გამოსაღები იყო ეიდიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეიდს რაიათები იხდიდნენ დიდი მუსლიმანური დღესასწაულების დროს[144].

ისტორიულ საბუთებში ნავრუზი და ეიდი ხშირად ერთადაა მოხსენებული (نوروزی و عیدی)[145].

შ ე შ დ ი ნ ა რ ი (دینار شش).

მოხსენებულია ესაი ჰასან ჯალალანიანის საისტორიო ნაწარმოებში: ავტორის ცნობით შეშდინარი შემოღებულ იქნა XVII—XVIII სს. მიჯნაზე[146]. როგორც თითონ ტერმინიდან ჩანს ეს გადასახადი იკრიფებოდა ექვსი დინარის ოდენობით. ი. პეტრუშევსკის აზრით შეშდინარი საკომლო გადასახადს წარმოადგენდა[147].

---

141 Персидские указы Матенадарана, II. რუსული თარგმანი, გვ. 334—335, სპ. ტექსტი, გვ. 487.

142 არაქელ თ ა ვ რ ი ზ ე ლ ი, გვ. 224.

143 Дневник Закария Акулисского, გვ. 86.

144 Персидские указы Матенадарана, I. ა. ფაფაზიანის კომენტარი, გვ. 241.

145 იქვე. რუსული თარგმანი, გვ. 174, 176; სპ. ტექსტი, გვ. 258, 263.

146 ესაი ჰასან ჯ ა ლ ა ლ ი ა ნ ი, გვ. 20.

147 И. П. П е т р у ш е в с к и й, Очерки..., გვ. 282.

ა ბ ი ქ უ რ ე ნ ი

ეს გადასახადიც შაჰზადეს იხრაჯათთან და შეშდინართან ერთად შემოღებულ იქნა სეფიანათა სახელმწიფოს 1699—1701 წწ. აღწერის შედეგად[148].

ესაი ჰასან ჯალალიანი არაფერს გვატყობინებს აბიქურენის შინაარსის შესახებ, მაგრამ, ჩვენი აზრით, თვით გადასახადის სახელწოდება „აბიქურენი" ანუ როგორც მას სომეხი ისტორიკოსი უწოდებს „აპიქურანი" (*ապիքուրան*) შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ მისი ტერმინოლოგიური მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ სეფიანთა სახელმწიფოში რამდენჯერმე გაკეთდა ცდა ისფაჰანის მდინარე ზაენდე-რუდთან, რომლის წყლის რესურსები ვერ აკმაყოფილებდა ირანის უდიდესი საქალაქო ცენტრის მზარდი მოსახლეობის მოთხოვნილებას, შეეერთებინათ ქალაქის მახლობლად გამავალი მეორე წყალმრავალი მდინარე აბიქურენი.

არხის გაყვანა და აბიქურენის წყლის შეერთება ზაენდე-რუდთან პირველად სცადეს შაჰ თამაზის დროს, მაგრამ დიდი ხარჯების გამო სამუშაოები მალე შეჩერებულ იქნა[149]. სამუშაოები განახლდა შაჰ აბას I ბრძანებით[150]. მაგრამ მიუხედავად დახარჯული უზარმაზარი თანხისა მიზანი ამჯერადაც მიუღწეველი დარჩა და ისფაჰანი კვლავ განიცდიდა წყლის ნაკლებობას[151].

როგორც ჩანს, აბიქურენისა და ზაენდე-რუდის შეერთების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა შაჰ სულთან ჰუსეინის მმართველობის წლებშიც. სწორედ ამ ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო თანხების მოსაპოვებლად უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით, დაწესებული ახალი საგანგებო გადასახადი, რომელსაც „აბიქურენი" ეწოდა.

თ ა ვ ა ჰ ი ნ ი (طواحین).

ეტიმოლოგიურად „თავაჰინი" ნიშნავს „წისქვილებს, დოლაბებს" (მხ. რ. طاحون)[152].

აქედან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქალაქის დაბეგრილი მოსახლეობა გარკვეულ თანხას იხდიდა ახალი წისქვი-

---

148 ესაი ჰასან ჯ ა ლ ა ლ ი ა ნ ი. გვ. 20.

149 Խաչատուր Աբեղայ Ջուղայեցի. Պատմութիւն Պարսից. Վաղարշապատ, 1905. (შემდეგში: ხაჩატურ ჯუღაეცი), გვ. 128.

150 ისკანდერ მ უ ნ შ ი, თარიხ-ი..., I, გვ. 544—545. არაქელ თ ა ვ რ ი ზ ე ლ ი. გვ. 140—141. ხ ა ჩ ა ტ უ რ ჯ უ ღ ა ე ც ი. გვ. 123.

151 ი ს კ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი, თარიხ-ი..., I. გვ. 544—545.

152 Персидско-русский словарь, М., 1953, გვ. 332.

ლების აშენებისათვის და ძველების შესაკეთებლად. ამ გადასახადს თავაჰინი ეწოდებოდა.

თავაჰინი დასახელებულია ქ. ორდუბადის გადასახადთა შორის[153].

ბ ა ყ ა ი ა (ساغ).

ეტიმოლოგიურად ნიშნავს ნარჩენს, დავალიანებას.

ქალაქისა და სოფლის მწარმოებელი მოსახლეობის დაბეგვრა მრავალრიცხოვანი გადასახადებითა და ვალდებულებებით, ამ გადასახადების რიცხობრივი და რაოდენობრივი ზრდა წელში წყვეტდა ქალაქისა და სოფლის რაიათებს (ხელოსნებს, წვრილ და საშუალო ვაჭრებს, გლეხებს) იწვევდა მათი ეკონომიური მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას. ამიტომ მოსახლეობის ექსპლოატირებული ფენა ვეღარ ახერხებდა ყველა გადასახადის მოხდა-განაღდებას და იგი სახელმწიფოს მოვალე ხდებოდა. ასე აღმოცენდა ბაყაია, რომელმაც თანდათანობით მუდმივი სახელმწიფო გადასახადის სახე მიიღო.

სეფიანთა სახელმწიფოში ბაყაია უზარმაზარ თანხებს აღწევდა.

მიუხედავად მკაცრი ადმინისტრაციული ზომებისა და პირდაპირი ძალადობისა სახელმწიფო მაინც ვერ ახერხებდა სოფლისა და ქალაქის გაღატაკებული რაიათებისაგან დავალიანების აკრეფა- შეგროვებას. ამიტომ ცენტრალური ხელისუფლება იძულებული ხდებოდა დროდადრო გაეუქმებინა დაბეგრილი მოსახლეობის დავალიანება და ბაყაია მისთვის „ეწყალობებინა“.

ბუდაყ ყაზვინის ცნობით 1565 წელს შაჰ თამაზმა ირანის მოსახლეობას აპატია 10-20 წლის დავალიანება[154], ხოლო 1642 წელს შაჰ აბას II ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით სეფიანთა სახელმწიფოში გაუქმებული იქნა ბაყაია, რომელიც მუჰამედ თაჰირ ვაჰიდის მოწმობით დაახლოებით 500 ათას თუმანს უდრიდა[155].

ბაყაიას მუდმივმა ხასიათმა, და აუკრეფელი თანხების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ, განაპირობა საგანგებო თანამდებობის შექმნა ცენტრალურ ხელისუფლების დაწესებულებებში. ისკანდერ მუნშის ცნობით სეფიანთა სახელმწიფოში 1625 წლის ახლო ხანს ბაყაიას

---

153 М. Х. Нейматова, Эпиграфические памятники Азербайджана, სპ. ტექსტი, გვ. 30.

154 П. И. Петров, Об одном редком источнике.., გვ. 115.

155 გვ. 19, 20 عباس نامه، تألیف محمد طاهر وحیدی قزوینی، ارک، ۱۳۲۹،

მუსტოუფის თანამდებობა ეჭირა ვინმე ხოჯა მუჰამედს[156]. საინტერესოა, რომ იგი განაგებდა არა მთლიანად სახელმწიფო ბაყაიას, არამედ დავალიანების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ყიდვა-გაყიდვას ე. ი. ვაჭრობაზე დაწესებულ გაუნაღდებელ გადასახადებს შეეხებოდა[157].

ბაყაიასგან თავის დახსნა უჭირდათ არა მარტო რაიათებს, არამედ უფრო შეძლებულ სომხური ეკლესიის სამღვდელოებასაც, რომელიც ზოგჯერ სხვადასხვა გადასახადებით იბეგრებოდა. არაქელ თავრიზელი გადმოგვცემს, რომ ეჩმიაწინის საკათალიკოსოზე დადგენილი ყოველწლიური გადასახადი 100 თუმნის რაოდენობით 6 წლის მანძილზე გადაუხდელი დარჩა და მელიქსეთ კათალიკოსს 600 თუმანი ბაყაია დაუგროვდა (*վեց հարիւր թումանն բայի*)[158].

ბაყაიას არსებობა სეფიანთა სახელმწიფოში ქალაქისა და სოფლის მწარმოებელი მოსახლეობის მძიმე და გამოუვალი მდგომარეობის ერთ-ერთი უტყუარი მაჩვენებელია.

4. გადასახადების აკრეფის ორგანიზაცია

სეფიანთა სახელმწიფოს საერთო წლიურ შემოსავალში საქალაქო გადასახადებს მეტად მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. ცენტრალური ხელისუფლება ქალაქს უყურებდა, როგორც ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს და შემოსავლის უშრეტ წყაროს. ამიტომ იგი ცდილობდა საქალაქო ცხოვრების ყოველი სფერო თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა და თავისი ინტერესების შესაბამისად წარემართა. ცენტრალური ხელისუფლების ეს მიზანსწრაფვა ხორციელდებოდა ერთი მხრივ საქალაქო მმართველობის უმაღლესი მოხელეების (ტარუღა, ქალანთარი, ვეზირი) სრული და უშუალო დამოკიდებულებით შაჰზე, ხოლო მეორე მხრივ, მათი და ქალაქის სხვა ხელისუფალთა უფლება-მოვალეობებით, რომელიც ითვალისწინებდა კონტროლს და უშუალო ჩარევის უფლებას ქალაქის ხელოსნურ წარმოებასა და ვაჭრობაში.

მთელი სიმკვეთრით ვლინდებოდა ფეოდალური სახელმწიფოს თვალსაზრისი ქალაქზე გადასახადების სფეროშიც.

უმაღლესი ხელისუფლება ცდილობდა საგადასახადო სისტემისათვის ცენტრალიზებული ხასიათი მიეცა და გადასახადების გაწერა-აკრეფისათვის თითონვე ეხელმძღვანელა. სწორედ ამ მიზანს

---

[156] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., II, გვ. 1013.

[157] იქვე.

[158] არაქელ თავრიზელი, გვ. 225.

ემსახურებოდა შაჰ აბას I მუსტოუფალ-მამალექის ჰათემ ბეგ ორდუბადის მიერ 1590/91 წწ. დაწყებული სახელმწიფო შემოსავლისა და გასავლის საერთო რეესტრის (نسخهٔ تشخیص) შედგენა. ამ სამუშაოს შესრულებას რამდენიმე წელიწადი მოუნდა იგი დასრულებულ იქნა აღა მირზა ალის მიერ, რომელსაც სეფიანთა სახელმწიფოში მთავარი მუსტოუფის ადგილი ეჭირა 1597—1602 წწ. ისკანდერ მუნშის სიტყვით ახლადშედგენილი ნუსხა „უავგუსტოესი დავთარხანეს კანონი და სახელმძღვანელო გახდა"[1].

ანალოგიური ღონისძიება იქნა გატარებული აგრეთვე გილანში, ამ პროვინციის საბოლოოდ დაპყრობისა და სეფიანთა სახელმწიფოსთან შეერთების შემდეგ. 1593/94 წწ. შაჰ აბასის ბრძანებით გილანის ოლქში ეთემად ად-დოულემ და საფინანსო უწყების მოხელეებმა აღწერეს ყველა საგადასახადო ობიექტი, მოაწესრიგეს გადასახადების გაწერა-შეგროვების საქმე და გილანში არსებული ადგილობრივი გადასახადები ირანის საერთო საგადასახადო სისტემას დაუკავშირეს. ყოველივე ეს გაკეთებული იყო ისკანდერ მუნშის სიტყვით რომ ვთქვათ „სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და რაიათებისაე და ღატაკთა სასარგებლოდ"[2].

სეფიანთა სახელმწიფოში ახალი გადასახადების შემოღებას და უკვე არსებულის ოდენობის გადიდებას, როგორც წესი, წინ უძღოდა ქვეყნისა და ხალხის აღწერა, რაც მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ტარდებოდა. როდესაც უკანასკნელმა სეფიანმა შაჰმა სულთან ჰუსეინმა (1694—1722) გადაწყვიტა დაცარიელებული სახელმწიფო ხაზინა საგადასახადო უღლის დამძიმების საშუალებით შეევსო, მან უწინარეს ყოვლისა ბრძანა „აეწერათ ხალხი და ქვეყნები სომხეთისა და აგრეთვე ყველა სხვა მოდგმისა, რომლებიც მას მორჩილებდნენ"[3]. ამ ღონისძიების შესრულებას სამი წელიწადი დაჭირდა (1699—1701). აღწერილ იქნა როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობა. გადასახადების გამომღებლად სცნეს ყველა შრომისუნარიანი მამაკაცი 15 წლის ასაკიდან მოკიდებული და ზევით[4].

---

[1] Н. Д. Миклухо-Маклай, К вопросу о налоговой политике в Иране при шахе Аббасе I (1578—1629), СВ, VI, 1949, გვ. 349.

[2] Н. Д. Миклухо-Маклай, К вопросу..., გვ. 349.

[3] ესაი ჰასან ჯალალიანი, გვ. 17. հիւսէին կոչնցեալ շահ Սուլթանն արար նրաման մարդաքիւ և աշխարհագիր առնել ազգիս հայոց և ամենայն ազգաց ընդ իշխանութեամբ նորով եղելոց:

[4] იქვე.

ამ საერთო სახელმწიფო ღონისძიებებში, რა თქმა უნდა სათანადო ყურადღება ექცეოდა ქალაქებსაც, როგორც საგადასახადო ობიექტებს. საქალაქო გადასახადების გაწერა-შეგროვებას ცენტრალური ხელისუფლება ქალაქის ადმინისტრაციული აპარატის უმაღლეს მოხელე-ხელისუფალთა და საგანგებოდ დანიშნულ მოხელეთა მეშვეობით ახორციელებდა.

ეს კარგად ჩანს „თაზქირათ ალ-მულუქიდან", რომლის თანახმადაც ბონიჩეს დადგენა-აკრეფა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა იყო ქალაქის ქალანთარისა, რომელიც უშუალოდ შაჰის მიერ ინიშნებოდა და მხოლოდ მის წინაშე იყო ანგარიშვალდებული[5]. გადასახადების ზუსტად და დროულად აკრეფას თვალყურს ადევნებდნენ აგრეთვე ქალაქის ვეზირი, მუსტოუფი და ნაყიბი[6].

მაგრამ არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესებს ქალაქში იცავდნენ მხოლოდ ქალაქის ადმინისტრაციული აპარატის უმაღლესი მოხელეები. ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესების დამცველად ქალაქში უწინარეს ყოვლისა გვევლინებოდნენ ის კანონები, რომლებიც შემუშავებული იყო სეფიანთა ირანში და რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ ამა თუ იმ გადასახადის ქალაქზე გაწერისა თუ აკრეფის დროს. „თაზქირათ ალ-მულუქის" ცნობით ბონიჩეს დადგენისას ქალანთარსა და ნაყიბს უნდა ემოქმედათ „თანახმად სახელმწიფოს კანონისა, სამართლისა, ანგარიშისა, ადათისა და წესისა[7]". მართალია ბონიჩეს ოდენობის დადგენის დროს ქალაქის ხელოსნური ამქრების ქედხოდების დასტურიც იყო საჭირო, მაგრამ, რა თქმა უნდა, მთავარი მაინც კანონი და „სახელმწიფოს ჩვეულება და წესი" იყო, რომელიც, უეჭველია, ფეოდალური კლასის ინტერესებს გამოხატავდა.

გადასახადების ამკრეფი მოხელეები სეფიანთა ირანში სხვადასხვა სახელით იყვნენ ცნობილნი. წყაროებში გვხვდება: „თაჰსილდარი" (تحصیلدار), „მოჰასსელი" (محصّل), „თაჰავორი" (رَوَج) და სხვ. გარდა ამ ზოგადი ტერმინებისა, რომლებიც საერთოდ გადასახადების ამკრეფი მოხელეების აღსანიშნავად იხმარებოდა, არსებობდა აგრეთვე ზოგიერთი სპეციალური ტერმინიც, რომლითაც მინიშნებული იყო თუ სახელდობრ რომელი გადასახადის აკრეფა ევალებოდა ამა თუ იმ მოხელეს. ასე მაგ., 1565 წლამდე ირანის ქალაქებში თამღას კრეფდნენ „თამღაჩიები" (تمغاچیان)[8], ბაჟის ამკრეფ

---

[5] Tadhkirat, თავი V. წ. ნაწ. 7. 9. [6] იქვე. [7] იქვე. ნაწ. 7.

بروفق قانون وحق و حساب ر معمول و دستور مملکت

[8] ჰასან რუმლუ. გვ. 428; ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I.გვ. 123.

მოხელეებს კი „ბაჯდარანები“ (باجدار) ან „რაჰდარანები“ (راهدار) ეწოდებოდათ[9].

გადასახადების ამკრეფი მოხელეების შენახვაც ქალაქისა და სოფლის დაბეგრილ მოსახლეობას ევალებოდა. სეფიანთა სახელმწიფოში რაიათები ვალდებულნი იყვნენ მათზე გაწერილ გადასახადების გარდა დამატებით გამოეღოთ აგრეთვე გარკვეული თანხა, რომელიც გადასახადების ამკრეფ მოხელეთა გასამრჯელოს წარმოადგენდა.

ეს გასამრჯელო ყველგან ერთნაირი არ იყო. მისი ოდენობა იცვლებოდა საგადასახადო ობიექტის ცენტრიდან დაშორებისა და გადასახადების აკრეფის სიმძიმის შესაბამისად. შარდენის ცნობით, ისფაჰანში მოსაქმე თაჰსილდარების გასამრჯელო უდრიდა გადასახადების ანგარიშში აღებული თანხის 5%[10]. ისფაჰანიდან ერთი დღის სავალზე დაშორებული ობიექტიდან კი თაჰსილდარები თავის სასარგებლოდ იტოვებდნენ შეგროვებული თანხის 10%[11], ხოლო ის თაჰსილდარები, რომლებსაც ევალებოდათ გადასახადები აეკრიფათ უცხოელ კომერსანტებისაგან, იღებდნენ მთელი თანხის მხოლოდ 1/4%, რადგანაც ამ ფულის აღებას თან არ სდევდა არც ხიფათი, არც ხარჯები და არც სხვა რაიმე სიძნელე[12].

გარკვეული გასამრჯელო ჰქონდათ გადაკვეთილი აგრეთვე მებაჟეებს. ტევენოს გადმოცემით, ვაჭრები, გარდა ბაჟისა, იძულებულნი იყვნენ ცხენისა და ჯორის თითოეული საპალნიდან გადაეხადათ რამდენიმე ბისტი („quelque bistis“) საბაჟოს მოხელეთა სასარგებლოდ[13].

სახელმწიფოს მიერ დანიშნული თაჰსილდარები ანუ მოჰასილები ცდილობდნენ თანამდებობა თავიანთი გამდიდრების წყაროდ ექციათ. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ მათთვის განკუთვნილი ჯამაგირით და უკანონო ხერხებით ცდილობდნენ დაბეგრილი მოსახლეობისაგან თავის სასარგებლოდ ფულის მნიშვნელოვანი თანხები გამოეძალათ[14]. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ გადასახადების აკრეფას თან სდევდა მრავალი უკანონობა და ბოროტმოქმედება.

გადასახადების სიმრავლე, მათი ოდენობის ზრდა და განსაკუთრებით გადასახადების ამკრეფთა თვითნებობა მძიმე ტვირთად აწვებოდა ქალაქის ხელოსნებსა და ვაჭრებს. მაგრამ მათი მდგომარე-

---

[9] Chardin, V, გვ. 399—101; Thevenot, გვ. 124.
[10] Chardin, V, გვ. 423—426.
[11] იქვე.
[12] იქვე.
[13] Thevenot, გვ. 124.
[14] Chardin, V, გვ. 425.

·ობა უფრო მეტად მძიმდებოდა საქალაქო გადასახადების იჯარით გაცემის შემთხვევაში.

გადასახადების შესყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო სეფიანთა სახელმწიფოში. მას სრულიად კანონიერი ხასიათი ჰქონდა, რადგანაც ცენტრალური ხელისუფლება თითონვე იყო დაინტერესებული გადასახადების იჯარით გაცემით. ამის მიზეზი კი იყო ის, რომ იჯარიდარი წინასწარ უხდიდა სახელმწიფოს გადასახადით გათვალისწინებულ თანხას და ამით დადგენილი გადასახადების სახელმწიფო ხაზინაში შეტანას რეალური ხასიათი ეძლეოდა.

სამაგიეროდ იჯარადარს უფლება ჰქონდა სახელმწიფო ხაზინაში შეტანილი თანხა უშუალოდ საგადასახადო ობიექტზე აეკრიფა. როგორც წესი, იჯარადარი გაღებულ თანხას ერთიორად ინაზღაურებდა. ეს კი დაბეგრილი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვის ხარჯზე ხდებოდა.

გადასახადების შემსყიდველთა თვითნებობა მთელი სიცხადით არის ასახული ისკანდერ მუნშის ცნობაში, რომელიც ყაზვინის ოლქის გადასახადების შესყიდვას ეხება. ამ ცნობის თანახმად 1613 წელს ქალაქ ყაზვინის მმართველად დაინიშნა სალმან ხან უსტაჯლუ. მან თავისი „ხარბი და გაუმაძღარი მულაზიმების წაქეზებით შეისყიდა ყაზვინის ოლქის სახელმწიფო გადასახადები". სალმან ხანის მოხელეებისა და აგენტების უკანონობითა და ძალადობით შეწუხებულმა მოსახლეობამ დაიწყო ჩივილი. შაჰ აბას I იძულებული შეიქმნა სახელმწიფო გადასახადების აკრეფის დროს დაშვებული ბოროტმოქმედებისათვის სალმან ხანი ორი წლით ბორკილებში ჩაესვა. მხოლოდ ასეთი სასჯელით შესძლო ცენტრალურმა ხელისუფლებამ ყაზვინის ოლქის მოსახლეობის დაშოშმინება[15].

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო ეკონომიური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი წყარო საქალაქო გადასახადები იყო. მაგრამ, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი ყოფილიყო ქალაქის წილი სახელმწიფოს საერთო წლიურ შემოსავალში, ცენტრალური ხელისუფლება ზოგიერთ შემთხვევაში იძულებული ხდებოდა ესა თუ ის ქალაქი გაენთავისუფლებინა გადასახადებისაგან. რა თქმა უნდა ქალაქის გა-

---

[15] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., II გვ. 853.

در این سال حکومت قزوین سلمان خان ولد شاه علی میرزا استاجلو ...تفویض یافت اما مشارالیه باغوای ملازمان خسیس عمل عمال را اجاره کرده داخل در کل مهمات آنجا کرد و در اندک روزی مردم او ولایت از بدسلوگی وقوت طامعه عمله و کار کنانش بفریاد آمدند و خدمتی مورده مؤاخذه و مصادره گشته تا دو سال در ازاء سؤ اعمال عمل در قید سلاسل و اغلال بود

თარხნება სრულიადაც არ იყო გამოწვეული ცენტრალური ხელისუფლების მისწრაფებით—შეემსუბუქებინა ხელოსან-ვაჭართა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. ამ შემთხვევაში სულ სხვა ფაქტორები მოქმედებდა.

მრავალრიცხოვანი საქალაქო გადასახადები, უკანონობა და ბოროტმოქმედება, რაც თან სდევდა გადასახადების აკრეფა-შეგროვებას, ქალაქის ადმინისტრაციის უმაღლესი მოხელეებისა და ფეოდალთა თვითნებობა, ვაჭარ-ხელოსანთა უუფლებობა იყო მიზეზი ქალაქის ექსპლოატირებული მოსახლეობის უკმაყოფილებისა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიარაღებული გამოსვლებით მთავრდებოდა.

სეფიანთა ირანის წყაროებში საკმაოდ ხშირია ქალაქებში მომხდარ სახალხო მღელვარებათა ხსენება. ზოგიერთი მათგანი გამოირჩეოდა თავისი მასშტაბითა და ქალაქის ვაჭარ-ხელოსანთა და ღარიბ-ღატაკთა განსაკუთრებული აქტიურობით. სეფიანთა ირანის ქალაქებში მიმდინარე სახალხო მოძრაობებიდან აღსანიშნავია ხელოსანთა და ღატაკთა აჯანყება თავრიზში 1571-1573 წწ.[16], ნუყტავიების მოძრაობა, რომელმაც მოიცვა ქაშანი, ყაზვინი, ისფაჰანი, შირაზი და XVI საუკუნის დამლევის ირანის სხვა მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრები[17], დერვიშ რეზას გამოსვლა ქ. ყაზვინში[18], ყუმის „ნაძირალებისა და მდაბიოთა“ აჯანყება და ა. შ.[19].

მათი შესწავლა-შეფასება ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ როგორი გარეგანი ფორმაც არ უნდა ჰქონოდა ამ სახალხო მოძრაობებს (აჯანყების რელიგიური საბურველი) მათ საფუძვლად ყოველთვის ედოთ სოციალური მიზეზები და ასახავდნენ ქალაქის ექსპლოატირებული ფენების (ხელოსნები, ვაჭრები, დეკლასირებული ელემენტები) უკმაყოფილებას თავისი ხვედრით. ამდენად, სეფიანთა ირანის ქალაქებში მიმდინარე სოციალური მოძრაობანი ობიექტურად მიმართული იყო ფეოდალური კლასისა და მისი ინტერესების დამცველი ფეოდალური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ცენტრალური ხელისუფლება მართალია სისხლში ახშობდა და ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა ქალაქის ურჩ მოსახლე-

---

[16] ჰასან ბეგ რუმლუ. გვ. 455—457; ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I. გვ. 117—118.

И. П. Петрушевский, Восстание ремесленников и городской бедноты в Тебризе 1571—1573 гг.; К. Кузиа, Из истории социальных движений в городах Сефевидского государства (движение пуктавиев), Народы Азии и Африки, № 2, М., 1966.

[17] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I, 473—477.

[18] იქვე.

[19] იქვე, II, გვ. 966.

ობას, მაგრამ დროდადრო იგი უკმაყოფილების აღმოსაფხვრელად ქალაქის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებასაც მიმართავდა ხოლმე. ასე მოიქცა, მაგალითად, შაჰ თამაზ I, რომელიც 1571—1573 წწ. თავრიზის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მოსახლეობის საბოლოოდ დასამშვიდებლად იძულებული შეიქმნა თავრიზისათვის ჯერ „სახელოსნო გადასახადი ამოეკვეთა“. ხოლო შემდეგ საერთოდ გაენთავისუფლებინა ყველა სახელმწიფო გადასახადისაგან (از تکالیف دیوانی معاف داشته)[20].

ზოგჯერ ქალაქის გათარხნება დაკავშირებული იყო ირანის საგარეო პოლიტიკასთან. ასე, მაგ., სპარსეთ-თურქეთის ომების დროს სეფიანთა დინასტიის მიმართ გამოჩენილი ერთგულების სანაცვლოდ 1606/7 წელს შაჰ აბასმა სახელმწიფო გადასახადებისაგან გაანთავისუფლა ქალაქ ორდუბადის მოსახლეობა[21].

ამავე 1606/7 წელს ანალოგიური მოტივით განთავისუფლებულ იქნა აგრეთვე ქალაქი დარუბანდი[22].

ორდუბადისა და დარუბანდის გათარხნება სახელმწიფო გადასახადებისაგან ნაკარნახევი იყო წმინდა პოლიტიკური მოტივებით. ამ ღონისძიებით შაჰ აბას I ცდილობდა მიემხრო გათარხნებული ქალაქების მოსახლეობა და განემტკიცებინა თავისი პოზიციები ჩრდილოეთ აზერბაიჯანში, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა თურქეთთან ომის წარმატებით წარსამართავად[23].

ისკანდერ მუნშის ცნობით 1613/14 და 1614/15 წწ. შაჰ აბასის ბრძანებით ქ. ისფაჰანი ზედიზედ განთავისუფლებულ იქნა გადასახადებისაგან. მაგრამ როგორც ამ ცნობების შინაარსიდან ჩანს ორივე შემთხვევაში ქალაქის გათარხნება არასრული იყო, რადგანაც იგი განთავისუფლდა მხოლოდ მალისაგან ანუ მალუჯეჰათისაგან[24]. ამდენად გათარხნება ძირითადად ეხებოდა ისფაჰანის ოლქში მცხოვრებ „დივანის მიწების დამმუშავებელ რაიათებსა და მიწისმოქმედებს[25]“, და არა საკუთრივ ისფაჰანის ხელოსნებსა და ვაჭრებს.

ასეთია ის მცირერიცხოვანი ცნობები, რომელიც ეხება სეფიანთა ირანის ქალაქების გადასახადებისაგან განთავისუფლებას.

მრავალრიცხოვანი საქალაქო გადასახადების დროებითი გაუქმება ობიექტურად ხელს უწყობდა ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარე-

---

[20] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი.... I. გვ. 380.

[21] იქვე, II. გვ. 722; M. N. Khanykof, Memoirés..., გვ.95; М. Х. Нейматова. Эпиграфические памятники Азербайджана, სპ. ტექსტი. გვ. 29—30.

[22] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი..., I. გვ. 380.

[23] Н. Д. Миклухо-Маклай. К вопросу.... გვ. 350.

[24] ისკანდერ მუნში, თარიხ-ი... II. გვ. 861. 866.

[25] იქვე.

ბას. მაგრამ ამავე დროს, ქალაქის გათარხნება ეხებოდა დიდვაჭრებსაც, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ შაჰის ხელისუფლებასთან და, თავის მხრივ, მონაწილეობდნენ ქალაქების წვრილი ვაჭრების და ხელოსნების ექსპლოატაციაში.

XVII-XVIII სს. მიჯნაზე ერთნაირად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც სოფლის, ისე ქალაქის ექსპლოატირებული მოსახლეობა. გლეხის მეურნეობის დაცემა-დაქვეითება, ვაჭარ-ხელოსნების გაღატაკება, „ასნაფების“ და „ქარხანეების“ ხელოსნების მძიმე მდგომარეობა, სხვა მიზეზებთან ერთად, იყო სეფიანთა ირანის სახელმწიფოს დამხობის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი.

შემოკლებანი

ДАН — Доклады Академии наук Азербайджанской ССР.

ИАН — Известия Академии наук СССР.

КСИВ — Краткие сообщения Института востоковедения.

СВ — Советское востоковедение.

ССИА — Сборник статей по истории Азербайджана, I. Баку, 1949.

ТСУ — Труды Среднеазиатского университета.

Уч. Зап. АГУ — Ученые записки Азербайджанского государственного университета.

BSOS—Bulletin of the School of Oriental Stadies

Ja—Journal asiatique

სარჩევი

წესავალი 5

ᲗᲐᲕᲘ I. ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ ᲡᲔᲤᲘᲐᲜᲗᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

1. ქალაქი—ვაჭრობის ცენტრი 21
2. საქალაქო გადასახადები 71
3. საშინაო ვაჭრობა 33
4. საგარეო ვაჭრობა 41
5. ვაჭართა კატეგორიები 51
6. ვაჭართა გაერთიანებები 63
7. ვაჭრობის დაქვეითება და ვაჭართა ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება 65

ᲗᲐᲕᲘ II. ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

1. გადასახადების სახეობანი 68
2. საქალაქო გადასახადები 71
3. ზოგადი სახის გადასახადები 86
4. გადასახადების აკრეფის ორგანიზაცია 101

შეᲫოკლებანი 109

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

•

რედაქტორი ვ. გაბაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლეჟავა
მხატვარი კ. ყარაშვილი
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი ნ. კოკონაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.12.1966; ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆;
ნაბეჭდი თაბახი 7,0; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.38;
უე 02468; ტირაჟი 1000; შეკვეთა 897;
ფასი 53 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15